



ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის N

GE2700603725-1-01

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო სარევისტრაციო N

GE2700603725

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გმისის პროსპექტის დამტკიცება შეუხება პროსპექტის ფორმას და  
იფი ან შეიძლება განსაზღვრა იქნება, როგორც დასკვნა მისა შინაარჩის სისწორის ან მასში აღწერილი  
თვალსტიფიციის დარღმულების შესახებ.

ემისიის სამოლოო პროსპექტი



## სააქციო საზოგადოება „ქართული ლუდის კომპანია“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404900737)

ობლიგაციები, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 25,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 400 საბაზისო პუნქტი (სპრედი) დამატებული საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთზე, და რომლებიც ვადამოსული ხდება 2023 წლის 21 დეკემბერს. გამოშვების ფასი: 100%

ობლიგაციები, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 25,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 400 (ოთხასი) საბაზისო პუნქტი (სპრედი) დამატებული საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთზე, და რომლებიც ვადამოსული ხდება 2023 წლის 21 დეკემბერს („ობლიგაციები“), გამოშვებულ იქნება არამატერიალური, რეგისტრირებული ფორმით სს „ქართული ლუდის კომპანია“-ის („კომპანია“, „ემიტენტი“, „ქართული ლუდის კომპანია“ ან „ზედაზენ“) მიერ 2018 წლის 21 დეკემბერს („გამოშვების თარიღი“), 5,000 ლარის ბანკნოტებად, და მათი გამოსყიდვა მოხდება 2023 წლის 21 დეკემბერს („გამოსყიდვის თარიღი“), მათი ძირი ღირებულებით. „ობლიგაციებზე“ დარიცხული პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს კვარტალურად. გამოშვების ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არა-სუბორდინირებულ და არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი  
შპს „თიბისი კაპიტალი“



ემისიის პროსპექტის თარიღი: 17 დეკემბერი 2018

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოყენება დასაშეგება მხოლოდ მისი მიმღების მიერ, ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დაუშეგებელია წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მთლიანდ ან ნაწილობრივ გამრავლება ან გავრცელება წეზისმიერი სხვა მიზნით, გარდა წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ განსაზღვრული მიზნებისა.

„კომპანია“ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ არსებულ ინფორმაციაზე. „კომპანია“ აცხადებს, რომ მან მიიღო ყველა გონივრული ზომა „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაციის სისწორის და სისრულის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მასში არ არის გამოტოვებული რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პროსპექტის შინაარსზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გავრცელება და „ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია აკრძალული იყოს ზოგიერთ სახელმწიფოში. ის პირები, ვის მფლობელობაშიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ აღმოჩნდება, ვალდებული არიან შეატყობინონ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“ (როგორც ეს განმარტებულია „განთავსებასა და გაყიდვაში“) ამგვარი შეზღუდვების არსებობის და მათი დაცვის შესახებ.

დაუშეგებელია „ობლიგაციების“ „განთავსება“, „საჯარო შეთავაზება“ ან „რეკლამირება“ (როგორც თითოეული ტერმინი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობით) საქართველოს გარდა სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და მასში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს „ობლიგაციების“ რეკლამას, შეთავაზებას, მოწევას ოფერტზე, გაყიდვას, გაცვლას და/ან სხვაგვარ გადაცემას საქართველოს ფარგლებს გარეთ. წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს „ობლიგაციების“ შეთავაზებას მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ არის დამტკიცებული არც ერთი მარეგულირებელი ორგანოს მიერ, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა („სეზ“), რომელიც ამჟამად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოფიციალურ მარეგულირებელ ორგანოს.

შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. საჯარო შეთავაზების პრინციპების მიხედვით, შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საცალო, ასევე კვალიფიცირებულ ინვესტორებზე. „ობლიგაციების“ შეთავაზება არ უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფოში. უცხოელმა რეზიდენტებმა, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ადრესატები, უნდა უზრუნველყონ, რომ პერიდეთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში იმგვარად, რომ არ გახდნენ რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობის სუბიექტები. ამასთან, რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი დაქვემდებარების შემთხვევაში, ადრესატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ „კომპანიასა“ და „განთავსების აგენტს“.

ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურს შეიძინოს ან შეისყიდოს „ობლიგაციები“ („პოტენციური ინვესტორი“), უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელი სამთავრობო ან სხვაგვარი თანხმობა და დაიცვას ყველა შესაბამისი ფორმალობა.

პოტენციური ინვესტორები უნდა დაეყრდნონ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ პირდაპირ მოცემულ ან მითითების გზით მასში ჩართულ ინფორმაციას. „ობლიგაციების“ გამოცემასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით, არც ერთ პირს არ აქვს უფლება გასცეს ისეთი ინფორმაცია ან გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც არ არის მოცემული ან ჩართული წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. „კომპანია“ არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ინფორმაციაზე, რომელიც მოცემული ან ჩართული არ არის წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მიწოდება ან მის საფუძველზე „ობლიგაციების“ გაყიდვა არ გულისხმობს, რომ „ემისიის პროსპექტში“ გაცემის თარიღიდან „კომპანიის“ საქმეებში არ შესულა ცვლილებები.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეთავაზების მიზნებისათვის ნებისმიერ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი შეთავაზება არ არის კანონიერი ან ნებადართული, ან ნებისმიერი ისეთი პირის მიმართ, რომლის მიმართაც ამგვარი შეთავაზების გავთება არ არის კანონიერი ან ნებადართული; არ ხორციელდება რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც დაუშვებდა „ობლიგაციების“

შეთავაზებას ან „ემისიის პროსპექტის“ გავრცელებას იმ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი ქმედება აუცილებელია.

შეთავაზება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. იხილეთ „რისკ-ფაქტორები“. არც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და არც „კომპანიის“ ან „განთავსების აგენტის“ მიერ „ობლიგაციებთან“ მიმართებით მიწოდებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და დაუშვებელია მათი ამ კუთხით განმარტება. თითოეულმა ინვესტორმა თავად უნდა განახორციელოს პოტენციური რისკების შეფასება. „ემისიის პროსპექტი“ არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და საინვესტიციო (მათ შორის, თითოეული ინვესტორის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული) შეფასების აღწერას. წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ იდენტიფიცირებული რისკები და საინვესტიციო შეფასებები მოცემულია ზოგადი ინფორმაციის სახით. ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ საკუთარ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩევლებთან „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საინვესტიციო შეფასებებთან მიმართებით; ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგნად. არც „კომპანია“ და არც „განთავსების აგენტი“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას „ობლიგაციების“ რომელიმე მყიდველის ან ოფერტის მიმღების წინაშე, „ობლიგაციების“ მყიდველის ან ოფერტის მიმღების მიერ შესაბამისი საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების კანონირებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოცემა და გავრცელება, ასევე „ობლიგაციების“ ნებისმიერი შეთავაზება ან გაყიდვა, არ წარმოადგენს „კომპანიის“ ან მისი ნებისმიერი „აღმასრულებელი დირექტორის“, თანამდებობის პირის ან დასაქმებულის მიერ, „კომპანიის“ წესდებით („წესდება“), კანონმდებლობით ან სხვა რეგულაციით მინიჭებულ რაიმე ისეთ უფლებაზე, იმუნიტეტზე, პრივილეგიაზე ან შედავათზე უარის თქმას, რომელიც მათ უნარჩუნდებათ წინამდებარე განთავსებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ მომზადებულია ქართულ ენაზე. „ემისიის პროსპექტი“ ან მისი ნაწილი შესაძლოა ითარგმნოს სხვა ენაზე. თარგმანებს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ ქართულ ლარზე და „GEL“-ზე მითითება გულისხმობს საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე მითითებას.

„განთავსების აგენტი“ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ან ჩართული ინფორმაციის სისწორეზე და პოტენციურმა ინვესტორებმა სიფრთხილით უნდა გამოიყენონ აღნიშნული ინფორმაცია.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის ჩართვა მითითების გზით

„კომპანია“ ამზადებს ყოველწლიურ, აუდიტორის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშს (მისი შენიშვნების ჩათვლით) („აუდირებული ანგარიშგება“), რომელიც აღწერს „კომპანიას“, მათ შორის, მის კაპიტალს, ოპერაციებს, ადმინისტრაციას, წესდებას, სამართლებრივ სტატუსს და მის ძირითად ფინანსურ პოლიტიკას. თითოეული „აუდირებული ანგარიშგება“ ასევე შეიცავს აუდიტორის მიერ შემოწმებულ უახლეს ფინანსურ ანგარიშებს.

„კომპანიის“ უახლესი „აუდირებული ანგარიშგება“ ითვლება წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ წაწილად. „ემისიის პროსპექტზე“ მითითება გულისხმობს წინამდებარე დოკუმენტს და ასევე წებისმიერ სხვა დოკუმენტს, რომელიც მასში ჩართულია მითითების გზით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი დოკუმენტი ჩანაცვლებულია ან შეცვლილია სხვა უფრო ახალი დოკუმენტით, რომელიც, თავის მხრივ, მითითების გზით ჩართულია „ემისიის პროსპექტში“ და წარმოადგენს მის წაწილს.

„ემისიის პროსპექტში“ მითითების გზით ჩართული „აუდირებული ანგარიშგებას“ ასლები შესაძლებელია ინახებოდეს „ფინანსურ აგენტან“ (როგორც ეს განმარტებულია „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებაში“) და მოპოვებულ იქნას დაანტერესებული ინვესტორის მიერ.

„კომპანია“ ემისიის შემდეგ ობლიგაციის ვადის ამოწურვამდე უზრუნველყოფს ნახევარ-წლიური და ყოველკვარტალური არააუდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშგების ან საჯაროდ გამოქვეყნებას ან მიწოდებას განთავსების აგენტისათვის, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს, მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას „ინვესტორებისთვის“.

## სარჩევი

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის ჩართვა მითითების გზით .....	4
სარჩევი .....	5
მესამე პირების ინფორმაცია .....	6
გაცვლითი კურსის ისტორია .....	7
შეთავაზების ძირითადი პირობები .....	8
რისკ-ფაქტორები .....	12
„კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები .....	12
საქართველოში განვითარებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები .....	16
„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული რისკები .....	23
მომავალზე ორიენტირებული განცხადებები .....	27
მიღებული სახსრების გამოყენება .....	28
კაპიტალიზაცია და დავალიანება .....	29
„კომპანიის“ საოპერაციო გარემოს და საქმიანობის მიმოხილვა .....	30
მაკროეკონომიკური სიტუაციის მიმოხილვა .....	30
ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოების პროცესი .....	34
ურთიერთობა მომწოდებლებთან .....	36
ლუდის ბაზარი საქართველოში .....	37
უალკოჰოლო სასმელების ბაზარი საქართველოში .....	41
„ქართული ლუდის კომპანიის“ მიმოხილვა .....	42
პროდუქცია და ზრენდები .....	42
გაყიდვის არხები .....	46
ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი .....	47
მოგება-ზარალის ანგარიშების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა .....	51
საბალანსო უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა .....	55
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების მიმოხილვა .....	60
ფინანსური რისკების მიმოხილვა .....	62
ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები .....	65
სტრუქტურა და მენეჯმენტი .....	68
გარიგებები დაკავშირებულ პირებთან .....	72
უახლესი პერიოდის მოვლენები და მონაცემები .....	75
მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა .....	76
მნიშვნელოვანი სასამართლო დავები .....	81
„ობლიგაციების პირობები“ .....	83
„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში .....	101
კლირინგთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ინფორმაცია .....	104
განთავსება და გაყიდვა .....	105

## მესამე პირების ინფორმაცია

„რისკ-ფაქტორებში“ და „ემისიის პროსპექტის“ სხვა ნაწილებში მოცემული სტატისტიკური მონაცემები, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოპოვებულ იქნა „სეზ“-დან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან („ფინანსთა სამინისტრო“) და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან („საქსტატი“). აღნიშნული წყაროების მიერ დაცული სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ლარში (საქართველოს ეროვნული ვალუტა) ან აშშ დოლარში. ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოცემულია ლარის გარდა სხვა ვალუტში, კონვერტირებულია ლარში, „ემისიის პროსპექტში“ მითითებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. მსგავსი სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვა წყაროებიდან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული წყაროს მიერ გამოყენებული მეთოდები, დაშვებები და მიღებული შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მართალია, ყველა ზომა მიღებულ იქნა იმისათვის, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ყოფილიყო ყველაზე სანდო და თანმიმდევრული მონაცემები, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავსი მონაცემები შედგენილ იქნა და მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

„კომპანიის“ მიერ „სეზ“-დან, „ფინანსთა სამინისტროდან“, „საქსტატიდან“, და სხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია ზუსტად იქნა ასახული „ემისიის პროსპექტში“ და „კომპანია“ და „განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ აცხადებენ, რომ, მათი ინფორმაციით და ამგვარი წყაროების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ემისიის პროსპექტში“ არ იქნა გამოტოვებული ისეთი ფაქტები, რაც გამოიწვევდა ასახული ინფორმაციის უზუსტობას ან უსწორობას. „ემისიის პროსპექტში“ მესამე პირის ინფორმაციის გამოყენებისას, ამგვარი ინფორმაციის წყარო იდენტიფიცირებულ იქნა.

## გაცვლითი კურსის ისტორია

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ლარის გაცვლითი კურსის ისტორიას აშშ დოლართან მიმართებით, ცხრილში მითითებული პერიოდებისათვის, „სებ“-ის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად.

**ლარის გაცვლითი კურსის ისტორია აშშ დოლართან  
მიმართებით**

წელი	მაღალი	დაბალი	საშუალო	პერიოდის დასასრული
(ლარის კურსი 1.00 აშშ დოლართან მიმართებით)				
2013.....	1.7376	1.6348	1.6634	1.7363
2014.....	1.9527	1.7241	1.7659	1.8636
2015.....	2.4499	1.8780	2.2702	2.3949
2016.....	2.7846	2.1272	2.3667	2.6468
2017.....	2.7674	2.3824	2.5086	2.5922
2018 იანვარი-ივნისი.....	2.5967	2.3912	2.4656	2.4516
2018 ივნისი-ნოემბერი.....	2.7656	2.4401	2.5890	2.6896

წყარო: „სებ“

ზემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული აურსები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ფაქტობრივი კურსებისგან, რომლებიც გამოყენებულ იქნა „ემისიის პროსპექტში“ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსამზადებლად. აღნიშნული გაცვლითი კურსების მითითება არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ლარში მოცემული თანხების კონვერტირება აშშ დოლარში მოხდა ან შესაძლებელია მომზდარიყო ამ კურსების ან წებისმიერი სხვა კურსის შესაბამისად.

## შეთავაზების ძირითადი პირობები

„შეთავაზების ძირითადი პირობები“ აღწერს იმ ძირითად პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ხდება ობლიგაციების ემისია, შეთავაზება და განთავსება. ამასთან, „შეთავაზების ძირითადი პირობები“ არ ასახავს ობლიგაციების სრულ პირობებს, რომლებიც უფრო დეტალურად მოცემულია წინამდებარე მემორანდუმის სხვა თავებში, მათ შორის - იხილეთ თავი „ობლიგაციების პირობები“.

კომპანია	სს „ქართული ლუდის კომპანია“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404900737)
შეთავაზება	ობლიგაციები, რომელთა საერთო მირი თანხა შეადგენს 25,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 400 (ოთხასი) საბაზისო პუნქტი (სპრედი) დამატებული საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთზე და რომლებიც ვადამოსული ხდება 1,826 დღეში.
ნომინალური ღირებულება	5,000 ლარი (სიტყვიერად ხუთი ათასი)
ობლიგაციების რაოდენობა	5,000 ცალი (სიტყვიერად ხუთი ათასი)
გამოშვების ფასი	ობლიგაციების მირი თანხის (ნომინალური ღირებულების) 100%
გამოსყიდვის ფასი	ობლიგაციების მირი თანხის (ნომინალური ღირებულების) 100%
პროცენტი	თითოეულ ობლიგაციას კვარტალში ერთხელ დაერიცხება სარგებელი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც თითოეული საპროცენტო პერიოდისათვის (კვარტლისათვის) დადგინდება შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის თარიღზე მოქმედი მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი (რომელსაც ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი და აქვეყნებს თავის ვებგვერდზე); და (ii) 400 (ოთხასი) საბაზისო პუნქტი, რომელიც დადგინდა ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე („book-building“-ის შედეგად). სრული ინფორმაცია და დეტალები იხ. „ობლიგაციის პირობებში“.
პროცენტის დარიცხვა და გადახდა	„ობლიგაციებზე“ პროცენტის დარიცხვა ხდება ზემოთ მითითებული განაკვეთით, „ობლიგაციების“ გამოშვების და განთავსების თარიღიდან „გამოსყიდვის თარიღამდე“. პროცენტის დარიცხვა განხორციელდება 360-დღიანი წლის საფუძველზე. დარიცხული პროცენტის გადახდა მოხდება კვარტალურად, ყოველი წლის 21 მარტს, 21 ივნისს, 21 სექტემბერს და 21 დეკემბერს. პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2019 წლის 21 მარტს.
პროცენტის ყოველდღიური დარიცხვის წესი	30/360 ISMA, ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევრობონდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC)“ = მრიცხველი / 360 მრიცხველის ფორმულა: 1. თუ $D1=31$ , მაშინ $D1=30$ 2. თუ $D2=31$ , მაშინ $D2=30$ 3. თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება 4. მრიცხველი = $(D2-D1)+30^{\circ}(M2-M1)+360^{\circ}(Y2-Y1)$ , სადაც „D“ ნიშნავს დღეს, „M“ - თვეს და „Y“ - წელს.
ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების თარიღი	ობლიგაციების გამოშვება და განთავსება მოხდება 2018 წლის 21 დეკემბერს.
გამოსყიდვის თარიღი	„ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდება 2023 წლის 21 დეკემბერს

	მათი ძირი თანხით/წომინალური ღირებულებით, დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით გარდა ობლიგაციების გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების გზით, ობლიგაციების გამოსყიდვისა.
განთავსების აგენტი	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961)
გადახდის და კალკულაციის აგენტი, ფინანსური აგენტი	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961)
რეგისტრატორი	სს „კავკასრესტრი“
მინიმალური განთავსების ლიმიტი	1 ობლიგაცია (5,000 ლარი)
სტატუსი	„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასტანდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება საქართველოს მთავრობის ვალდებულება.
ემიტენტის საკრედიტო რეიტინგი:	<p>„ემიტენტს“ საკრედიტო რეიტინგი მიანიჭა სებ-ის მიერ აღიარებულმა საკრედიტო რეიტინგის სააგენტომ - Scope Ratings GmbH-მა („Scope“ ან „სკოუპი“). „ემიტენტის“ გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი არის „BB- სტაბილური პერსპექტივით“, ხოლო არა-სტანდინირებული არა-უზრუნველყოფილი სესხების/ობლიგაციების რეიტინგი არის „BB“.</p> <p>„ემიტენტი“ გეგმავს ამ „ობლიგაციების“ არსებობის განმავლობაში შეინარჩუნოს საკრედიტო რეიტინგი და განაახლოს იგი შესაბამისი სიხშირით. „ემიტენტმა“ შესაძლოა მომავალში დამატებით მოიძიოს რეიტინგი იგივე ან სხვა, სებ-ის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან.</p>
დათვები და შეზღუდვები	<p>„ობლიგაციების“ სრულად გამოსყიდვამდე, წებისმიერი „პროცენტის გადახდის თარიღისთვის“, „ემიტენტი“ ვალდებულია შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მინიმუმ DSCR 1.1 და სესხების (გარანტიებისა და ბალანს-გარეშე არსებული ვალდებულებების ჩათვლით) შეფარდება EBITDA-სთან მაქსიმუმ 4.0.</p> <p>სრული ინფორმაცია და დეტალები იხ. „ობლიგაციის პირობებში“.</p>
ობლიგაციების გამოსყიდვის ოფცია	<p>„ობლიგაციების“ განთავსებიდან ერთი წლის შემდეგ წებისმიერ დროს „კომპანიას“ უფლება ექნება მოსთხოვოს „ინვესტორებს“ „ობლიგაციების“ გამოსყიდვა და ასეთ შემთხვევაში „ინვესტორი“ ვალდებული იქნება გამოსასყიდი „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 102%-ად მიყიდოს კომპანიას ობლიგაციები.</p>
ობლიგაციების მიყიდვის ოფცია	<p>თუ განხორციელდება „კომპანიის“ მიერ აღებული „ძირითადი სესხების“ რეფინანსირება (წინსწრებით ვადამდე დაფარვა) (გარდა ობლიგაციების გამოშეტით განხორციელებული რეფინანსირებისა), „ობლიგაციის მფლობელის“, რომლის მფლობელობა ინდივიდუალურად წარმოადგენს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 30%, ექნება უფლება (მაგრამ არა ვალდებულება), „ემიტენტისგან“ მოითხოვოს, მისი „ობლიგაციების“ მთლიანად ან ნაწილობრივ გამოსყიდვა, ხოლო „ემიტენტი“ ვალდებული იქნება გამოისყიდოს „ობლიგაციები“ „გამოსყიდვის ფასად“ რომელსაც ასევე დაემატება ობლიგაციების მიყიდვის ოფციის განხორციელების მომენტისთვის დარიცხული სარგებელი (კუპონი).</p>

	ამასთან, წინამდებარე უფლება არ განიხილება „ობლიგაციების“ საკლასო თვისებად და ქარწყლდება დაუყოვნებლივ, როგორც კი „ობლიგაციის მფლობელის“ მონაწილეობა ჩამოვა 30%-ზე ქვემოთ.
გამოსყიდვა და ყიდვა	„ობლიგაციების“ საბოლოო გამოსყიდვა მოხდება მათი ძირი თანხით „გამოსყიდვის თარიღზე“. „ობლიგაციების“ გამოსყიდვა დაუშვებელია „გამოსყიდვის თარიღამდე“, გარდა „ობლიგაციების გამოსყიდვის ოფციის“ ან „ობლიგაციების მიყიდვის ოფციის“ განხორციელების გზით გამოსყიდვისა. „კომპანია“ უფლებამოსილია წებისმიერ დროს იყიდოს „ობლიგაციები“ ღია ბაზარზე ან სხვაგვარად, წებისმიერ ფასად თითოეულ შემთხვევაში. „კომპანიის“ მიერ შესყიდული „ობლიგაციები“ შესაძლებელია გაუქმდეს.
გამოსყიდებული სამართალი	საქართველოს კანონმდებლობა.
იურისდიქტია	„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული წებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს საქართველოს სასამართლოების მიერ. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც „ობლიგაციების მფლობელი“ წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებას, მის მფლობელობაში არსებულ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული წებისმიერი დავა, გადაწყდება არბიტრაჟის მიერ მოქმედი UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) მიერ დანიშნული ერთი არბიტრის მიერ. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იქნება ლონდონი, ინგლისი, ხოლო საარბიტრაჟო განხილვის ენა - ინგლისური. დეტალურად, იხილეთ „ობლიგაციების პირობები - გამოსყიდებული სამართალი და იურისდიქტია.“
დეფოლტის შემთხვევები	თუ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციების“ პირობებში), „ობლიგაციების“ ერთ ან რამდენიმე მფლობელს, რომელთა მფლობელობა ინდივიდუალურად ან ჯამურად წარმოადგენს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 25%, უფლება აქვთ წერილობით მიმართონ „ემიტენტს“ მის რეგისტრირებულ მისამართზე და დაწყონ აქსელერაციის პროცედურა, როგორც ეს დეტალურად განსაზღვრულია „ობლიგაციების პირობებში“; აღნიშნული შეტყობინების სათანადო წესით მიწოდების და დეფოლტის აღმოსაფხვრელად დაწესებული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი ძირი თანხის 100%-ის ოდენობით („გამოსყიდვის ფასი“), დარიცხული და გადაუხდელი პროცენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით. დეტალურად, იხილეთ „ობლიგაციების პირობები - დეფოლტის შემთხვევები“.
მიღებული სახსრების გამოყენება	„ობლიგაციების“ გამოშვების შედეგად მიღებული შემოსავალი გამოყენებული იქნება კაპიტალური ხარჯების, საბრუნავი კაპიტალის, ან/და სექტების რეფინანსირების დასაფინანსებლად. დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ „მიღებული სახსრების გამოყენება“.
გაყიდვის შეზღუდვები	„განთავსების აგენტმა“ განაცხადა თანხმობა, რომ ის „ობლიგაციების“ პირდაპირ ან არაპირდაპირ გაყიდვას ან შეთავაზებას და წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გავრცელებას განხორციელებს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. „განთავსების აგენტმა“ განაცხადა თანხმობა, რომ „ობლიგაციების“

	შეთავაზება ან გაყიდვა არ განხორციელდება საქართველოს გარდა სხვა სახელმწიფოში. საქართველოს შიგნით, საჯარო შეთავაზების პრინციპების მიხედვით, შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საცალო, ასევე გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე.
წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი	„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ნებისმიერი ძირი თანხის და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოქმედი კანონმდებლობით „კომპანია“ გათავისუფლებულია წყაროსთან დაკავების ვალდებულებისაგან ან თუ შესაბამისი გადასახადის ვალდებულება აკისრია საპროცენტო სარგებლის მიმღებს. სრული ინფორმაცია და დეტალები იხ. წინამდებარე ემისიის პროსპექტის თავში - „ობლიგაციის“ დაზუდვა საქართველოში.
რისკ-ფაქტორები	პოტენციურმა ინვესტორებმა, „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ყურადღებით უნდა გაანალიზონ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაცია და, განსაკუთრებით, ის ინფორმაცია, რომელიც მოცემულია „რისკ-ფაქტორებში“.
ემიტენტის საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: საქართველო, 3311, მცხეთის რაიონი სოფ. საგურამო ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@geobeer.ge">info@geobeer.ge</a> ტელ.: (+995 32) 243 77 70
განთავსების აგენტის საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@tbccapital.ge">info@tbccapital.ge</a> ტელ.: (+995 32) 227 27 33
რეგისტრატორის ინფორმაცია	საკონტაქტო მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, თბილისი 0186, საქართველო ელ-ფოსტა: <a href="mailto:info@kavkasreestri.ge">info@kavkasreestri.ge</a> ტელ.: (995 32) 222 0718
ფასიანი ქაღალდების კოდები (ISIN)	ფასიანი ქაღალდის კოდის მინიჭება მოხდება „სებ“-ის მიერ, წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ.
საჯაროდ ვაჭრობა	ფასიანი ქაღალდები დაშვებული იქნება სავაჭროდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

## რისკ-ფაქტორები

„ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. პოტენციურმა ინვესტორებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ წინამდებარე მემორანდუმი და „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სხვა საკითხებს მორის, უნდა გაანალიზონ ამგვარი ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკი, ქვემოთ მოცემული რისკ-ფაქტორების ჩათვლით. აღნიშვნულმა რისკ-ფაქტორებმა, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიონ „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხები და ასევე „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით დარიცხული პროცენტები და სხვა თანხები. ეს რისკები უნდა გაანალიზდეს წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემულ ყველა სხვა ინფორმაციასთან ერთად.

ამასთან, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც „კომპანიის“ აზრით, მნიშვნელოვანია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საბაზო რისკების შეფასების მიზნით. „ობლიგაციების“ ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს ნებისმიერი ქვემოთ მოცემული რისკის გამო და პოტენციურმა ინვესტორებმა შესაძლებელია ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგონ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია. „კომპანიის“ აზრით, ქვემოთ აღწერილი რისკები წარმოადგენს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, თუმცა შესაძლებელია არსებობდეს დამატებითი რისკები და გაურკვეველი საკითხები, რომელსაც „კომპანია“ ამჟამად მიიჩნევს უმნიშვნელოდ ან არ გააჩნია მათ შესახებ ინფორმაცია, და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა ან გაურკვეველმა საკითხმა შესაძლებელია იქონიოს ქვემოთ აღწერილი რისკების მსგავსი შედეგები.

ასევე, „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საკითხებთან დაკავშირებით, ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩევლებთან და ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად.

## „კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები

**„კომპანიაზ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.**

როგორც ქვემოთ მოცემული ბიზნეს-აღწერილობიდან დასტურდება, ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძალიან ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშების გამოჩენით და არსებული მოთამაშების გასვლით. ახალ მოთამაშებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავდ იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 6 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ბოლო წლების განმავლობაში ფართოვდება და სტაბილურად უკავია ბაზრის წილი, ახლად გამოჩენილი კომპანიების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომელიც ძირითადში მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიაზ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

**„კომპანია“ დამუკიდებულია მომწოდებლებზე და მათთან არსებული კონტრაგენტების შენარჩუნებაზე.**

„კომპანია“ წარმოების პროცესში იყენებს მომწოდებლებისგან მიღებულ სხვადასხვა სახის პროდუქციას, როგორებიცაა ქერი, შაქარი, კონცენტრატები, შესაფუთი მასალები როგორებიცა მინა, PET და ალუმინი, ეტიკეტები, მუყაო, კონტეინერები და სხვა. „კომპანიას“ უმცესესწილად რამდენიმე ალტერნატივა გააჩნია წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულისა და მასალების შესყიდვის პროცესში. თუმცა მასალების გარკვეული ნაწილი მომწოდებელთა მცირე ჯგუფისგან მიიღება, რაც „კომპანიას“ დამოკიდებულს ხდის ამ მომწოდებლებზე. მომწოდებლების მხრიდან მასალების გადმოცემის შენელებამ, შეფერხებამ ან შეწყვეტამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე და გამოიწვიოს წარმოების შეფერხება ან შეკვეთების დაკარგვა.

## **„კომპანიის“ გაყიდვები დამუკიდებულია დისტრიბუტორების სექტანტაზე.**

„კომპანია“ პირდაპირ გაყიდვებს რამდენიმე მსხვილ დისტრიბუტორზე ახდენს, რომლებიც თავის მხრივ ანაწილებენ პროდუქციას საცალო ვაჭრობის ობიექტებსა და საბოლოო მომხმარებლებზე. დისტრიბუტორები „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი არიან და მათ მიერ მიღებული სამწარმეო გადაწყვეტილებები შეიძლება არ შესამებოდნენ კომპანიის ინტერესებს. თუკი დისტრიბუტორები ვერ მოახდენენ „კომპანიის“ პროდუქციის ეფექტუან განაწილებას, ამან შეიძლება იქნიოს უარყოფითი ზეგავლენა „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე. არსებულ დისტრიბუტორებთან ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევეში „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ მოახერხოს მათი ჩანაცვლება დროულად და/ან შესაფერისი ხარისხის შემცვლელით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შეკვეთების შეუსრულებლობა, კლიენტების დაკარგვა და უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ფინანსურ მაჩვენებლებზე. 2017 წელს კომპანიის უმსხვილეს 5 სადისტრიბუციო კომპანიაზე გაყიდვების 76% მოდიოდა.

აღნიშნულმა შესაძლოა კომპანიას სირთულეები შეუქმნას რამდენიმე მიმართულებით. მაგ.: წყეტა პროდუქციის მოწოდებაში, რომელიმე მომწოდებლის ბაზრიდან გასვლა, მომხმარებლის დაკარგვა, ფასების ზრდა ან ხარისხის გაუარესება. კომპანია აღნიშნულ რისკებს მართავს მომწოდებლების მაქსიმალური დივერსიფიკაციის გზით.

## **საცალო ვაჭრობის სექტორის კონსოლიდაციაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.**

საქართველოში საცალო ვაჭრობის სექტორის მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. სექტორში არაორგანიზებული დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების წილი მცირდება და მათ ადგილს ორგანიზებული ბრენდირებული ქსელები იკავებენ. სექტორის ძირითადი მოთამაშების გამსხვილებასთან ერთად იზრდება მათი სავაჭრო ძალა რაც შეიძლება გამოიხატოს უკეთესი ფასის, გადახდის პირობებისა და სხვა საამორტიზაციო ანაზღაურების მოთხოვნაში. საცალო ქსელების სავაჭრო ძალის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მწარმოებელთა მარჯების შემცირება და შედეგად უარყოფითი გავლენა იქნიოს „კომპანიის“ მოგებიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს აღკომოდური და უაღიაზოლო სასმელების ბაზარი მაღალ-კონკურენტულია და რთულია დანამდგილებით თქმა, რომ „კომპანია“ შეძლებს წარმატებით გაუწიოს კონკურენცია მის არსებულ და მომავალ კონკურენტებს.

აღკომოდური და უაღიაზოლო სასმელების სფერო მაღალ კონკურენტულია. კომპანია კონკურენციას უწევს როგორც სხვადასხვა მასშტაბის მქონე ქართულ მწარმოებლებს, ისე საერთაშორისო ოპერატორებს.

კომპანიის კონკურენტების აქტიურობამ და ცვლილებებმა მათ საოპერაციო და სხვა ბიზნეს სტრატეგიებში, ფასებმა, ხარისხის გაუმჯობესებამ, ახალი კონკურენტების გამოჩენამ ბაზარზე ან კონკურენტული ახალი ბრენდების შემოსვლამ შესაძლოა შეამციროს კომპანიის შემოსავლები გაყიდვებიდან, გაზარდოს მიმდინარე ხარჯები და/ან შეამციროს მოგების მარება. თუ კომპანია ვერ შეძლებს მომხმარებლისთვის პროდუქტების შეთავაზებას კონკურენტულ ფასად, თუ მომხმარებლები არ დაკმაყოფილდებიან კომპანიის პროდუქციით, ან თუ კომპანიის საქონელი არ იქნება კონკურენტულიანი, კომპანიის კლიენტებმა შესაძლოა შეამცირონ ან შეწყვიტონ მათი ყიდვა კონკურენტების სასარგებლობდ. ამ და სხვა ფაქტორებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის შემოსავლების შემცირება გაყიდვებიდან, საბაზრო წილის დაკარგვა ან იძულებითი რეაგირება მისი კონკურენტების მიერ განხორციელებულ აგრესიულ საფასო პოლიტიკაზე, რაც გამოიწვევს არსებული მოგების შემცირებას.

კომპანიის მიზანია პქონდეს მიმზიდველი ფასები და ასორტიმენტი იმგვარად, რომ შეძლოს კონკურენციის გაწევა სხვადასხვა ბაზრებზე. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს ბაზარს, სავაჭრო შესაძლებლობებს და კონკურენტების საქმიანობებს, თვალყურს ადეგნებს მთელი რიგი ღონისძიებების შესრულებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომსახურების მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად. კომპანია მუდმივად აკვირდება მომხმარებლის აღქმებს საკუთარი და კონკურენტების შესახებ, იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში სწრაფი რეაგირება შეძლოს.

**კომპანიის** მიერ მოპოვებული სახელმწიფო ლიცენზიების ჩამორთმებამ ან მის მიერ დადგებული პროდუქტის წარმოების საღიზებრივი ხელშეკრულებების ვადამდე შეწყვეტამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას „კომპანიის“ საქმიანობას.

კომპანიას მიღებული აქვს მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით, აგრეთვე ჩამოსასხმელი და სხვა სამრეწველო დანიშნულებით) მოპოვების ლიცენზიები, რის საფუძველზეც ლიცენზიებით განსაზღვრულ სამთო მინაკუთვნის ფარგლებში, ლიცენზიით განსაზღვრული ვადითა და პირობებით, კომპანია ახორციელებს მტკნარი წყლის მოპოვებას, რაც საწარმოო პროცესის განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ზედმიწევნით ასრულებს საღიზებრივი პირობებს, ლიცენზიის გამცემის მიერ ლიცენზიის გაუქმების შემთხვევებში, არსებითად შეფერხდება კომპანიის მიმდინარე საქმიანობა. გარდა ამისა, კომპანია ფლობს რიგი ლუდის ბრენდების (Holsten, BAVARIA, Ragnar, Belgium Standard) და უალკოჰოლო სასმელების (ცივი ჩაი და ლიმონათი BAIHO, გამაგრილებელი სასმელი „RC Cola“ და ენერგეტიკული სასმელი „Rad Rain“) წარმოების, სავაჭრო ნიშნის გამოყენების, ნოუ-ჰის გამოყენების, შეფუთვის, დისტრიბუციის, რეკლამირების და გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამის ლიცენზიინტებთან ან ქვე-ლიცენზიანტებთან გაფორმებული საღიზებრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. ამგვარი ხელშეკრულებების ვადამდე შეწყვეტამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

ზემოაღნიშნული რისკების მინიმიზაციას კომპანია ახდენს ლიცენზიით განსაზღვრული, აგრეთვე გარემოსდაცვითი და სასარგებლო წიაღისეულის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის, აგრეთვე საღიზებრივი ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესრულების უზრუნველყოფის გზით.

### **სადაზღვეო შემთხვევების დადგომის რისკი.**

კომპანიას გააჩნია კომპლექსური დაზღვევა, რომელიც მოიცავს როგორც ქონების (მათ შორის ნედლეულისა და მარაგების) დაზღვევას, ასევე მანქანა-დანადგარების დაზღვევას და ასევე ფარავს ქონებისა ან/და მანქანა-დანადგარების დაზიანებით გამოწვეულ საქმიანობის შეფერხებას (business interruption insurance). კომპანიას ამ ეტაპზე არ გააჩნია პროდუქციის ხარისხზე პასუხისმგებლობის დაზღვევა (product liability insurance), თუმცა გეგმავს მოიპოვოს იგი უახლოეს მომავალში. ამგვარი დაზღვევის მოპოვებამდე, აღნიშნული სადაზღვეო შემთხვევების დადგომა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

**კომპანია** მერძობიარებული როგორც საერთო მაკროეკონომიკური დელილებების ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ.

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. კომპანიას არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორიცაა საოჯახო და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს კომპანიისთვის წინასწარ განჭირიტოს ცელილებები მისი მომწოდებლის ხარჯები, მომხმარებლების განწყობაში, რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ეფექტურიაზე მისი საოპერაციო და ფინანსურ შედეგების თვალსაზრისით.

რეგვები საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცელილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი მოხმარების დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებამ საქართველოში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკურეტულ მომწოდებლებთან მოქმედი მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფასდაკლების პირობების შეუსრულებლობა, რომელიც საზიანო გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

**ვალუტის კურსის ცვლილებების თქმისა და შეიძლება მომავალშიც იქმნოს გავლენა „კომპანიაზე“.**

„კომპანიის“ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად ევროსა და აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. მას ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრარდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის წებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზო პოზიციის შენარჩუნებისკენ. აღნიშნულმა კი შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტისას. თუ ლარის გაცვლითი კურსი ევროსთან, აშშ დოლართან ან სხვა ვალუტებთან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

**„კომპანიის“ ოპერირების სფერო არის განვითარებადი მარეგულირებელი კანონმდებლობის ობიექტი.**

რამდენადაც „კომპანია“ ძირითადად ოპერირებს სასმელი პროდუქციის წარმოებაში, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა ყოველთვის იყო მგრძნობიარე საკითხი. 2004 წლის შემდეგ „მთავრობის“ მიერ ბაზრის ფართო ლიბერალიზაციას მოჰყვა საკვები პროდუქტების ხარისხისა და მათი წარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარების ტენდენცია.

მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაძლებელია შეიცვალოს, რამდენადაც საქართველო, ევროკავშირის განვითარების სრული ინტეგრაციის მიზნით, ახორციელებს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) საფუძველზე. „კომპანიის“ მენეჯმენტის აზრით, საქართველომ, მსგავსი ჰარმონიზაციის ფარგლებში, მომავლში შესაძლოა მიიღოს ევროკავშირის საკვების უსაფრთხოების რეგულაციების ეკვივალენტური რეგულაციები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის დანახარჯების ზრდა.

**„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოებულის მნიშვნელოვნები მეტი დავალიანება ან განსხვავილოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.**

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განვითაროს თავის იპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეიძლებს ამას, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანიას“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის დანახარჯების რესტრუქტურიზაცია და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

**„კომპანიის“ მიზართ არ მოქმედებს კორპორაციული მართვის სავალდებულო მოთხოვნები.**

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს კორპორაციული მართვის კოდექსს და, დასავლურ სამართლებრივ სისტემებთან შედარებით, კორპორაციული მართვის სტანდარტები საქართველოში წაკლებად არის აღიარებული. ამასთან, ქართული კომპანიები არ არიან ვალდებული დაიცვან ის კორპორაციული მართვის პროცედურები, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, იმ სტანდარტებს, რომლებიც მოცემულია გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსში (მაისი, 2010), ამერიკის შეერთებული შტატების სარეზინზ-ოქსლის აქტში (2002), და სხვა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ შედგენის თარიღისათვის, „კომპანიას“ არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრი და არ აქვს შექმნილი აუდიტის კომიტეტი. შედეგად, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანიის“ ამჟამინდელი კორპორაციული მართვის პოლიტიკა შეესაბამება ან მომავალში იქნება შესაბამისობაში ამგვარ სტანდარტებთან.

**შრომითმა დაგვეხმა და გაფიცვებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქნოს „კომპანიის“ წარმოების დონეს და მომენტანობაზე.**

„კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ წარმოების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დავებმა პროფესიული მომსახურების შენელება, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომსმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომსმარებლებთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე. „კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომწოდებლების და დისტრიბუტორების შრომითმა დავებმა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფესიული მომსმარებლებთან.

„კომპანიის“, მისი მომწოდებლების და დისტრიბუტორების თანამშრომლების გაფიცვებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შენელებამ მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომენტის ფინანსური, ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის წარმოების უნარზე.

**ძორითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქნოს „კომპანიის“ სამუშაოთი და ფინანსურ შედეგებზე.**

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ-მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორებიცაა წარმოება, ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის შევრი წევრი წლების განმავლობაში მუშაობს ლუდისა და არა-ალკოჰოლური სასმელების წარმოების და „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიცირებული და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

თუკი „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის წევრები დატოვებენ მას და „კომპანია“ ვერ შეძლებს მათი შესაფერისი შემცვლელების დროულ მოძებნას და აყვანას, ამან შესაძლოა მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომენტის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის წარმოების უნარზე.

**საქართველოში განვითარებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები.**

„კომპანიის“ ოპერაციები ძირითადად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავალის დიდი ნაწილი მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად, „კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („მშპ“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის

გაცვლითი კურსები, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არსებითი გაფლენა აქვს მომზმარებლების მოთხოვნაზე „კომპანიის“ მომსახურების მიმართ.

**ინვესტიციის განხორციელება ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორიც საქართველოა, შეიცავს უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელება შედარებით განვითარებულ ბაზრებში.**

ინვესტორები, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორიც საქართველოა, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარ ბაზრებზე არსებობს უფრო მაღალი რისკები განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, მათ შორის, მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. აღნიშნული რისკები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მაღალი ცვალებადობით, შეზღუდული ლიკვიდურობით, ვიწრო საექსპორტო ბაზით, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტით და ცვლილებებით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში. ინვესტორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ იმგვარი განვითარებადი ეკონომიკა, როგორიც აქვს საქართველოს, ხშირად იცვლება და წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია შედარებით სწრაფად გახდეს მომველებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფცია, განვითარებად ბაზრებში, განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მთავრობის წარმომადგენლების კორუფციას და სახელმწიფო სახსრების არამართლობიერ გამოყენებას.

ამასთან, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც დაიწყო 2008 წელს, მძიმედ იმოქმედა საერთაშორისო ბაზრებზე. ფინანსურმა ბაზრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და აზიაში, განიცადა და ზოგიერთი მათგანი დღემდე განიცდის ისეთ უპრეცედენტო ცვლილებებსა და გარდაჯმნებს, რომლისთვისაც დამახსოვრებელია ფასიანი ქაღალდების ფასების უკიდურესი ცვალებადობა და შემცირება, მკვეთრად შემცირებული ლიკვიდურობა და კრედიტის ხელმისაწვდომობა, კაპიტალის ბაზრების შეზღუდული ფუნქციონირება, სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების გაკოტრება, წარუმატებლობა ან გაყიდვა, ასევე ინტერვენციის უპრეცედენტო დონე მთავრობების და სააგნეტოების (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობა და ევროპის ცენტრალური ბანკი) მხრიდან. გლობალური ფინანსური კრიზისის გარდა, რამდენიმე სახელმწიფოს მთავრობის საჭიროებამ დაეფინანსებინათ ბიუჯეტის ზრდადი დეფიციტი, განსაკუთრებით წავოთობის დაბალი საერთაშორისო ფასების გათვალისწინებით, და სხვა ფაქტორებმა უარყოფითად იმოქმედეს ფასიანი ქაღალდების სუვერენული და აკაზი-სუვერენული ემიტენტების ფინანსურ მდგომარეობასა და საკრედიტო რეიტინგებზე. კომპანიებზე, რომლებიც მდებარეობენ ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორიც საქართველოა, შესაძლებელია გავლენა იქონის კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების რღვევამ და დაფინანსების ხარჯების ზრდამ ან ხელმისაწვდომობის შემცირებამ, რამაც შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სირთულეები ამ კომპანიებისთვის. „კომპანია“ ვერ იწინასწარმეტყველებს იმ გავლენას, რაც გლობალური ბაზრების ცვალებადობის გაგრძელებამ ან განახლებამ შეიძლება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, თავის მხრივ, „კომპანიის“ ზიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

გარდა ამისა, კომპანიებისთვის კრედიტის ხელმისაწვდომობა განვითარებად ბაზრებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინვესტორის ნდობის ხარისხზე აღნიშნული ბაზრების ერთობლივობის მიმართ. საერთაშორისო ინვესტორების რეაციას იმ მოვლენებზე, რომლებიც ხდება ერთ განვითარებად ბაზარზე, აქვს „გადამდები“ ეფექტი და ამ შემთხვევაში მთლიანი რეგიონი ან ინვესტიციის კლასი კარგავს მიმზიდველობას ინვესტორებისთვის. ამგვარი მოვლენები მოიცავს საკრედიტო რეიტინგის შემცირებას ან სახელმწიფოს ან ცენტრალური ბანკის ჩარევას ერთ ან რამდენიმე ბაზარზე, მიუხედავად იმისა, ეს დაკავშირებულია თუ არა კონკრეტულ ქვეყნასთან ან რეგიონთან. თუ ადგილი ექნება ამგვარ „გადამდებ“ ეფექტს, შესაძლებელია საქართველოზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს წეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა სხვა ქვეყნების განვითარებად ბაზრებზე. წარსულში „გადამდებმა“ ეფექტებმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოზე, მათ შორის, რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა 1998 წელს და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, ასევე რეგიონში განგრძობადმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და ბაზრის ცვალებადობამ. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მასზე მსგავსი მოვლენები მომავალშიც არ იქონიებს გავლენას.

შედეგად, ინვესტიციის განხორციელება „კომპანიაში“ შეიცავს იმ რისკებს, რომელიც არ არის ტიპიურად დამახსიათებელი განვითარებული ბაზრებისთვის. აღნიშნულ რისკებს ემატება არასრული,

არასარწმუნო ან ხელმიუწვდომელი ეკონომიკური და სტატისტიკური მონაცემები საქართველოზე. შესაბამისად, პოტენციურმა ინვესტორებმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეაფასონ შესაძლო რისკები და, აღნიშნული რისკების გათვალისწინებით, თავად გადაწყვიტონ რამდენად არის მათ მიერ ინვესტიციის განხორციელება მიზანშეწონილი. განვითარებად ბაზრებში ინვესტიციის განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ გამოცდილი ინვესტორებისთვის, რომლებიც სრულად აცნობიერებენ შესაძლო რისკების მნიშვნელობას. „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, პოტენციური ინვესტორებისთვის აუცილებელია კონსულტაცია გაიარონ თავიანთ სამართლებრივ და ფინანსურ მრჩევლებთან.

### რეგიონალურმა დამაზულობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქანონს ადგილობრივ კონომიკას და კომპანიის ზონებზე.

საქართველო ესაზღვრება რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს და შესაძლებელია მასზე უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლიტიკურმა არეულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს დამაბული ურთიერთობა აქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან და ასევე რუსეთთან. აღნიშნული დამაბული ურთიერთობა დროთა განმავლობაში გამოიხატა სამშენებლო მიმდინარეობის დარღვევასა და არარეგულარულ მაღადობაში. 2008 წლის აგვისტოში მოხდა კონფლიქტის ესკალაცია სამხრეთ ოსეთის რეგიონში, სადაც ქართული სამხედრო მალები დაუპირისპირდნენ ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს და რუსეთის სამხედრო ძალებს, რომლებმაც გადმოკვეთეს საერთაშორისო საზღვარი. შედეგად, საქართველოში გამოცხადდა საბრძოლო მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და რუსეთმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც რუსეთს საკუთარი სამხედრო ძალები უნდა გაეყვანა საქართველოს ტერიტორიიდან იმავე თვის ბოლოს, რუსეთმა სკონ გამოყოფილი რეგიონების დამოუკიდებლობა და მას შემდეგ დამაბულობა მუდმივად გრძელდება, რამდენადაც რუსეთის სამხედრო ძალები აგრძელებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს ოკუპაციას. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულიდან დაწყებული, რუსეთის სასაზღვრო პოლიციამ რამდენჯერმე აღმართა მავთულხლართები საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებული დემარკაციული ხაზების გასწვრივ. მსგავსა ქმედებებმა მომავალში შესაძლებელია კიდევ უფრო გაზარდოს დამაბულობის დონე. რუსეთი ასევე წინაღმდეგია დასავლეთ ევროპაში „NATO“-ს გაფართოებით, რამაც პოტენციურად შეიძლება მოიცვას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, მათ შორის, საქართველო. საქართველოს მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნულს შედეგი არ მოჰყოლია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ფორმალური თუ სამართლებრივი ცვლილების კუთხით. ურთიერთობები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არის დამაბული და ამ ორ ქვეყანას შორის არარეგულარულად ადგილი აქვს მაღადობის შემთხვევებს. გეოპოლიტიკურმა დამაბულობამ რუსეთსა და უკრაინას შორის ასევე შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს კონომიკაზე. კრიზისი უკრაინაში დაიწყო 2013 წლის ბოლოს და ჯერ კიდევ გრძელდება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა სავაჭრო სანქციები დაუწესეს რუსეთს, რუს მაღალჩინოსნებს და კრემლის თანამდებობის პირებს, ასევე რამდენიმე რუსულ ბანქსა და კომპანიას. მიმდინარე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სამოქალაქო არეულობამ და სამხედრო კონფლიქტმა უკრაინაში, რუსეთსა და უკრაინას შორის არსებული გეოპოლიტიკური კონფლიქტის გაგრძელებამ ან შემდგომმა ესკალაციამ, სავაჭრო სანქციების შედეგად რუსეთის ეკონომიკის შემდგომმა შემცირებამ, ნავთობის ფასის დაცემამ ან ვალუტის გაუფასურებამ, გაურკვევლობის დონის ზრდამ, რეგიონალური, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის დონის ზრდამ და საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ნებისმიერმა შემდგომმა გაუარესებამ, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სტაბილურობაზე საქართველოში. თურქეთსა და უკრაინაში შესაძლო პოლიტიკურმა და/ან ეკონომიკურმა რეცენტებმა, შიდა დაპირისპირებამ ან ხელისუფლების ცვლილებამ შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოში არსებულ ეკონომიკურ ან პოლიტიკურ მდგომარეობაზე და გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ზონებზე. მეზობელ ქვეყნებში პოლიტიკურ არასტაბილურობას გავლენა აქვს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებზე, რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობაზე და სტაბილურობაზე.

**საქართველოში პოლიტიკური არასტატილურობის რისკის შესძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქმნოს „კომპანიის“ ზიზნესზე.**

1991 წელს დამოუკიდებლობის ადგგენის შემდეგ, საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია და ფედერალური სიციალისტური სახელმწიფოს შემადგენელი რესპუბლიკიდან გარდაიქმნა დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ. პოლიტიკური გარემო საქართველოში მკვეთრად ცვალებადი იყო 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში.

2012 წლის ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც მეთაურობდა ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი, მოიპოვა ხმების უმრავლესობა (54.97%). პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მმართველმა პარტიამ დამარცხება აღიარა, რასაც შედეგად მოჰყვა მაღაუფლების გადაცემა. საქართველოს პარლამენტმა პრემიერ-მინისტრად აირჩია ბ-ნი ივანიშვილი; თუმცა, 2013 წლის ნოემბერში ბ-ნი ივანიშვილი გადადგა და ამჟამად ადარ უკავია რაიმე თანამდებობა. ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც წარმოადგენდა ბ-ნი ივანიშვილის ახლო მოკავშირეს და იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, დასახელებულ იქნა ბ-ნი ივანიშვილის შემცვლელად და 2013 წლის 20 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. ირაკლი ღარიბაშვილი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა 2015 წლის 23 დეკემბერს. 2015 წლის 30 დეკემბერს იგი ჩაანაცვლა საგარეო საქმეთა მინისტრმა - გიორგი კვირიკაშვილმა ბოლო საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ჩატარდა 2016 წლის ოქტომბერში. 2018 წლის ივნისში ბ-მა გიორგი კვირიკაშვილმა დატოვა თანამდებობა და პრემიერ-მინისტრის პოსტზე არჩეულ იქნა ბ-ნი მამუკა ბახტაძე, რომელიც მანამდე იკავებდა ფინანსთა მინისტრის პოსტს, ხოლო მინისტრობამდე იყო სს „საქართველოს რეინიგზის“ გენერალური დირექტორი.

2003 წელს საქართველოში მომხდარი მშვიდობიანი რეფოლუციის შემდგომ, რომელიც ცნობილია „გარდების რევოლუციის“ სახელით, 2004 წლის იანვრიდან 2013 წლის ნოემბრამდე საქართველოს პრეზიდენტი იყო მიხეილ სააკაშვილი. 2013 წლის 27 ოქტომბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა გიორგი მარგველაშვილმა, რომელიც წარმოადგენდა კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატს. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში ჩატარდა 2018 წლის 28 ოქტომბერს, რაც, ამავდროულად, იყო უკანასკნელი არჩევნები, როდესაც პრეზიდენტი პირდაპირი გზით უნდა აირჩეს. არჩევნების პირველ ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, რის გამოც, დაინიშნა არჩევნების მეორე ტური. 28 ნოემბერს გამართულ მეორე ტურში გამარჯვება სალომე ზურაბიშვილმა (რომელსაც მხარს უჭირდა სახელისუფლები პარტია) მოიპოვა გამარჯვება და დაამარცხა გრიგოლ ვაშაძე - პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და ოპოზიციური პარტიების გაერთიანების კანდიდატი.

მთავრობის პროგრამის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის პრინციპებს, რაც მოიცავს ქონებრივი უფლებების დაცვას, თავისუფალ კონკურენციას და კერძო სექტორის თავისუფლებას ეფექტური და გამჭირვალე მთავრობის საფუძველზე. კოალიცია „ქართული ოცნება“ მიიჩნევა ბიზნესისა და ინვესტორების მიმართ მეგობრულად განწყობილ მმართველ მაღად და დღემდე რჩება იმ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის მხარდაჭერად, რომელიც ემსახურება საქართველოს ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და განვითარებას. ახალმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ წარადგენს დამატებით რეფორმებს, მათ შორის, საგადასახადო სისტემის რეფორმებს, რათა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ დაგეგმილი რეფორმები განხორციელდება ან აღნიშნულ ეკონომიკურ ზრდაზე ან სამთავრობო პოლიტიკაზე გავლენას არ იქონიებს ცვლილებები მთავრობაში ან მის სტაბილურობაში.

ნებისმიერმა პოლიტიკურმა არასტატილურობამ საქართველოში შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ზიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

**ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებოთად უარყოფითი გაფლუნ  
იქონიოს „კომპანიას“ შიზნებზე.**

ადრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა მშპ-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს მშპ-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გადარიცხვას.

2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, რაც გამოიწვია 2008 წლის კონფლიქტმა სამხრეთ ოსეთში და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა (რამაც შეაჩერა მთავრობის მიერ 2004 წელს განხორციელებული რამდენიმე ეკონომიკური რეფორმის შედეგად დაწყებული მაღალი ეკონომიკური ზრდა), საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა. საქსტატის ინფორმაციით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის იდენტობამ 2014 წელს მიაღწია 1,818 მილიონ აშშ დოლარს, 2015 წელს - 1,665.6 მილიონ აშშ დოლარს, 2016 წელს - 1,565.8 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო 2017 წელს - 1,894.5 მილიონ აშშ დოლარს. ამასთან, მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა 2014 წელს მიაღწია 4.6%-ს, 2015 წელს - 2.9%-ს, 2016 წელს - 2.8%-ს, ხოლო 2017 წელს - 4.8%-ს. ზრდის ტემპის გაუმჯობესება უმთავრესად გამოწვეული იყო ფაქტობრივი ზრდით მშენებლობაში, ფინანსურ წარმომადგენლობაში, უძრავ ქონებაში, სასტუმროებსა და რესტორნებში, და ასევე სავაჭრო და სატრანსპორტო სექტორებში. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ზრდა უმთავრესად გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოდინებამ ნიდერლანდებიდან, აზერბაიჯანიდან, ჩინეთიდან და შეერთებული შტატებიდან. საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ს 12.6% შეადგინეს (2016 წელს: 10.9%).

საქსტატის და სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მიმდინარე ანგარიშგების დეფიციტმა 2015 წელს მშპ-ს 12.6% შეადგინა, 2016 წელს - 13.1%, ხოლო 2017 წელს 8.8%. მიმდინარე ანგარიშების ბალანსის გაუმჯობესება საქონლის და ტურიზმის მომსახურების ექსპორტის ზრდამ გამოიწვია, ასევე დადებითი წლილი ჰქონდა გზავნილების ზრდას. ბალანსის გაუმჯობესების მიუხედავად, უარყოფითი სალდო კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ძირითადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ფინანსდება, იმ შემთხვევებში, თუ არ გაგრძელდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემთხვევა, მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტის გამო შესაძლოა მოხდეს ვალის ზრდა ან ლარის კურსის გაუფასურება და იმპორტის შემცირება, რაც არსებით ნეგატიურ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა არის საკმაოდ დოლარიზებული. „სებ“-ის მონაცემებით, დოლარიზაციის მაჩვენებელმა კომერციულ ბანკებში განთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებისათვის 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 59.58%-ს წარმოადგენდა, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 69.67%-ს, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 71.62%, ხოლო 2017 წლის მონაცემებით 67.95%-ს. მიუხედავად იმისა, რომ სებ-მა მიიღო ზომები საქართველოს საგალუპო ბაზრის განვითარების მხარდასჭრად, დოლარიზაციის მაჩვენებელმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს სებ-ის სავალუტო და გაცვლითი კურსების პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობაზე.

საქართველოს ეკონომიკაზე ასევე გავლენა მოახდინა რამდენიმე გარე ფაქტორმა, მათ შორის, რუსეთ-უკრაინის კრიზისმა, ეკონომიკის ვარდნამ რუსეთში და ვალუტის გაუფასურებამ პარტნიორ ქვეყნებში (თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ჩათვლით). აღნიშნული ფაქტორების შედეგად 2014-2016 წლებში შემცირდა საქართველოდან ექსპორტის იდენტობა, რამაც გამოიწვია უცხოეთიდან მიღებული შემოსავლის ნაკლებობა და, აშშ დოლარის კურსის გამყარების გათვალისწინებით, 2015 წელს ლარის 22%-ით გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებით. იმ დროს, როცა არსებული გაუფასურება დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას ამგვარ გარე ფაქტორებთან ადაპტაციაში, აღნიშნულმა დაამძიმა იმ მსესხებლების მდგომარეობა, რომლებსაც სესხები აღებული ჰქონდათ აშშ დოლარში, და გაზარდა მოთხოვნა ლარში დენომინირებულ სესხებზე. გარდა ამისა, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა (დეკემბერი დეკემბერთან), რომელიც

გაიზომა სამომხმარებლო ფასის ინდექსის საფუძველზე, 2014 წელს მიაღწია 2.0%, 2015 წელს - 4.9%-ს, ხოლო 2016 წელს - 1.8%-ს და 2017 წელს - 6.7%. 2017 წელს გაზრდილი ინფლაცია უმეტესად ისეთი ერთჯერადი ფაქტორებით იყო გამოწვეული როგორიცაა აქციზის განაკვეთის ზრდა თამბაქოს, ალკოჰოლსა და ნავთობპროდუქტებზე. მაღალმა და უწყვეტმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მომხმარებლის ყიდვა-უნარიანობის და თვითდაჯერებულობის შემცირება. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველო თავს გაართმევს არსებულ გარე ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის ეკონომიკაზე.

ნებისმიერმა ცვლილებამ სავალუტო პოლიტიკაში, აშშ დოლართან ან ევროსთან ლარის შემდგომმა გაუფასურებამ, ინფლაციის განვითარებისადმი ზრდამ ან სხვა ნეგატიურმა, მათ შორის, გარე ფაქტორებმა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე და ასევე ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

**შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის კარგავშირის კანონმდებლობისთან ჰარმონიზაციის კუთხით.**

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ვაჭრობის და კონკრეტული სექტორების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანავეთური საბუმაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე და გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკრენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა, „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. მაგალითად, „კომპანია“, შრომის კოდექსში ზემოთ მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, შეიტანა ცვლილებები თავის შრომით ხელშეკრულებებში. ცვლილებები მოსალოდნელია საქონლის უსაფრთხოებისა და მოსახურების მიწოდების სტანდარტის

რეგულაციებშიც. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

### **საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული გაუზვევლობა.**

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადგვალურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, სისხლის სამართლებრივი, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული კანონი ახლახან შევიდა მალაში. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლეები და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ნებართვების გაუქმება.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის მნიშვნელოვან რეფორმას. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით (კერძოდ, ევროპა და შეერთებული შტატები), საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. გადახდისუნარობის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა შედარებით მწირია, რაც ქმნის დამატებით გაურკვევლობებს კრედიტორებისათვის. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მასზე ეკონომიკური, პოლიტიკური და ნაციონალისტური ზეგავლენის არარსებობა არ არის შემოწმებული. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო მაღა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებინ საკანონმდებლო ხელისუფლების მოწყალების იმედად. გაურკვევლობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნებატიურად იმოქმედოს საქართველოს კონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

**საქართველოს საგადასახლო სისტემაში არსებულია გაუზვევლობაში შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება აკომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახლო კანონმდებლობას და პოლიტიკაში.**

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით, დიდი ხანი არ არის რაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა მაღა შევიდა. აღნიშნული წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები არის გაუგებარი და არსებობს მათი სხვადასხვანარი ინტერპრეტაცია და, შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახლო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოწვევის უზებულო სირთულეები „კომპანიის“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი მაღა შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრის ობიექტი გახდა ავანსები.

სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადსხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობასა და გაუგებრობას მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იძლევა საგადასახადო ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, გადასახადის გადამზღვების მიერ დაყენებული საგადასახადო საკითხების წინასწარ გადაწყვეტის მიზნით. „კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

### „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული რისკები

#### „ობლიგაციები“ წარმადგენს pari passu ფასიან ქრდალებს:

თუ ობლიგაციების პირობებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი შეზღუდვა, „ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით კომპანიამ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღო „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ მირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

#### ობლიგაციების დაფარვის რისკი.

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, კომპანიამ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან მირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

#### „ობლიგაციები“ არის საპროცენტო განკვეთთან დაკავშირებული რისკების საფანი.

„ობლიგაციების“ საპროცენტო განკვეთი არ არის ფიქსირებული და ცვლადია. როგორც ობლიგაციების პირობებით არის გათვალისწინებული, საბოლოო საპროცენტო განკვეთი დამოკიდებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განკვეთებზე. აღნიშნული საპროცენტო განკვეთი კი, ინფლაციის დონის და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის და სხვა საბაზო პირობების გათვალისწინებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს). „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს იმის რისკს, რომ საბაზო საპროცენტო განკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ ღირებულებასა და გადაყიდვის ფასზე.

#### „ობლიგაციების“ საფარო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვნებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომზღვეული არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციებით“ ვაჭრობა მოხდება მათი საწყისი გამოშვების შემდგომ, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი შეთავაზების ფასია;

აღნიშნული დამოკიდებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

**„ობლიგაციები“ არის გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკების და სავალუტო კონტროლის მექანიზმების ობიექტი.**

„კომპანია“, „ობლიგაციების“ ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის ლარში. ეს წარმომიმდევრული კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა მირითადად დენომინირებულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში („ინვესტორის ვალუტა“). აღნიშნული რისკები მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს (ლარის გაუფასურების ან „ინვესტორის ვალუტის“ რევალვაციის ჩათვლით) და რისკს, რომ „ინვესტორის ვალუტაზე“ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები. „ინვესტორის ვალუტის“ ლართან მიმართებით ღირებულების ზრდა შეამცირება: (i) „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ სარგებლელს „ობლიგაციებზე“; (ii) „ობლიგაციების“ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ საბაზრო ღირებულებას. მთავრობებმა და სავალუტო ორგანოებმა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში) შეიძლება დააწესონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები, რომლებმაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს გამოსაყენებელ გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

**შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ფარამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყოდვა.**

პროსპექტი განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (და არა - ნაწილობრივ) „ობლიგაციების“ განთავსებიდან ერთი წლის შემდეგ ნებისმიერ დროს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე, ობლიგაციონერისთვის ჩნდება იმაზე ნაკლები შემოსავლის/მოგების მიღების რისკი, ვიდრე მოელოდა, ამავე დროს, შეიძლება შეზღუდული იყოს გამოთავისუფლებული სახსრების სხვა მსგავსი ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტებში რეინვესტირების შესაძლებლობა.

**არსებობს კომპანიასა და განთავსების აგენტს, ასევე განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის პატენტური ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე.**

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. იმავდროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემბერი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმადება დაყუანილი შემდგომი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) სრულიად დაყოფილია და არანაირი კავშირი არ არსებობს „თიბისი კაპიტალს“ და მასთან დაკავშირებული ბანკის მენეჯმენტს შორის. ბანკს არ აქვს განთავსების აგენტის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ბერებები. შესაბამისად, განთავსების აგენტი მას მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანაბარუფლებიანობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა

განთავსების აგენტთან და „ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით; და

(გ) როგორც „ემიტენტსა“ და „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული ხელშეკრულებები, ასევე წინამდებარე ემისიის „პროპექტი“ ითვალისწინებს გადახდისა და კალკულაციის აგენტის შეცვლის შესაძლებლობას.

### ინვესტიციის კანონირების დადგენ.

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საგნად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა არის საინვესტიციო კანონმდებლობის ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციების საგანი, შესაძლებელია შეზღუდული პქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალო ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

### ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ „აკომისანია“ ანგარიშვალდებული საწარმო გახდება და მასზე დამატებითი სკანონმდებლო და ანგარიშების მოთხოვნები გაფრცელდება.

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანია გახდება „ანგარიშვალდებული საწარმო“ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისათვის. აღნიშნული კანონი აწესდეს სხვადასხვა თანხმობის მოპოვებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ დადებული ისეთი გარიგებებისათვის, რომელთა მიზნებისათვის ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ან ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელი აქციონერი მიიჩნევა დაინტერესებულ პირად (ასეთი შემთხვევები ჩამოთვლილია კანონში). ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მე-16<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, დაინტერესებული პირის მონაწილეობით დადებული გარიგებები, ასევე გარიგებები, რომელთა ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ზე მეტს უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ ან საერთო კრებამ, ხოლო თუ გარიგების ღირებულება აღმატება ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 50%-ს - საერთო კრებამ. ასევე საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს დაინტერესებული პირის მონაწილეობით დადებული ისეთი გარიგებები, რომელთა ღირებულება შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან მეტს ან მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, ამასთან, ამგარ ტრანზაქციას, მის დამტკიცებამდე, ამოწმებს გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი. გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი ამოწმებს იდება თუ არა გარიგება არსებითად იგივე პირობებით, რომლებითაც ის დაინტერესების არმქონე პირებს შორის დაიდებოდა. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება გარიგებზე, რომლებიც იდება ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შეილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის. გარდა ამისა, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია, უზრუნველყოს „სებ“-ის ინფორმირება ნებისმიერი ისეთი გარიგების დამტკიცების თაობაზე, რომელშიც დაინტერესებული პირები მონაწილეობენ, გარიგების მოცულობის, ხასიათის და აგრეთვე სხვა ძირითადი პირობების მითითებით და აგრეთვე, გამოაქვეყნოს მითითებული ინფორმაცია საკუთარ ან საფონდო ბირჟის ვებგვერდზე ან უზრუნველყოს ამ ინფორმაციის „სებ“-ის მიერ განსაზღვრული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეწება. გარკვეულ შემთხვევებში, ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაბათილება ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობა, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს ანგარიშგების ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია „სებ“-ს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მესაკუთრეებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა ხდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია აღნიშნული ანგარიშები მიაწოდოს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. „სებ“-ი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია. ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ვალდებულია „სებ“-ს და საფონდო ბირჟას წარუდგინოს ანგარიში საწარმოს იმ ფასიანი ქაღალდების პროცენტული ოდენობის შესახებ, რომლის რეგისტრირებული ან/და ბენეფიციარი მესაკუთრეც თავად არის. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის (ზემების 10%-ზე მეტის ფლობა ან საწარმოს სხვაგვარად გაკონტროლების შესაძლებლობა) განხორციელების შემთხვევაში, შემძენი პირი ან პირთა ჯგუფი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს „სებ“-ს, ემიტენტსა და საფონდო ბირჟას, რომელზეც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის დამატებითი ტვირთია და შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი საქმიანობის ეფექტუანობაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის შემოსავლების შეტკირება.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს ადგილობრივი კანონმდებლობის, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეფულირებელი კანონმდებლობის, მიახლოვება ევროკავშირის კანონმდებლობასა და დირექტივებთან. აღნიშნული ცვლილებების შედეგად „კომპანიას“ შესაძლოა დაეკისროს დამატებით პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, როგორც ანგარიშვალდებულ საწარმოს.

## მომავალზე ორიენტირებული განცხადებები

წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული განცხადებების ნაწილი შესაძლებელია წარმოადგენდეს „სამომავლო განცხადებებს“. სამომავლო განცხადებები შეიცავს განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას, რომელიც არ წარმოადგენს ისტორიულ ინფორმაციას.

ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მოსალოდნელი“, „სავარაუდო“, „მიზანი“, „პოტენციური“, „ელის“, „სჯერა“, „მიზნად ისახავს“, „გარაუდობს“, „პროექტი“, „შეიძლება“, „უნდა“, „შესაძლებელია“, „გეგმა“, „მიღწევა“ და სხვა მსგავსი გამონათქვამები გამოხატავს სამომავლო განცხადებებს, მაგრამ არ არის ერთადერთი საშუალება ამგვარი განცხადებების იდენტიფირებისთვის.

თავიანთი ბურჯიდან გამომდინარე, სამომავლო განცხადებები შეიცავს დამახასიათებელ რისკებს და გაურკვევლობებს, როგორც ზოგადს, ასევე კონკრეტულს, და არსებობს რისკი, რომ ვარაუდები, პროგნოზები და სხვა სამომავლო განცხადებები არ იქნება მიღწეული. აღნიშნული რისკები, გაურკვევლობები და სხვა ფაქტორები, მათ შორის, მოიცავს „რისკ-ფაქტორებში“ და ასევე „ემისიის პროსპექტშის“ სხვა ნაწილებში ჩამოთვლილ ფაქტორებს. ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შესაძლებელია გამოიწვიოს ფაქტორივი შედეგები, რომლებიც არსებითად განსხვავდება სამომავლო განცხადებებში მოცემული გეგმებისგან, მიზნებისგან, მოლოდინებისგან, ვარაუდებისგან და განზრახვებისგან.

შესაბამისად, ინვესტორები ზედმეტად არ უნდა დაეყრდნონ სამომავლო განცხადებებს და, სამომავლო განცხადებების განხილვისას, ფრთხილად უნდა გაანალიზონ აღნიშნული ფაქტორები და სხვა გაურკვევლობები და მოვლენები. წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ სამომავლო განცხადებები მოცემულია „ემისიის პროსპექტშის“ გამოცემის დროს არსებული მდგომარეობით. „კომპანია“ არ იღებს ვალდებულებას განაახლოს ან შეასწოროს რომელიმე მათგანი (ახალი ინფორმაციის, სამომავლო მოვლენების ან სხვა საფუძვლით), გარდა გამოსაყენებელი სამართლით განსაზღვრული შემთხვევებისა. „კომპანია“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას ან ვარაუდს და არ იძლევა რაიმე გარანტიას, რომ სამომავლო განცხადებებით ნავარაუდები შედეგები მიღწეულ იქნება, და ამგვარი სამომავლო განცხადებები, თითოეულ შემთხვევაში, წარმოადგენს რამდენიმე მოსალოდნელი სცენარიდან ერთ-ერთს და არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ყველაზე მეტად მოსალოდნელი ან სტანდარტული სცენარი. წინამდებარე გამაფრთხილებელი განცხადებები ეხება „კომპანიის“ ან „კომპანიის“ სახელით მოქმედი წებისმიერი პირის მიერ გაკეთებულ ყველა სამომავლო განცხადებას და ასევე წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემულ, მესამე პირების მიერ გაკეთებულ ნებისმიერ პროგნოზს.

## მიღებული სახსრების გამოყენება

„კომპანია“ გეგმავს, რომ „ობლიგაციების“ შეთავაზებიდან მიღებული სახსრები გამოიყენოს კაპიტალური ხარჯების, საბრუნავი კაპიტალის, ან/და სესხების რეფინანსირების დასაფინანსებლად.

კერძოდ, „ობლიგაციების“ განთავსების შედეგად მიღებული სახსრები სრულად მოხმარდება შემდეგ დანახარჯებს:

(ათას ლარში)

### „თიბისი ბანკში“ არსებული სესხების გადაფარვა:

BLOAN-29 6.75ML - გრძელვადიანი სესხი (დარჩენილი ვადიანობა: 0.6 წელი; ვალუტა: ლარი; გადახდის ტიპი: ანუიტეტი)	2,226
BLOAN-23 3.9ML - შუალედური სესხი (დარჩენილი ვადიანობა: 0.2 წელი, ვალუტა: ლარი, გადახდის ტიპი: ბულეტი)	3,731
BLOAN-25 1.0ML - შუალედური სესხი (დარჩენილი ვადიანობა: 0.2 წელი, ვალუტა: ლარი, გადახდის ტიპი: ბულეტი)	1,000
BLOAN-30 12 ML - გრძელვადიანი სესხი (დარჩენილი ვადიანობა: 4.6 წელი; ვალუტა: ლარი; გადახდის ტიპი: ანუიტეტი)	11,215

სულ „თიბისი ბანკში“ არსებული სესხების გადაფარვა: **18,172**

### კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება:

დეალკოლაიზერის დანადგარის შემენა	1,200
საცალო გაყიდვის პუნქტებში განსათავსებელი მაცივრების შემენა	2,000
ბრენდირებული რესტორნის მშენებლობა*	
ცილინდრულ ფერმენტაციის ავზების შეძენა*	3,628*
მარკეტინგული მასალების (ლაიტბოქსები, ჩამოსასხმელი აპარატები, ქოლგები, მაგიდა-სკამები, კასრები, ყუთები და სხვა) შეძენა*	3,628*
სულ კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება:	<b>6,828</b>
სულ მიღებული სახსრების გამოყენება:	<b>25,000</b>

შენიშვნა: \* 3,628 ათასი ლარით დაფინანსდება ზემოაღნიშნული სამი პროექტის ნეტისმიერი კომშინაცია.

## კაპიტალიზაცია და დავალიანება

შემდგომ ცხრილში მოცემულია „კომპანიის“ კაპიტალიზაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც მიღებულია „კომპანიის“ აუდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან და „კომპანიის“ კაპიტალიზაცია 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, რომელიც მიღებულია „კომპანიის“ არააუდირებული მენეჯერული ფინანსური ანგარიშგებიდან. ეს ცხრილი წაკითხულ უნდა იქნას ამ „ემისიის პროპერტეტში“ მოცემულ „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებთან ერთობლიობაში.

ათას ლარში	31 დეკემბერი 2017	30 სექტემბერი 2018	30 სექტემბერი 2018
	აუდირებული	არააუდირებული	ობლიგაციების განთავსების შემდეგ
საბანკო სესხები	23,739	31,526	13,354
ძირითადი საშუალებების დასაფინანსებელი ვალდებულებები	15,647	11,506	11,506
ლარის ობლიგაციები	-	-	25,000
სულ საპროცენტო ვალდებულებები	39,386	43,032	49,860

ახალი ობლიგაციების განთავსების შედეგად მიღებული თანხა იქნება გამოყენებული სესხების რეფინანსირების და კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად. დეტალები იხილეთ თავში: „მიღებული სახსრების გამოყენება.“

### 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 30 სექტემბრამდე აღებული ახალი სესხების მიმოხილვა:

2018 წლის 24 აგვისტოს „კომპანიამ“ სს „თიბისი ბანკთან“ გააფორმა N50075 საბანკო (ვადიანი) სესხის ხელშეკრულება (შემდგომში „RSF სესხი“), რომლის თანადაფინანსებაც ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ, EBRD-სა და ბანკს შორის 2005 წლის 13 ივნისს გაფორმებული RSF-ის ჩარჩო ხელშეკრულების შესაბამისად. მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, „კომპანია“ მიღებს არაუმტეს 6 მილიონი ეუროს მოცულობის სასყიდლიან სესხს ვადით 60 (სამოცი) თვემდე. RSF სესხის ათვისება ეტაპობრივად ხდება და მისი მეშვეობით ხორციელდება „თიბისი ბანკის“ წინაშე „კომპანიის“ ამჟამად არსებული სასესხო ვალდებულებების ნაწილობრივ რეფინანსირება - შესაბამისად RSF სესხის ათვისებით არ იცვლება „კომპანიის“ ჯამური ვალდებულებები.

სესხების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ფინანსური ინფორმაცია“ – „სესხები და ობლიგაციები“.

2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით „თიბისი ბანკის“ აუთვისებელი სესხების ბალანსი შემდეგი იყო:

- აუთვისებელი საკრედიტო ხაზი: 4.3 მილიონი ლარი
- აუთვისებელი გრძელვადიანი სესხი: 8.9 მილიონი ლარი

2018 წლის 30 სექტემბრიდან ობლიგაციების გამოშვებამდე კომპანიის კაპიტალიზაციაში მატერიალური ცვლილება არ მომზდარა.

## **„კომპანიის“ საოპერაციო გარემოს და საქმიანობის მიმოხილვა**

**მაკროეკონომიკური სიტუაციის მიმოხილვა**

### **ეკონომიკური ზრდა და დასაქმება**

საქართველოს გააჩნია ფართოდ დივერსიფიცირებული მშპ, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას. საქსტატის მონაცემებით, 2016 წელს რეალური მშპ 2.8%-ით გაიზარდა და მიმდინარე ფასებით 14.4 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია (3,865 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე), ხოლო 2017 წელს რეალური მშპ 4.8%-ით გაიზარდა და მიმდინარე ფასებით 15.1 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია (4,046 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე). ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეალური მშპ წელიწადში საშუალოდ 3.74%-ით იზრდებოდა. მშპ-ის ზრდა განპირობებული იყო, ძირითადად, მომსახურების სექტორის ზრდით. ორნიშნა ზრდა დაფიქსირდა სამშენებლო სექტორში - 2017 წელს წინა წელთან შედარებით, სამშენებლო სექტორი, მიმდინარე ფასებით, 27%-ით გაიზარდა, 16%-იანი ზრდა დაფიქსირდა უძრავი ქონებით ოპერაციებშიც (იჯარა). 2017 წელს მშენებლობის წილი მშპ-ში 8.3%, ხოლო უძრავი ქონებით ოპერაციების წილი - 6.1% იყო.

საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური გავლენა იქონია ეფროკავშირის - საქართველოს ყველაზე მსხვილი სავჭრო პარტნიორის - ეკონომიკის მოსალოდნებულზე მაღალმა ზრდამ. გარდა ამისა, ყოფილი დსტ-ის ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკებმა დაიწყეს იმ რეცესიიდან გამოსვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2014-2016 წლებში. ეს ვითარება აისახა ექსპორტის ზრდაში, ტურიზმის გაზრდილ მოცულობასა და გაზრდილ ფულად ტრანსფერებში.

სარეიტინგო კომპანია Moody's-მა, 2017 წლის სექტემბერში, საქართველოს სახელმწიფო საკრედიტო რეიტინგი „Ba2“-დან Ba2-მდე გაზარდა, სტაბილური პერსპექტივით. საკრედიტო რეიტინგის ცვლილება განაპირობა გაუმჯობესებულმა სავჭრო და საინვესტიციო ურთიერთობებმა, ასევე გაუმჯობესებულმა საბანკო ზედამხედველობის მეთოდოლოგიამ. 2018 წლის მარტში სარეიტინგო კომპანია Fitch-მაც გადახედა საქართველოს საკრედიტო რეიტინგს და სტაბილურიდან, „BB-“ პოზიტიურად, შეცვალა. „S&P“-ის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო საკრედიტო რეიტინგი ასევე „BB-“ არის.

### **საგადასახდელო ზალამში და საერთაშორისო ვაჭრობა**

ქვეყნის სახელმწიფო ვალის ფარდობა მშპ-სთან 2014 წლიდან 2017 წლამდე 35%-დან 44%-მდე გაიზარდა. სახელმწიფო ვალის 80% საგარეო ვალზე მოდის. ბოლო წლებში დაფიქსირებული ზრდა გარკვეულწილად გამოიწვეული იყო ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად აღმტული შედავათანი ვალებით და ლარის გაუფასურებით. რადგან საგარეო ვალის უდიდესი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. მთავრობის სახელმწიფო ვალის პოლიტიკა მოიცავს ლარში დენომინირებული შიდა ვალის წილის ზრდის მეშვეობით სავალუტო რისკების შემცირებას და შედეგად სახელმწიფო ვალის მდგრადობის გაუმჯობესებას. საგარეო ვალის უმცესობა ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების შედეგადაა წარმოქმნილი და ძირითადად გრძელვადიანია, რაც რეფინანსირების რისკს ამცირებს, ამასთან სახელმწიფოს საგარეო ვალზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 2%-ს შეადგინს, რაც საპროცენტო გადასახდელების დაბალ ტვირთზე მიუთითებს.

2017 წელს ექსპორტის მოცულობა, წინა წელთან, შედარებით 29.5%-ით გაიზარდა. ყველაზე მეტად ექსპორტი დსტ-ის ქვეყნებში გაიზარდა (60.6%-ით, წინა წელთან შედარებით), რაც განპირობებული იყო ამ ქვეყნების 2013-2016 წლების ეკონომიკური რეცესიიდან გამოსვლით. ექსპორტი 15.8%-ით გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებშიც. აღსანიშნავია, ჩინეთში ექსპორტის 15.7%-იანი ზრდა. 2017 წლის მონაცემებით, ჩინეთი საქართველოს მეუთე უმსხვილესი პარტნიორი იყო ექსპორტირებული საქონლის მიხედვით. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის დასაწყისიდან, ხელს შეუწყობს ექსპორტის კიდევ უფრო მეტ ზრდას ჩინეთში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ბაზარია

2017 წელს წინა წელთან შედარებით საქონლის იმპორტი 8.85%-ით გაიზარდა, რაც განპირობებული იყო ერთის მხრივ გაზრდილი სამოშმარებლო მოთხოვნით, ხოლო მეორეს მხრივ საწვავზე ფასების ზრდით. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, ნავთობპროდუქტების იმპორტის მოცულობა გაიზარდა 12.42%-ით.

საგაფრო ბალანსი წინა წელთან შედარებით, დაახლოებთ, 0.4%-ით გაუარესდა და აბსოლუტურ მაჩვენებლებში, 5,204 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ტურიზმიდან შემოსავალი 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, 27%-ით გაიზარდა და შეადგინა დაახლოებით 2.75 მილიარდი აშშ დოლარი. 2017 წელს საქართველოს 7.9 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია, ვიზიტორების მირითადი ნაწილი მეზობელი ქვეყნებიდან იყვნენ, თუმცა მზარდია ტურისტების ნაკადი ევროკავშირის და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან.

### ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკა


ფასების სტაბილურობის მისაღწევად სებ-ი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს მისდევს. სებ-ის ინფლაციის სამიზნე ნიშნული 2017 წლისთვის იყო 4%, 2018 წლისთვის კი - 3%. 2017 წელს წლიურმა ინფლაციამ 6.7% შეადგინა (დეკმბერი დეკემბერთან), რაც ადემატებოდა სებ-ის სამიზნე ნიშნულს. წლიური ინფლაციის ზრდა გამოწვეული იყო საწავის საერთაშორისო ფასების ზრდითა და აქციზის განაკვეთის ზრდის შედეგად გამოწვეული ფასების ერთჯერადი ეფექტით. 2018 წლის ოქტომბრის წლიური ინფლაცია 2.3%-მდე შემცირდა ერთჯერადი ეფექტის ამოწურვასთან ერთად.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2018 წლის 25 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით, 7.0%-მდე შემცირდა. საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ შესუსტებულია ინფლაციის პროგნოზზე ზრდის მიმართულებით მოქმედი რისკები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სებ-ის მონეტარულმა კომიტეტმა მიზანშემონილად მიიჩნია ზომიერად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივად გამოსვლის დაწყება. თუმცა, მოთხოვნის გაუმჯობესების ფონზე, რამაც შესაძლოა ზეწოლა მოახდინოს ინფლაციაზე, მონეტარული პოლიტიკის შერმოძლება უფრო ნელი ტემპით გაგრძელდება, ვიდრე ეს წინა პროგნოზით იყო ნავარაუდევი. შესაბამისად, 7.0%-იანი მაჩვენებელი უცვლელი დარჩა 2018 წლის 5 სექტემბრის და 2018 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით.

### ბიზნეს გარემო საქართველოში და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


ბოლო ათწლეულის განმავლობაში გატარებულმა წარმატებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ბიზნეს-გარემო საქართველოში. 2019 წელს მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველო მე-6 ადგილზე გავიდა ბიზნესის სიმარტივით, ხოლო „Heritage Foundation“-ის 2018 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შეფასებით საქართველო მე-16 ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა იყო. საქართველოს საინვესტიციო გარემო მიმზიდველს ხდის მას საერთაშორისო ინვესტორებისთვის. 2014 წელს მიღებულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ხოლო სხვადასხვა ქვეყნებთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები ხელს უწყობს ინვესტიციების შემოდინებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება დადებითადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული. 2016 წელს ინვესტიციების მოცულობამ 1.57 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2017 წელს - 1.89 მილიარდი აშშ დოლარი. საქართველოს არ გააჩნია შეზღუდვები კაპიტალის მომრაბაზე და აქვს საგადასახადო შეღავთები, რომლებიც ხელს უწყობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიარდი აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

### სამომზარებლო ფასების ინფლაცია



## ბოლო პერიოდის ეკონომიკური განვითარებები

საქართველოს წინასარი ინფორმაციით მშპ-ს რეალური ზრდა 2018 წლის ოქტომბერში 6.7% იყო, ხოლო 2018 წლის 10 თვეში მშპ-ს საშუალო ზრდა 5.1% იყო.

საქართველოს მონაცემებით, 2018 წლის III კვარტალში საქონლის ექსპორტი 21.1%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ევროკავშირში ექსპორტი 1.7%-ით შეცვირდა, ხოლო დასტ-ს ქვეყნებში ექსპორტი 41.9%-ით და დანარჩენ ქვეყნებში - 9.5%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში საქონლის იმპორტი 11.8%-ით გაიზარდა, რაც გაუმჯობესებულ მოხმარებაზე მეტყველებს.

შემოსავლები ტურიზმიდან კვლავ გაიზარდა 2018 წლის III კვარტალში და 11.7%-იან წლიურ ზრდას მიაღწია. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები, ევროკავშირიდან ტურისტების მოცულობა 39.0%-ით გაუმჯობესდა, დასტ-დან - 9.6%-თ, ხოლო სხვა ქვეყნებიდან 4.0%-ით.

2018 წლის III კვარტალში 12.0%-ით გაუმჯობესდა ფულადი გზავნილების მოცულობები. ზრდის მთავარი მამოძრავებელი ევროკავშირის ქვეყნები იყო. გზავნილები დასტ-დან 3.6%-ით, ხოლო სხვა ქვეყნებიდან - 7.5%-ით გაიზარდა.

2018 წლის 25 ივლისს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი 25 საბაზო პუნქტით შეამცირა 7.00%-ის ნიშნულამდე. 2018 წლის 24 ოქტომბერს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი უცვლელად დატოვა 7.00%-ის ნიშნულზე. სეზ-ის მოლოდინით 2018 წელს ინფლაცია შენარჩუნდება სამიზნე მაჩვენებელის - 3%-ის - ფარგლებში.

## მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა „კომპანიის“ საქმიანობაზე

ზემოაღნიშნული მაკროეკონომიკური ფაქტორები პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ „კომპანიის“ საქმიანობასა და მის ფინანსურ შედეგებზე.

უცხოურ ვალუტებთან ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება რამდენიმე მიმართულებით ახდენს ზემოქმედებას „კომპანიის“: (1) „კომპანიის“ მიერ წარმოებაში გამოყენებული მარაგებისა და სახარჯი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შემცნა უცხოეთიდან ხდება და ეს შესყიდვები უმეტესად აშშ დოლარსა და ევროშია დენომინირებული. ლარის გაცვლითი კურსის გაუარესება წარმოებაში გამოყენებული საქონლის თვითდირებულებას ზრდის რაც ამცირებს კომპანიის საერთო მოგებას; (2) კომპანიის საწარმოო დანადაგარები უცხოური წარმოებისა და მათი შემცნა უცხოურ ვალუტაში ხდება. კურსის გაუარესება ლარში გაზომილი კაპიტალური დანაბარებების ზრდას გამოიწვევს; (3) ობლიგაციების გამოშვების შემდეგ „კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი ნაწილი უმეტესად ევროში იქნება დენომინირებული. ევროს მიმართ ლარის კურსის ცვლილება კომპანიის სასესხო წევების დონეზე იქონიებს ზეგავლენას.

ტრადიციულად ლუდის ინდუსტრია საკმაოდ მდგრადია ეკონომიკური რეცესიების მიმართ რადგან ლუდი მყიდველებისთვის რეგულარული მოხმარების პროდუქტს წარმოადგენს და ეკონომიკის ზრდის ტემპის ცვლილებასთან შედარებით ლუდის მოხმარების დონე უფრო სტაბილური არის. „კომპანიის“ გაყიდვებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკას: ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზი მოცულობის მიხედვით ითვლება და აქციზური განაკვეთის ცვლილებას ყველაზე დიდი გავლენა ხელმისაწვდომი ფასის მქონე ლუდებზე აქვს. 2014-2015 წელებში აქციზური გადასახადის ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთლიან ინდუსტრიაზე.

ქვეყანაში ტურისტული ვიზიტების რაოდენობა გავლენას ახდენს „კომპანიის“ გაყიდვებზე, რადგან ტურისტები ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების სასმელების გასინჯვას ამჯობინებენ. გაყიდვებზე ასევე მოქმედებს კლიმატური პირობები. გაყიდვების პიკი ზაფხულის თვეებზე მოდის და ცივი და წვიმიანი ზაფხული უარყოფით ზეგავლენას ახდენს გაყიდვებზე.

რეგიონალურ მაკროეკონომიკურ რყევებს გავლენა აქვთ მთელ ეკონომიკაზე, მათ შორის „კომპანიაზე“. თურქეთში მიმდინარე ეკონომიკურ რყევებს გავლენა აქვს ისეთ პარამეტრებზე, როგორებიცაა

თურქეთიდან ტურისტების შემოსვლის რაოდენობა, თურქეთიდან შეძენილი ძირითადი საშუალებების ღირებულება და ა.შ.


#### **ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები**

საქართველოს მონაცემების მიხედვით, 2018 წელს ქვეყნის მოსახლეობამ 3.7 მილიონი ადამიანი შეადგინა, რაც თითქმის უცვლელია წინა წლის მონაცემებთან შედარებით. თბილისში 1.2 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რაც მთლიანი მოსახლეობის 31%-ს შეადგენს. ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს. შემდგომი ცხრილი აჩვენებს მოსახლეობის რაოდენობას რეგიონების მიხედვით:

(ათასებში)	2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	
თბილისი	1,158.7	31.1%
იმერეთი	507.0	13.6%
ქვემო ქართლი	432.3	11.6%
აჭარის არ	346.3	9.3%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	320.8	8.6%
კახეთი	314.7	8.4%
შიდა ქართლი	259.3	7.0%
სამცხე-ჯავახეთი	155.9	4.2%
გურია	110.5	3.0%
მცხეთა-მთიანეთი	93.9	2.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30.2	0.8%
	<b>3,729.6</b>	<b>100%</b>

## ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოების პროცესი

ლუდის წარმოების პროცესი მოყვანილია შემდეგ დიაგრამაში:



წყარო: *Encyclopedia Britannica*

ლუდის წარმოების პროცესი შედგება შემდეგი ძირითადი ეტაპებისაგან:

- ალაოს დაღურღვა:** ლუდის ტიპიდან გამომდინარე შეირჩევა შესაბამისი ალაო და მომზადდება ალაოს კუპაჟი. ალაო დაიღურღვება საფქვავში რათა მოხდეს ფერმენტაციისთვის საჭირო ბუნებრივი სახამებლის გამოთავისუფლება.
- ლუდის ტებილის მიღება:** დაღურღვილ ალაოს ურევენ წყალში. ტემპერატურა ლუდსახარშ ქვაბში იცვლება ეტაპების შესაბამისად, რომლის დროს სახამებელი მარცვლებში ბუნებრივი ენზიმების მეშვეობით გარდაიქმნება შაქრად და ხსნად ნივთიერებებად. მიღებული ნარევი ამ დროს ღებულობს მოტკბო გემოს.
- ლუდის ტებილის გაცალვევება:** ხდება ლუდის ტებილის და ალაოს მარცვლების გაცალვევება სპეციალური საცერის მეშვეობით.
- ლუდის ხარშვა:** ტკბილი გადადის სახარშ ქვაბში, სადაც ის დუღდება კონტროლირებად გარემოში და პერიოდულად ემატება სცია სიმწარისა და არომატისათვის.

- **გაციება:** ადულებული მასა იწმინდება ალაოსა და სვიის ნარჩენებისგან და ცივდება ფერმენტაციისთვის საჭირო ტემპერატურამდე.
- **ფერმენტაცია:** ფერმენტაციის პროცესის დროს ხდება საფუვრის დამატება. საფუარი გარდაქმნის ალაოს შაქარს ალკოჰოლად და სტენს მას სპეციფიურ გემოვნებას. ამ პროცესის დროს ასევე წარმოიქმნება ნახშირორეანგი (CO<sub>2</sub>). პროცესი რამდენიმე კვირა გრძელდება და მის დასასრულს საცავში არსებული სითხე ლუდად გარდაიქმნება.
- **ლუდის მომწიფება:** ფერმენტაციის შემდეგ ხდება „მწვანე“ ლუდის მომწიფება რათა სრულად მოხდეს გემოსა და სურნელის გაჯერება.
- **ფილტრაცია და ჩამოსხმა:** მომწიფებული ლუდი იფილტრება და ხდება მისი ჩამოსხმა კეგებსა და ბოთლებში

**უალკოჰოლო სასმელების წარმოება:**

უალკოჰოლო სასმელები იწარმოება სპეციალურ საამქროებში სადაც ხდება წყლის გაფილტვრა, ხარისხის დექლორიზაცია და სტერილიზაცია, შერევა ინგრედიენტებთან როგორებიცაა გემოს კონცენტრატები, შაქარი და ბუნებრივი ან ხელოვნური სიროპი. საჭიროების შემთხვევაში ხდება კარბონიზაცია და პროცესის ბოლოს ხდება სასმელების ჩამოსხმა ბოთლებში. ლუდისგან განსხვავებით უალკოჰოლო სასმელების წარმოების პროცესი მხოლოდ რამდენიმე დღეს საჭიროებს.

**არაალკოჰოლური გაზიანი სასმელების წარმოების საფეხურები:**


- შაქრის გახსნა წყალში
- შაქრის სიროფის ფილტრაცია
- შაქრის სიროფის პასტერიზაცია
- შაქრის სიროფის გადატანა შემრევ ტანკში
- შემრევ ტანკში სხვადასხვა ინგრედიენტების დამატება
- მზა სიროფის გადატანა მიქსერში
- მიქსერში სიროფის წყალთან შერევა და კარბონიზაცია
- მზა სასმელის ჩამოსხმა სხვადასხვა ტარაში

**არაალკოჰოლური არაგაზირებული სასმელების წარმოება**

- შემრევ ტანკში კონცენტრირებული ხილის წვენის შეტანა (წვენების შემთხვევაში)
- შემრევ ტანკში სხვადასხვა ინგრედიენტების დამატება (რეცეპტურის მიხედვით)
- მზა სასმელის გადატანა პასტერიზატორში/ 30 წამიანი პასტერიზაცია და გაციება
- მზა სასმელის დეაირირება
- მზა სასმელის ჩამოსხმა ასეპტიკურ დანადგარზე

**ლუდის წარმოების სეზონურობა**

ლუდის სექტორი ხასიათდება სეზონურობით და გაყიდვების ყველაზე დიდი წილი ზაფხულის ცხელ თვეებზე მოდის. ქვემოთა გრაფიკში მოცემულია კომპანიის ყოველთვიური ფინანსური ნაკადების ჩაშლა 2017 და 2018 წლები, რომლებიც აჩვენებენ რომ ფულადი შემოსულობები და გასავლები მაქსიმუმს აგვისტოს თვეში აღწევენ:



წყარო: კომპანიის შიდა არაუდირებული მონაცემები

„კომპანია“ სეზონურობის რისკებს შესაბამისი რაოდენობის ნედლეულისა და სხვა სასაქონლო მარაგების შეძენის მეშვეობით მართავს. წარმოების სწორი დაგეგმვის მეშვეობით „კომპანია“ წინასწარ მოყლის მოთხოვნის სეზონურ ზრდას და შესაბამისი რაოდენობის პროდუქციას ამზადებს რათა სრულად დაკამაყოფილოს საბაზრო მოთხოვნა. მოულოდნელზე მაღალი ან დაბალი მოთხოვნის შემთხვევაში „კომპანიას“ შეუძლია შესაბამისად ააჩქაროს ან შეანელოს წარმოების პროცესი რათა არ მოხდეს არასაკმარისი ან ზედმეტი მზა პროდუქციის მარაგების გაჩენა. საბრუნვავი კაპიტალის სეზონური ზრდის დასაფინანსებლად „კომპანიას“ შეუძლია გამოიყენოს როგორც მომწოდებელთა კრედიტი სავაჭრო ვალდებულებების სახით, ასევე მოკლევადიანი საკრედიტო ხაზები.

#### ლუდისა და უალკოჰოლო ბაზარზე შესვლის ბარიერები

ლუდისა და უალკოჰოლო ბაზარზე შესვლას საკმაოდ მაღალი ბარიერები ახლავს თან. საწარმოო ხაზების დასაპროექტებლად სექტორისა და წარმოების პროცესის მაღალ დონეზე ცოდნაა აუცილებელი, ხოლო მათ ასაშენებლად მრავალმილიონიანი კაპიტალური დანახარჯებია საჭირო. რადგან წარმოებული პროდუქცია ყოველდღიური მოხმარების საგანს წარმოადგენს, საჭირო არის მრავალი ლიცენზია და ნებართვა. საწარმოს არასწორი ტექნიკური დაგეგმარების შემთხვევაში არსებობს რისკი რომ მშენებლობის პროცესის ბოლომდე მიყვანის მიუხედავად ახალი საწარმო ვერ შეძლებს შესაბამისი ხარისხისა, სტანდარტებისა და სხვა სალიცენზიო მოთხოვნების შესაბამისი პროდუქციის წარმოებას. ქართულ ბაზარზე ასევე რთულია კვალიტიცირებული თანამშრომლების მოძრვა, განვითარება და შენარჩუნება რაც დამატებით მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს რადგან ახალი კადრების გაზრდას მრავალწლიანი და ძვირადღირებული ინვესტიცია სჭირდება, ხოლო უცხოეთიდან სპეციალისტების ჩამოყვანა მაღალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

#### ურთიერთობა მომწოდებლებთან

მომწოდებლებთან „კომპანიის“ ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი ეხება ნედლეულისა და შესაფუთის შესყიდვას. „კომპანიის“ პორტფელიდან წარმოების ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი საჭიროა ლუდის მოსამზადებლად: დაახლოებით 15-21 დღე (დამოკიდებულია ლუდის ტიპზე). ასევე ყველა

დიდი დრო ნედლეული მისაღებად საჭიროა ალაოსთვის (ლუდის ძირითადი ინგრედიენტი სვიასთან ერთად).

ნედლეულის და საქონლის შემცირის პროცესი არის შემდეგი: წლის ბოლოს ხდება შემდეგი წლის გაყიდვების (მოცულობების) დადგენა და აქედან გამომდინარე ხდება წლის განმავლობაში საჭირო ნედლეულის დათვლა. შემდეგ არსებული მარაგების, მინიმალური მარაგებისა და გასაყიდად საჭირო მარაგებიდან გამომდინარე ხდება მომწოდებლებთან დაკავშირება და წლის გეგმების შეთანხმება.

„კომპანია“ ძირითად აფორმებს ერთ წლიან ხელშეკრულებებს, რადგან რთულია მოსავლის, კურსების და ა.შ. პროგნოზი უფრო ხანგრძლივი პერიოდით. დამატებით, მომწოდებელებსაც იგივე მიზეზით უჭირთ გრძელვადიანი ფასის შემოთავაზება. ყველა საჭირო მარაგზე კომპანიას 2-3 მომწოდებელი ჰყავს. მაგ: ალაოს კომპანია ყიდულობს უკრაინიდან და გერმანიდან. ეტიკეტზე მომწოდებლები არიან როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე თურქეთში და ა.შ.

„კომპანია“ არ არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული რომელიმე მომწოდებელზე, რადგან ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისთვის საჭირო ნედლეული და სხვა სასაქონლო მარაგები ფართოდაა ხელმისაწვდომი როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონალურ და ადგილობრივ ბაზრებზე. „კომპანიას“ წარსულში შეუცვლია სხვადასხვა მომწოდებლები უკეთესი ფასისა და ხარისხის მისაღებად წარმოების პროცესის შეფერხებებისა და დარღვევების გარეშე.

მოწოდების პირობები ინდუსტრიისთვის სტანდარტულია და „კომპანიას“ საშუალებას აძლევენ საბრუნავი კაბიტალის მნიშვნელოვნანი ნაწილი სავაჭრო ვალდებულებების მეშვეობით დააფინანსოს. ტრანსპორტული დრო დამოკიდებულია მომწოდებლის ადგილმდებარეობაზე და რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდე მერყეობს. „კომპანიის“ წარმოებაში საჭირო ნედლეული ფართოდ იწარმოება მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებზე და შესაბამისად შეკვეთის განთავსებიდან საქონლის გამოგზავნამდე მნიშვნელოვანი დრო არ გადის.


### ლუდის ბაზარი საქართველოში

კომპანიის შიდა მონაცემების თანახმად, 2017 წელს ლუდის მოხმარებამ საქართველოში 96,452 ათასი ლიტრი შეადგინა, რაც 4% აღემატება წინა წელს არსებულ 92,723 ათას ლიტრს. ლუდის მოხმარების პიკი საქართველოში 2014 წელს იყო, როდესაც მთლიანმა მოხმარებამ 107,587 ათასი ლიტრი შეადგინა. 2015 წელს, ლუდზე აქციზის ზრდის შედეგად, მოხმარება 11%-ით დაცა და 95,821 ათასი ლიტრი შეადგინა. 2017 წლიდან მოყოლებული ლუდის მომხარება სტაბილური ზრდა განავრდო.

ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარებამ 2017 წელს 25.9 ლიტრი შეადგინა, რითაც იგი დაუბრუნდა იგივე ნიშნულს, რაზეც 2012 წელს იყო და კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2014 წელს დაფიქსირებულ მაქსიმუმს - 28.8 ლიტრს.

### ლუდის წარმოება, იმპორტი, ექსპორტი და მოხმარება საქართველოში, ათას ლიტრებში, 2012-2017

ათასი ლიტრი	2012	2013	2014	2015	2016	2017
ადგილობრივი წარმოება	92,662	94,408	101,634	89,015	85,657	89,787
სულ იმპორტი	9,046	7,842	7,864	7,841	8,209	11,301
სულ ექსპორტი	5,207	4,453	1,912	1,036	1,143	4,636
<b>სულ მოხმარება</b>	<b>96,501</b>	<b>97,797</b>	<b>107,587</b>	<b>95,821</b>	<b>92,723</b>	<b>96,452</b>
მოხმარების ზრდა წ/წ		1%	10%	-11%	-3%	4%
იმპორტი როგორც მოხმარების წილი	9%	8%	7%	8%	9%	12%
ექსპორტი როგორც მოხმარების წილი	5%	5%	2%	1%	1%	5%
მოხმარება ერთ სულზე (ლიტრი)	25.9	26.2	28.8	25.7	24.9	25.9



წყარო: კომპანიის მონაცემები


კომპანიის შიდა მონაცემების თანახმად, მოხმარებული ლუდის ღირებულების მხრივ შეინიშნება პრემიუმ ხარისხის ლუდის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდა და ეკონომ კლასის ლუდის მოხმარების შემცირება. 2017 წელს პრემიუმ კლასის ლუდის მოხმარებამ 29,723 ათასი ლიტრი შეადგინა (მთლიანი მოხმარების 30.8%) მაშინ როდესაც 2012 წელს პრემიუმ კლასის ლუდის მოხმარება მხოლოდ 9,565 ათასი ლიტრი იყო (მთლიანი მოხმარების 9.9%). ხოლო ეკონომ კლასის ლუდის მოხმარებამ 2017 წელს იგი 10,821 ათასი ლიტრი შეადგინა (მთლიანი მოხმარების 11.2%) მაშინ როდესაც 2012 წელს იგი 17,888 ათას ლიტრს შეადგენდა იყო (მთლიანი მოხმარების 18.5%).

მოხმარების უდიდეს ნაწილს კვლავ საშუალო საფასო სეგმენტზე ორიენტირებული ლუდი იკავებს. 2017 წელს საშუალო ფასის ლუდის მოხმარება 55,907 ათასი ლიტრი იყო (მთლიანი მოხმარების 58.0%), ხოლო 2012 წელს იგივე მაჩვენებელი 69,047 ათას ლიტრს შეადგენდა (მთლიანი მოხმარების 71.6%).

ლუდის მოხმარება საფასო სეგმენტის მიხედვით, ათას ლიტრებში, 2012-2017

ათასი ლიტრი	2012	2013	2014	2015	2016	2017
ეკონომი	17,888	15,902	17,011	15,506	14,428	10,821
საშუალო	69,047	66,368	66,595	59,241	53,842	55,907
პრემიუმი	9,565	15,501	23,981	21,073	24,453	29,723
<b>სულ მოხმარება</b>	<b>96,501</b>	<b>97,797</b>	<b>107,587</b>	<b>95,821</b>	<b>92,723</b>	<b>96,452</b>

წყარო: კომპანიის მონაცემები




**წყარო:** კომპანიის მონაცემები

კომპანიის შიდა მონაცემების თანახმად, მოხმარების უდიდესი ნაწილი ქართული ტრადიციული სტილის ლუდზე მოდის: 2017 წელს მისმა მოხმარებამ 63,668 ათასი ლიტრი შეადგინა (მთლიანი მოხმარების 66.0%). მეორე ადგილზე გერმანული სტილის ლუდი არის, რომლის მოხმარებამაც 2017 წელს 17,652 ათასი ლიტრი შეადგინა (მთლიანი მოხმარების 18.3%). აღსანიშნავია, რომ 2014 წლის შემდეგ მთლიან მოხმარებაში წილები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

**ლუდის მოხმარება ლუდის სტილის მიხედვით, ათას ლიტრებში, 2012-2017**

ათასი ლიტრი	2012	2013	2014	2015	2016	2017
გერმანული	5,601	12,146	17,412	14,500	17,038	17,652
ჩეხური	-	-	3,515	3,439	2,265	3,032
ბელგიური	-	-	-	-	-	-
ჰოლანდიური	-	-	-	-	-	2,845
ირლანდიური	-	-	-	-	-	-
ქართული სტანდარტული	78,641	67,334	71,516	66,153	65,182	63,668
ქართული კრაფტი	-	-	-	-	-	500
ქართული ტრადიციული	3,212	10,118	6,925	3,540	28	44
ქართული ექსტრა ალკოჰოლით	-	331	355	348	-	-
იმპორტირებული	9,046	7,842	7,864	7,841	8,209	8,709
<b>სულ მოხმარება</b>	<b>96,501</b>	<b>97,797</b>	<b>107,587</b>	<b>95,821</b>	<b>92,723</b>	<b>96,452</b>



წყარო: კომპანიის მონაცემები

#### ძირითადი კონკურენტები ლუდის საქართველოს ზაზარზე

„კომპანიის“ გარდა ქართულ ლუდის ბაზარზე რამდენიმე მსხვილი მწარმოებელი მოღვაწეობს. ბაზრის მოთამაშეთა ზუსტი შემოსავლები და გაყიდვების მოცულობები საჯაროდ არაა ხელმისაწვდომი, თუმცა „კომპანიის“ შეფასებით ძირითადი კონკურენტები შემდეგია:

- **სს „ლომისი“** - ოპერირებს „ნატახტარის“ ბრენდის ქვეშ და წარმოადგენს მსხვილი თურქული ლუდის მწარმოებლის Efes Breweries International შვილობილ კომპანიას საქართველოში. სს „ლომისის“ გააჩნია პროდუქციის საკმაოდ ფართო სპექტრი და აწარმოებს სხვადასხვა ტიპების ადგილობრივ და ლიცენზირებულ ლუდებს. სს „ლომისი“ ასევე აწარმოებს სხვადასხვა საბის ლიმონათებს. კომპანია დაფუძნებული იყო ბნ ცეზარ ჩოჩელის მიერ და 2008 წელს იყიდა Efes Breweries International-მა.
- **შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“** - ბაზარზე შემოსული ახალი მითამაშე, რომელიც 2017 წლიდან ლუდი ICY-ს, ხოლო 2018 წლის აგვისტოდან Krisovoice-ს წარმოება დაიწყო. შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ ასევე გააჩნია Heineken-ის წარმოების 10 წლიანი ლიცენზია, თუმცა Heineken-ის და Amstel-ის წარმოება ჯერ არ დაწყებულა. კომპანიის უშუალო მფლობელი სს „თელიანი ველი“ არის, ხოლო საბოლოო მფლობელი - Georgia Capital PLC.
- **სს „არგო“** - ადგილობრივი ლუდის მწარმოებელი, რომელიც საკუთარი ბრენდის ქვეშ აწარმოებს ლუდსა და ენერგეტიკულ სასმელებს და ლიცენზიის საფუძველზე ასევე აწარმოებს König Pilsener-ის ლუდს.
- **სს „ყაზბეგი“** - ადგილობრივი ლუდის მწარმოებელი, რომელიც საკუთარი ბრენდით აწარმოებს ლუდსა და სხვა უალკაპოლო სსსმელებს.
- **დამოუკიდებელი მწარმოებლები** - საქართველოს ზაზარზე ასევე ოპერირებენ მცირე ზომის „კრაფტ“ ლუდის მწარმოებლები, თუმცა მთლიან ბაზარზე მათი წილი მცირეა.
- **იმპორტი** - საქართველოს ბაზარზე ასევე ხორციელდება სხვადასხვა საერთაშორისო ბრენდის ლუდის იმპორტი და დისტრიბუცია მსოფლიოში გავრცელებულ ბრენდებს მაღალი ცნობადობა აქვთ, თუმცა საქართველოში იმპორტი მთლიან ბაზრის 10%-ზე მეტი არ არის.


სხვა ალკოჰოლური საშუალებები, როგორებიცაა ღვინო, არაყი, ბრენდი, ვისკი და ა.შ. წარმოადგენენ არაპირდაპირ კონკურენტებს ლუდის ბაზრისთვის, რადგან მომზარებელს სშირ შემთხვევაში გამოკვეთილი გემოვნება აქვს და ალკოჰოლური საშუალებების ჩანაცვლებას მხოლო ფასის ან ბარისხის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში ახდენს.

## უალკოპოლო სასმელების ბაზარი საქართველოში

კომპანიის მონაცემების თანახმად, 2017 წელს უალკოპოლო სასმელების ბაზარის მთლიანმა მოცულობამ 374,576 ათასი ლიტრი შეადგინა საიდანაც 284,419 ათასი ლიტრი გაზიან სასმელებზე მოდიოდა, ხოლო 90,157 ათასი ლიტრი სხვა სასმელებზე. ადგილობრივმა წარმოებამ 357,634 ათასი ლიტრი შეადგინა, ხოლო იმპორტირებულმა მოცულობამ 16,942 ათასი ლიტრი. უალკოპოლო სასმელების ბაზარზე წილების გადანაწილების შესახებ მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი არაა. კომპანიის შიდა მონაცემებზე დაყრდნობით, 2017 წელს უალკოპოლო სასმელების ბაზარი ჩაშლა შემდეგ ცხრილებშია მოცემული.

**ყველა ტიპის უალკოპოლო სასმელის წარმოება 2017 წელს საქართველოში:**

სასმელის ტიპი	წარმოება (ათასი ლიტრი)	წილი მთლიან წარმოებაში
ლიმონათი	71,000	19.0%
კოლას ტიპის სასმელები	120,000	32.0%
ენერგეტიკული სასმელები	8,000	2.1%
მინერალური წყლები	84,969	22.7%
ჩვეულებრივი წყალი	63,231	16.9%
ცივი ჩაი	8,726	2.3%
ცივი ყავა	200	0.1%
წვენები	18,000	4.8%
სხვა	450	0.1%
<b>სულ:</b>	<b>374,576</b>	<b>100.0%</b>



წყალი: კომპანიის მონაცემები

2017 წელს გაზიანი და უგაზო უალკოპოლო სასმელების წარმოება:

სასმელის ტიპი	წარმოება (ათასი ლიტრი)	წილი მთლიან წარმოებაში
გაზირებული	284,419	75.9%
არაგაზირებული	90,157	24.1%
<b>სულ:</b>	<b>374,576</b>	<b>100.0%</b>

ძირითადი კონკურენტები საქართველოს უალკოპოლო სასმელების ბაზარზე

„კომპანიის“ გარდა ქართულ უალკოპოლო სასმელების ბაზარზე რამდენიმე მსხვილი მწარმოებელი მოღვაწეობს. ბაზრის მოთამაშები უმეტესად კონკრეტული პროდუქციის წარმოებაზე არიან ორიენტირებულნი. ბაზრის მოთამაშეთა ზუსტი შემოსავლები და გაყიდვების მოცულობები საჯაროდ

არაა ხელმისაწვდომი, თუმცა „კომპანიის“ შეფასებით ძირითადი კონკურენტები პროდუქციის ტიპების მიხედვით შემდეგაა:

როგორც წინა სექციაშია აღნიშნული, ადგილობრივი ლუდის მწარმოებლები ხშირად ასევე აწარმოებენ ლიმონატებსაც. ლიმონატის ძირითადი კონკურენტი ბრენდები საქართველოში შეყდება: ნატასტარი (სს „ლომისი“), ზანდიკელი (სს „არგო“), ბერიკა (სს „თელიანი ველი“), ლიმონათი ყაზბეგი (სს „ყაზბეგი“).

კოლას ტიპის სასმელების ძირითადი კონკურენტი მწარმოებლები/იმპორტიორები:

- **შპს „კოკა-კოლა ბროთვერს ჯორჯია“** - არის კოკა-კოლას მწარმოებელი საქართველოში და კოლას ტიპის სასმელების ბაზარზე ყველაზე მსხვილი მოთამაშე. კომპანია აწარმოებს ან შემოაქებს ისეთ ბრენდებს, როგორებიცაა კოკა კოლა, ფანტა, სპრაიტი, ბერნი, ფიუს თი, ბონაქუა, შვეიცარი და კაპი.
  - **სს იბერია რეფრიშმენტსი** - არის პეპსიკოლას წარმომადგენლი საქართველოში და აწარმოებს ან შემოაქებს ისეთ ბრენდებს როგორებიცაა პეპსი, მირინდა, 7აპ, ლიპტონი, აქუაფინა, იბერია ლიმონათი, ფრუქტოვი სად.

ენერგეტიკული სასმელების ბაზარზე საქართველოში წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურენტი ბრენდები: Red Bull, XL, Boom Fire და 16th.

ცივი წაის გაზარებები მირითადი კონკურენტი ბრენდებია: ფიუს თი (შპს „კოვა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“) და ლიპსიუნი (სს იბერია რეტრეშემნენტსი).

ადგილობრივ უაღვეობოლონ სასმელებს შორის ყველაზე განვითარებული მინერალური წყლების სექტორია. „კომპანია“ ამჟამად არ აწარმოებს მინერალურ წყლებს. ადგილობრივი მინერალური წყლების ძირითადი ბრენდებია: „ბორჯომი“, „ლიკანი“, „მიტარბი“, „ნაცენი“, „საირმე“ და ა.შ.

„ქართული ლუდის კომპანიის“ მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება „ქართული ლუდის კომპანია“ წარმოადგენს ლუდისა და უაღლოპოლო სასმელების მწარმოებელ ერთ-ერთ წამყვან კომპანიას საქართველოში. „კომპანიის“ საიდენტიფიკაციო ნომერი არის 404900737, ხოლო იურიდიული მისამართი: საქართველო, მცხეთა, სოფელი საგურამო.

„კომპანია“ 2011 წლის 9 ივნისს დაარსდა და 7 თვეის განმავლობაში, უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში, მოახდინა თანამედროვე გერმანულ და ჩიხურ ტექნოლოგებზე დაფუძნებით ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უდიდესი ლუდისახარში ქარხნის დაპროექტება და მშენებლობა. ქარხანაში საწყისში ინვესტიციამ 70 მილიონი ლარი შეადგინა და იგი ცეზარ ჩოჩელის მიერ შექმნილი რიგით მესამე და ყველაზე სრულყოფილი ქარხანაა. იგი აღჭურვილია ევროპული წარმოების ყველაზე თანამედროვე ტექნიკით, მათ შორის ჩამოსასხმელი ხაზები (მინის ბოთლი, პეტ-ბოთლი, ალუმინის ქილა, მეტალის კასრი) და უალკოჰოლო სასმელების საამქრო დამზადებულია გერმანული პირველი კლასის მწარმოებლის KHS-ის მიერ. ხოლო საწარმოო პროცესი ექვემდებარება ხარისხის მუდმივ და მეტად კანტროლს.

წარმოების პროცესში კომპანია იყენებს იმპორტურებულ და ადგილობრივ ნედლეულს. იმპორტურებული ნედლეული მოიცავს ალაოს და სვიას ლუდის დასამზადებლად, ლიმონათის წარმოებისთვის არომატიზატორებს და კონცენტრატებს, რომლებიც გამოიყენებიან შესაბამისად კოლას, ენერგეტიკული სასმელებისა და წვენების წარმოების პროცესში.

პროდუქცია და ბრენდები

„კომპანია“ ლუდის რამდენიმე ადგილობრივ და უცხოურ სახეობას აწარმოებს, რომლებიც მოიცავენ „ფასის და გემოს ფართო ასორტიმენტს. ლუდის გარდა „კომპანია“ ასევე აწარმოებს სხვადასხვა ტიპის არა-ალკოჰოლურ სასმელებსაც, მათ შორის ლიმონათებს, ენერგეტიკულ სასმელებს, ნატურალურ წვენებს, ცივ ჩაის და კოლას. ადგილობრივი ბრენდების შექმნას კომპანია საკუთარი ძალებით ახდენს: ქვეყნის რეიტინგებს, უნიკალურ გემოს, ლოგოტიპებს და სამარკო ნიშნებს და ა.შ.

ლუսი

## ლუდი „ზედაზენი“



ლუდი „ზედაზენი“ წარმოადგენს სს "ქართული ლუდის კომპანიას" ფლაგმან ბრენდს. წარმოებისას გამოიყენება უმაღლესი ხარისხის გერმანული ნედლეული და ზედაზენის სუფთა წყალი. „ზედაზენი“-ს რეცეპტი შეიქმნა ლუდის ხარშვის ჩეხური ტრადიციების მიხედვით. ალკოჰოლური მოცულობის წილი: 5%.

## ჰოლსტენი



2018 წლის მაისში პრემიუმ-კლასის გერმანული ლუდის „ჰოლსტენის“ წარმოება დაიწყო 2022 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი, საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუზიური ქვე-ლიცენზიის ხელშეკრულების საფუძველზე. ალკოჰოლური მოცულობის წილი: 5%.

## ბავარია



2016 წლის მარტიდან „კომპანია“ 10 წლიანი ლიცენზიის საფუძველზე აწარმოებს ჰოლანდიურ ბრენდ „Bavaria“-ს. ლიცენზიის ვადის გასვლის შემდგომ „კომპანიას“ უფლება აქვს განაახლოს იგი. ალკოჰოლური მოცულობის წილი: 5%.

## სვიანი



ლუდი „სვიანი“ გერმანული ლაგერის ტიპის ლუდია. მისი ძირითადი მახასიათებლებია გამჭვირვალე ფერი და ღია ხორბლისფერი თეთრი ქაფით. მზადდება განსაკუთრებული ჯიშის გერმანული სვიისა და მაღალი ხარისხის ქერის ალაოს გამოყენებით. ალკოჰოლური მოცულობის წილი: 4.5%.

## ზედაზენი კრაფტი



„ზედაზენი კრაფტი“ არის განსაკუთრებული გემოს მქონე ლუდი, რომლის წარმოებაშიც გამოიყენება სპეციალურად შერჩეული რამდენიმე სხვადასხვა სახეობის სვია და ალაო და რომელიც მზადდება სპეციალური მეთოდით. ალკოჰოლური მოცულობის წილი: 4.5%.

## რაგნარ პილსნერი



2018 წლიდან „კომპანიამ“ ბაზარზე უახლესი ლუდის ბრენდი - „რაგნარ პილსნერი“ შემოიყენა ბაზარზე. იგი წარმოადგენს სკანდინავიურ, პილსნერის ტიპის ღია ფერის ლუდს, 5%-იანი ალკოჰოლის შემცველობით, ალაოსა და სვიის მსუბუქი არომატით.


## ბელგიური სტანდარტი



ლუდი ბელგიური წარმოადგენს ბელგიური ტრადიციებით მოხარშულ რბილ ლუდს. ლუდის გემო შექმნილია ადგილობრივი მომხმარებლის გემოენურ თვისებებზე დაყრდნობით. ალკოჰოლური მოცულობის წილი: 4%.

„კომპანია“ ასევე აწარმოებს ლუდების ბრენდებს „ხევსურული“, „ოქროს არწივი“ და „ლეგიონი“.

#### ლუდის გაყიდვები 2014-2017 წლებში (მილიონი ლარი)



წყარო: „კომპანიის“ მონაცემები

2017 წელს „კომპანიის“ მიერ ლუდის გაყიდვები 3.5%-ით გაიზარდა და 29.9 მლნ ლიტრი შეადგინა. 2017 წლის ზრდის მთავარი მამოძრავებლები ახალი ბრენდები - „ბელგიური სტანდარტი“ და „ზედაზენი კრაფტი“ - იყვნენ, რომლებმაც სწრაფად დაიკავეს ბაზრის წილები.

2016 წელს წინა წელთან შედარებით გაყიდვები 10.9%-ით გაიზარდა და 28.9 მლნ ლიტრი იყო, ხოლო 2015 წელს ვარდნა წინა წელთან შედარებით ლუდის გაყიდვების მოცულობის 25.4%-იანი დაკავშირებული იყო ლუდზე აქციზური გადასახადის ზრდასთან, რამაც ლუდის გაყიდვის საცალო ფასების ზრდა და მოხმარების შემცირება გამოიწვია. აქციზმა თანაბრად იმოქმედა მთელ ინდუსტრიაზე.

#### უალკოჰოლო სასმელები

##### ლიმონათი ზედაზენი



ლიმონათი „ზედაზენი“ არის „კომპანიის“ ფლაგმანი უალკოჰოლო სასმელი. იგი ნატურალურ არომატიზატორების საშუალებით მზადდება და ცოცხალი ხილის გემოს მოყვარულთათვის არის შექმნილი. ზედაზენის ლიმონათი მოიცავს 5 კლასიკურ გემოს: მსხალი, ტარხუნა, ლიმონი, ნაღები და საფერავი.

##### RC Cola



RC Cola არის კოლას გემოს მატარებელი გამაგრილებელი სასმელი, რომელიც 1905 წელს ამერიკის შტატ ჯორჯიაში შეიქმნა. საქართველოში RC Cola-ს წარმოება „კომპანიაში“, Royal Crown Cola-ს მიერ გაცემული ლიცენზიის ქვე-ლიცენზირების საფუძველზე დაიწყო და ბაზარზე 2016 წლის მაისიდან გამოიტანა. თავად ლიცენზია გაცემულია 10 წლის ვადით, ყოველ ჯერზე მომდევნო 10 წლით გაგრძელების უფლებით, ხოლო „კომპანიას“ ქვე-ლიცენზია მინიჭებული აქვს 1 წლის ვადით, ყოველ ჯერზე 1 წლით გაგრძელების უფლებით.

### ნატურალური წვენი „ჩერო“



ნატურალური წვენის გაყიდვა „ჩერო“-ს ბრენდი ქვეშ „კომპანიამ 2017 წლის თებერვლიდან დაიწყო. „ჩერო“ კომსერვანტების გარეშე მზადდება და კონცენტრირებული წვენის მაღალი შემცველობა გააჩნია. „კომპანია“ ამჟამად ამზადებს შემდეგი ტიპის წვენებს: ალუბალი ვაშლით, ფორთოხალი მანდარინით, მულტიხილი, ბრონქეული და ვაშლი.

### ენერგეტიკული სასმელი WILDER



WILDER-ი პირველი ქართული ენერგეტიკული სასმელია, იგი მზადდება ევროპული ნედლეულის და ზედაზენის წყლის საშუალებით. WILDER-ი შეიცავს ნატურალურ კოფეინს, რაც მას გამომაფხიზლებელ და მატონიზირებელ თვისებებს სძენს. იგი აგრეთვე გამდიდრებულია ვიტამინების კომპლექსით და შეიცავს ტაურინს, რის შედეგადაც იგი ზრდის კონცენტრაციას და რეაქციის სიჩქარეს.

### ენერგეტიკული სასმელი RAD RAIN




„Rad Rain“-ი ამერიკული Royal Crown Cola-ს ერთ-ერთი ბრენდია. 2016 წლის მაისიდან, „კომპანია“ საქართველოში „Rad Rain“-ის ოფიციალური მწარმოებელი გახდა. თავად ლიცენზია გაცემულია 10 წლის ვადით, ყოველ ჯერზე მომდევნო 10 წლით გაგრძელების უფლებით, ხოლო „კომპანიას“ ქვე-ლიცენზია მინიჭებული აქვს 1 წლის ვადით, ყოველ ჯერზე 1 წლით გაგრძელების უფლებით.

### ცვეთ ჩაი „ბაიხო“



ცვეთი ჩაი ბაიხო წარმოება „კომპანიამ“ 2015 წელს დაიწყო. დღეისათვის ბაზარზე წარმოდგენილია 2 სახეობით: „ბაიხო ატამი“ და „ბაიხო ქოლო“. წარმოების პროცესში შემდეგ საერთაშორისო ბრენდების ნედლეული გამოიყენება: Dohler, Esurom wild, Bell flavors და სხვა. შემადგენლობა: წყალი, შაქარი, შავი ჩაის ექსტრაქტი, ლიმონმჟავა და ატმის არომატიზატორი.

### უალკოლობო სასმელების გაყიდვები 2014-2017 წლებში (მილიონი ლიტრი)



წყარო: „კომპანიის“ მონაცემები

2017 წელს „კომპანიის“ მიერ უაღვოპოლო სასმელების გაყიდვების მოცულობა 17.6%-ით გაიზარდა და 25.5 მლნ ლიტრი შეადგინა. ზრდა პირველ რიგში RC Cola-ს და ნატურალური წვენების გაყიდვის ზრდით (+39% წინა წელთან შედარებით) იყო გამოწვეული, რამაც დაკომპენსირა ლიმონათების გაყიდვის მოცულობის შემცირება (-12% წინა წელთან შედარებით). კომპანიის მენეჯმენტის განცხადებით, აღნიშნული ტენდენცია ასახავს ლიმონათის ბაზარზე ნატურალურ პროდუქციის ზრდის ზოგად ტენდენციას. 2016 წელს წინა წელთან შედარებით უაღვოპოლო სასმელების გაყიდვა 0.8%-ით შემცირდა და 22.1 მლნ ლიტრი იყო.

#### გაყიდვის არხები

„კომპანია“ გაყიდვებს ახორციელებს რეგიონალურ სადისტრიბუციო კომპანიებზე, რომლებიც შემდგომ ყიდიან პროდუქციას სავაჭრო ქსელებზე, რესტორნებსა და სხვა მომხმარებლებზე. გაყიდვები ხორციელდება კონსიგნაციის პირობებით და უმეტესად „კომპანიის“ ბრენდირებული მაცივრების გამოყენებით. მარაგების ბრუნვის და მოთხოვნების ამოღების დღეების კოეფიციენტები იხილეთ ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების სექციაში. „კომპანიის“ გაყიდვების ქსელი ფარავს მთელ საქართველოს და ყველა მსხვილ დასახლებულ პუნქტს.

## **ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი**

„ქართული ლუდის კომპანიას“ არ გააჩნია „შვილობილი კომპანიები“. „ქართული ლუდის კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი 2016 და 2017 ფინანსური წლების ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულად შემოწმებულია შპს „KPMG Georgia“-ის მიერ. 2017 და 2018 წლების 6 თვეის ფინანსური მონაცემები არააუდირებულია, მომზადებულია ფას-ის მიხედვით და ეფუძნება მენეჯმენტის გათვლებს.

პოტენციური ინვესტორები უნდა გაეცნონ შერჩეულ ფინანსურ და საოპერაციო ინფორმაციას წინამდებარე პროსპექტის „რისკის-ფაქტორების“, „კაპიტალიზაციისა და დავალიანების“ და „ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი“ თავებში მითითებულ ინფორმაციასთან და კომპანიის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, შესაბამისი შენიშვნების ჩათვლით, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე პროსპექტში.

**საბალანსო უწყისი**

(ათას ლარში)	2016	2017	30-ივნ-17	30-ივნ-18
<b>აქტივები</b>				
გრძელვადიანი აქტივები				
მირითადი საშუალებები	76,116	76,817	77,818	81,023
არამატერიალური აქტივები	136	114	125	104
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	1,067	49	316	115
ინვესტიციები	-	3,801	-	3,801
სხვა გრძელვადიანი აქტივები	163	163	162	162
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>77,482</b>	<b>80,944</b>	<b>78,421</b>	<b>85,205</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>				
მარაგები	11,410	15,112	15,761	19,337
სავაჭრო და სხვა მთხოვნები	8,422	14,825	12,625	22,429
ფული და ფულის ექვივალენტები	1,834	1,050	2,301	181
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>21,666</b>	<b>30,987</b>	<b>30,687</b>	<b>41,947</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>99,148</b>	<b>111,931</b>	<b>109,108</b>	<b>127,152</b>
<b>კაპიტალი</b>				
საქციო კაპიტალი	56,520	56,520	56,520	56,520
გაუნაწილებელი ზარალი	(1,403)	3,420	3,069	9,743
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>55,117</b>	<b>59,940</b>	<b>59,589</b>	<b>66,263</b>
<b>ვალდებულებები</b>				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	31,469	31,782	29,206	26,736
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>31,469</b>	<b>31,782</b>	<b>29,206</b>	<b>26,736</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>				
სესხები	6,070	7,604	8,527	16,681
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,492	8,523	9,756	14,147
ინვესტიციებში გადასახდელი	-	3,888	-	946
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	-	194	64	266
სხვა საგადასახადო ვალდებულება			1,966	2,113
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>12,562</b>	<b>20,209</b>	<b>20,313</b>	<b>34,153</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>44,031</b>	<b>51,991</b>	<b>49,519</b>	<b>60,889</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>99,148</b>	<b>111,931</b>	<b>109,108</b>	<b>127,152</b>

**მოგება-ზარალის ანგარიშგება**


(ათას ლარში)	2016	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
რეალიზაცია	60,728	75,044	31,635	38,678
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(31,434)	(36,890)	(15,666)	(19,810)
<b>საერთო მოგება</b>	<b>29,294</b>	<b>38,154</b>	<b>15,969</b>	<b>18,868</b>
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	(10,897)	(15,602)	(6,040)	(9,276)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(7,240)	(7,393)	(3,492)	(4,311)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	(450)	(445)	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,155	15	223	839
სხვა საოპერაციო ხარჯი	(2,901)	(3,833)	(2,102)	(2,457)
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>8,961</b>	<b>10,896</b>	<b>4,558</b>	<b>3,663</b>
ფინანსური შემოსავალი	323	-	-	-
ფინანსური ხარჯი	(4,784)	(6,073)	(86)	2,660
<b>წმინდა ფინანსური ხარჯი</b>	<b>(4,461)</b>	<b>(6,073)</b>	<b>(86)</b>	<b>2,660</b>
მოგება (ზარალი) დასეგვრამდე	4,500	4,823	4,472	6,323
მოგების გადასახადის სარგებელი	210	-	-	-
<b>მოგება/(ზარალი) და სრული შემოსავალი</b>	<b>4,710</b>	<b>4,823</b>	<b>4,472</b>	<b>6,323</b>

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

(ათას ლარში)	2016	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>	4,500	4,823	4,472	6,323
<b>კორექტირება:</b>				
ცვეთა და ამორტიზაცია	8,048	8,911	4,364	5,265
მირითადი საშუალებების გაყიდვიდან ზარალი	-	286	8	234
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	450	445	-	-
<b>წმინდა ფინანსური ხარჯი</b>	4,461	6,073	86	(2,660)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნვა კაპიტალში ცვლილებებამდე</b>	<b>17,459</b>	<b>20,538</b>	<b>8,930</b>	<b>9,162</b>
ცვლილება სასაქონლო მარაგებში	(2,351)	(3,702)	(4,351)	(4,225)
ცვლილება სავჭერო და სხვა მოთხოვნებში	(1,421)	(6,861)	(4,234)	(7,612)
ცვლილება სავჭერო და სხვა გალივებულებებში	(555)	1,892	4,953	4,999
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადამდე</b>	<b>13,132</b>	<b>11,867</b>	<b>5,298</b>	<b>2,324</b>
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>13,132</b>	<b>11,867</b>	<b>5,298</b>	<b>2,324</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>				
მირითადი საშუალებების შეძენა	(19,507)	(8,873)	(4,713)	(6,528)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(72)	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(274)	-	-	-
ბიზნესის შეძენა	-	-	-	(2,756)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(19,853)</b>	<b>(8,873)</b>	<b>(4,713)</b>	<b>(9,284)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>				
ნასესხები თანხების მიღება	83,971	5,078	3,973	10,454
ნასესხები თანხების გადახდა	(74,305)	(7,512)	(3,427)	(3,315)
პროცენტის გადახდა	(2,403)	(1,544)	(679)	(1,011)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>7,263</b>	<b>(3,978)</b>	<b>(133)</b>	<b>6,128</b>
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა	542	(984)	452	(832)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვარს	1,272	1,834	1,834	1,050
გაცვლითი კურსების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე*	20	200	15	(37)
<b>ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბერი</b>	<b>1,834</b>	<b>1,050</b>	<b>2,301</b>	<b>181</b>

\*შენიშვნა: აღნიშნული ეფექტი წარმოადგენს გაცვლითი კურსების ცვლილების გავლენას მხოლოდ ფულსა და ფულის ექვივალენტებზე და არ მოიცავს საბალანსო უწყისის სხვა ნაწილებს.

## მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა



## ზრუნვა, გაყიდვების საქმინდლის თვითდღირებულება და საერთო მოგება

(ათას ლარში)	2016	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
გაყიდვები	60,728	75,044	31,635	38,678
გაყიდვების თვითდღირებულება	(31,434)	(36,890)	(15,666)	(19,810)
საერთო მოგება	29,294	38,154	15,969	18,868
საერთო მოგების მარჟა	48.2%	50.8%	50.5%	48.8%

2017 წელს „კომპანიის“ გაყიდვებმა 75,044 ათასი ლარი შეადგინეს, რაც 23.6%-ით მეტია 2016 წლის გაყიდვებზე, რომლებმაც 60,728 ათასი ლარი შეადგინეს. 2017 წელს გაყიდვების თვითდღირებულება 17.4%-ით გაიზარდა და 36,890 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 31,434 ათასი). გაყიდვების თვითდღირებულებაზე უფრო სწრაფი ზრდის შედეგად საერთო მოგებამ 2017 წელს 38,154 ათასი ლარი შეადგინა, რაც 30.2%-ით მეტია 2016 წელს დაფიქსირებულ 29,294 ათას ლარზე. საერთო მოგების მარჟამ 2017 წელს 50.8% იყო, ხოლო 2016 წელს - 48.2%. გაყიდვების ზრდაზე ზეგავლენა რამდენიმე ფქტორმა იქონია, მათ შორის „კომპანიის“ პროდუქციის პორტფელის ზრდამ და დივერსიფიკაციამ, მთლიანი ბაზრის ზრდამ, კომპანიის პროდუქციის კონკურენტული პოზიციის გაუმჯობესებამ და მარკეტინგულმა კამპანიებმა. საერთო მოგების მარჟის გაუმჯობესება დაკავშირებულია კომპანიის ეფექტურობის გაუმჯობესებასთან, რის შედეგად კომპანია უკეთესად იყენებს არსებულ რესურსებს.

სრული 2017 წლის და 2017 და 2018 წლების 6 თვის გაყიდვები, ჩაშლილი ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მიხედვით, რომელიც მიღებულია კომპანიის მენეჯერული ანგარიშგებიდან, მოცემულია შემდეგ ცხრილში:

(ათას ლარში)	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
	არა- აუდიორებული	აუდიორებული	აუდიორებული
ლუდი	41,497	19,020	20,593
უალკოჰოლო სასმელები	33,547	12,615	18,085
<b>სულ:</b>	<b>75,044</b>	<b>31,635</b>	<b>38,678</b>

წეარო: „კომპანიის“ მენეჯერული ანგარიშგება

გაყიდვების დახასიათებით 95% ხდება სადისტრიბუციო კომპანიების მეშვეობით, რომლებზეც გაყიდვა შემდგომი გადახდის პირობებით ხდება რაც სექტორის სტანდარტულ პრაქტიკას წარმოადგენს.

გაყიდვების თვითონრეზულება (ათას ლარში)	2016		2017	
	თანხა	წილი	თანხა	წილი
პირდაპირი ხარჯები	25,120	79.9%	29,108	78.9%
არაპირდაპირი ხარჯები	5,225	16.6%	6,555	17.8%
ცვეთა	1,089	3.5%	1,227	3.3%
<b>სულ</b>	<b>31,434</b>	<b>100.0%</b>	<b>36,890</b>	<b>100.0%</b>

გაყიდვების თვითონრეზულება (ათას ლარში)	6 თვე 2017		6 თვე 2018	
	თანხა	წილი	თანხა	წილი
პირდაპირი ხარჯები	12,196	77.8%	15,732	79.4%
არაპირდაპირი ხარჯები	2,902	18.5%	3,446	17.4%
ცვეთა	568	3.6%	632	3.2%
<b>სულ</b>	<b>15,666</b>	<b>100.0%</b>	<b>19,810</b>	<b>100.0%</b>

გაყიდვების თვითონრეზულება შედგება პირდაპირი ხარჯების (ნედლეული და მასალები, პირდაპირი შრომითი ანაზღაურება და ა.შ.), არაპირდაპირი ხარჯების (ზედნადები ხარჯები, არაპირდაპირი შრომითი ანაზღაურება და ა.შ.) და საწარმოო ხაზებისა და ქარხნის ცვეთის ხარჯებისაგან. 2017 წელს პირდაპირი ხარჯები 15.9%-ით გაიზარდა და 29,108 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 25,120 ათასი). არაპირდაპირ ხარჯები 2017 წელს 25.5%-ით გაიზარდა და 6,555 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 5,225 ათასი), ხოლო ცვეთის ხარჯი 12.7%-ით გაიზარდა და 1,227 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 1,089 ათასი).

#### საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

(ათას ლარში)	2016	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
	გაყიდვები	60,728	75,044	31,635
გაყიდვების თვითონრეზულება	(31,434)	(36,890)	(15,666)	(19,810)
<b>საერთო მოგება</b>	<b>29,294</b>	<b>38,154</b>	<b>15,969</b>	<b>18,868</b>
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	(10,897)	(15,602)	(6,040)	(9,276)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(7,240)	(7,393)	(3,492)	(4,311)
დებიტორული დაგალიანების გაუფასურების ხარჯი	(450)	(445)	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავლები	1,155	15	223	839
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,901)	(3,833)	(2,102)	(2,457)
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>8,961</b>	<b>10,896</b>	<b>4,558</b>	<b>3,663</b>
<b>საოპერაციო მოგების მარჟა</b>	<b>14.8%</b>	<b>14.5%</b>	<b>14.4%</b>	<b>9.5%</b>

2017 წელს საოპერაციო მოგება 21.6%-ით გაიზარდა და 10,896 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 8,961 ათასი ლარი), ხოლო საოპერაციო მოგების მარჟამ 14.5% შეადგინა (2016 წელს: 14.8%).

2017 წელს გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები 43.2%-ით გაიზარდა და 15,602 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 10,897 ათასი). ზრდის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები იყო, რომელთა ზრდა დაკავშირებულია გაზრდილ გაყიდვებთან და გაყიდვების მასტიმულირებელ მარკეტინგულ კამპანიებთან. გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯების დეტალური ჩაშლა და შედარება წინა წელთან მოცემულია შემდეგ ცხრილში:

<b>გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები (ათას ლარში)</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>	<b>ცვლილება</b>
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	4,461	8,366	87.5%
ცვეთა	3,273	3,083	-5.8%
დისტრიბუციის ხარჯი	1,277	1,587	24.3%
როიალტის ხარჯი	860	1,448	68.4%
ხელფასები	961	1,118	16.3%
სხვა ხარჯები	65	-	n/a
<b>სულ</b>	<b>10,897</b>	<b>15,602</b>	<b>43.2%</b>
<b>გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები (ათას ლარში)</b>	<b>6 თვე 2017</b>	<b>6 თვე 2018</b>	<b>ცვლილება</b>
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	2,873	4,886	70.1%
ცვეთა	1,540	2,192	42.4%
დისტრიბუციის ხარჯი	431	738	71.3%
როიალტის ხარჯი	670	733	9.3%
ხელფასები	526	657	25.0%
სხვა ხარჯები	-	71	
<b>სულ</b>	<b>6,040</b>	<b>9,277</b>	<b>53.6%</b>
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 წელს 2.1%-ით გაიზარდა და 7,393 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 7,240 ათასი). ზრდის მთავარი მიზეზი სახელფასო და საგადასახადო ხარჯების ზრდა იყო, რაც ნაწილობრივ საოფისე და პროფესიონალური ხარჯების კლებამ დააკომპენსირა. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების დეტალური ჩაშლა და შედარება წინა წელთან მოცემულია შემდეგ ცხრილში:			
<b>გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები (ათას ლარში)</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>	<b>ცვლილება</b>
ხელფასები	3,379	3,639	7.7%
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგებისა	792	866	9.3%
ცვეთა და ამორტიზაცია	698	725	3.9%
საოფისე ხარჯები	591	487	-17.6%
პროფესიონალური ხარჯები	550	477	-13.3%
წარმომადგენლობითი ხარჯები	259	271	4.6%
დაზღვევის ხარჯები	268	228	-14.9%
ბანკის საკომისიოები	341	101	-70.4%
გაცემული ავანსების ჩამოწერა	110	-	-100.0%
სხვა	252	599	137.7%
<b>სულ:</b>	<b>7,240</b>	<b>7,393</b>	<b>2.1%</b>
<b>გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები (ათას ლარში)</b>	<b>6 თვე 2017</b>	<b>6 თვე 2018</b>	<b>ცვლილება</b>
ხელფასები	1,704	2,025	18.8%
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგებისა	403	433	7.4%
ცვეთა და ამორტიზაცია	343	416	21.4%
საოფისე ხარჯები	285	316	11.2%
პროფესიონალური ხარჯები	209	171	-18.1%
წარმომადგენლობითი ხარჯები	102	101	-1.3%
დაზღვევის ხარჯები	112	91	-18.6%
ბანკის საკომისიოები	54	96	77.8%
გაცემული ავანსების ჩამოწერა	-	-	0.0%
სხვა	280	660	135.7%
<b>სულ:</b>	<b>3,492</b>	<b>4,311</b>	<b>23.4%</b>

## EBITDA

(ათას ლარში)	2016	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
გაყიდვები	60,728	75,044	31,635	38,678
საოპერაციო მოგება	8,961	10,896	4,558	3,663
დამატებული: ცვეთა და ამორტიზაცია	8,048	8,911	4,364	5,265
<b>EBITDA</b>	<b>17,009</b>	<b>19,807</b>	<b>8,922</b>	<b>8,928</b>
<b>EBITDA მარჟა</b>	<b>28.0%</b>	<b>26.4%</b>	<b>28.2%</b>	<b>23.1%</b>

EBITDA არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების ელემენტს და ამ პროსპექტის მიზნებისთვის გამოითვლება როგორც საოპერაციო მოგებას დამატებული ცვეთა და ამორტიზაცია. 2017 წელს EBITDA 16.5%-ით გაიზარდა და 19,807 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 17,009), ხოლო EBITDA მარჟამ 26.4% შეადგინა (2016 წელს: 28.0%).

## ფინანსური ხარჯი, მოგების გადასახადი და წმინდა მოგება

(ათას ლარში)	2016	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
გაყიდვები	60,728	75,044	31,635	38,678
საოპერაციო მოგება	8,961	10,896	4,558	3,663
საპროცენტო შემოსავალი	323	-	-	-
კურსთაშორისი სხვაობის ხარჯი	(2,878)	(4,387)	751	3,695
საპროცენტო ხარჯი	(1,906)	(1,686)	(838)	(1,035)
მოგება დამტევრამდე	4,500	4,823	4,472	6,323
მოგების გადასახადის ხარჯი/შემოსავალი	210	-	-	-
<b>წმინდა მოგება</b>	<b>4,710</b>	<b>4,823</b>	<b>4,472</b>	<b>6,323</b>
<b>წმინდა მოგების მარჟა</b>	<b>7.8%</b>	<b>6.4%</b>	<b>14.1%</b>	<b>16.3%</b>

კურსთაშორისი სხვაობის ხარჯი გამოწვეული „კომპანიის“ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების გადაფასების შედეგად წარმოშობილი უარყოფითი სხვაობის შედეგად. „კომპანიის“ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები უმეტესად ევროში არიან დენომინირებულები. სებ-ის მონაცემების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბერს ლარი/ევროს გაცვლითი კურსია 3.1044 შედეგის (2016 წლის 31 დეკემბერს: 2.7940, 2015 წლის 31 დეკემბერს: 2.6169). შესაბამისად 2017 წელს ლარი ევროს მიმართ 11.1%-ით გაუფასურდა, ხოლო 2016 წელს 6.8%-ით. ევროს მიმართ ლარის გაუფასურების ტემპის ზრდით აისწნება 2017 წელს კურსთაშორისი სხვაობის ხარჯის 52.4%-იანი ზრდა.

მოგების გადასახადის ხარჯმა 2017 წელს 0 ლარი შეადგინა, რადგან მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით „კომპანიის“ მოგება მხოლოდ დივიდენდების ან სხვა სახით განაწილებისას იჩევრება და 2017 წელს მსგავს განაწილებებს ადგილი არ ჰქონიათ.


წმინდა მოგება 2017 წელს 2.4%-ით გაიზარდა და 4,823 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 4,710 ათასი), ხოლო წმინდა მოგების მარჟამ 2017 წელს 6.4% შეადგინა (2016 წელს: 7.8%).

## საბალანსო უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

### აქტივები

2017 წელს „კომპანიის“ აქტივები 12.9%-ით გაიზარდა და 111,931 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 99,148 ათასი). აქტივების ზრდა უმეტესწილად სავაჭრო მოთხოვნების და სასაქონლო მარაგების ზრდით იყო განპირობებული, რომლებიც 32.4%-ით და 76.0%-ით გაიზარდნენ და შესაბამისად 15,112 ათას ლარს და 14,825 ათას ლარს მიაღწიეს.

**აქტივების ზრდა და განაწილება (მილიონი ლარი)**



### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები „კომპანიის“ აქტივების უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ და 2017 წელს მთლიანი აქტივების 68.6% შეადგინეს (2016 წელს: 76.8%).

ძირითადი საშუალებები (ათას ლარში)	2016	2017	ცვლილება
მიწა და შენობები	13,046	12,656	-3.0%
ქარხანა და დანადგარები	39,689	53,023	33.6%
საოფისე აღჭურვილობა	104	101	-2.9%
მარკეტინგული და სარეკლამო მასალები	8,950	10,473	17.0%
სხვა	372	464	24.7%
მშენებლობის და მონტაჟის პროცესში	13,955	100	-99.3%
<b>სულ:</b>	<b>76,116</b>	<b>76,817</b>	<b>0.9%</b>

ძირითადი საშუალებები (ათას ლარში)	30-ივნ-17	30-ივნ-18	ცვლილება
მიწა და შენობები	12,863	13,326	3.6%
ქარხანა და დანადგარები	54,592	51,470	-5.7%
საოფისე აღჭურვილობა	111	128	15.8%
მარკეტინგული და სარეკლამო მასალები	9,925	15,295	54.1%
სხვა	314	635	102.2%
მშენებლობის და მონტაჟის პროცესში	13	168	1234.9%
<b>სულ:</b>	<b>77,818</b>	<b>81,023</b>	<b>4.1%</b>

2017 წელის განმავლობაში ძირითადი საშუალებები მხოლოდ 0.9%-ით გაიზარდა და 76,817 ათას ლარს მიაღწია (2016 წელს 76,116). 2017 წელს მშენებლობის და მონტაჟის დასრულებასთან ერთად მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები რეკლასიფიცირდა მშენებლობის პროცესში მყოფიდან ქარხანა და დანადგარებში, რის შედეგადაც მშენებლობის პროცესში მყოფი ძირითადი საშუალებები 99.3%-ით

შემცირდა და 100 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ქარხანა და დანადგარები 33.6%-ით გაიზარდა და 53,023 ათასი ლარი გახდა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11,963 ათასი ლარის (2016 წლის 31 დეკემბერს: 13,117 ათასი ლარი) წმინდა საბალანსო ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები დაგირავებული იყო გრძელვადიანი აქტივების დასაფინანსებლად წარმოშობილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

ყველა არსებული და სამომავლო ძირითადი საშუალება, გარდა წინა აბზაცში აღწერილი ძირითადი საშუალებებისა, რომელთა წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 64,853 ათას ლარს (2016 წლის 31 დეკემბერს: 62,999 ათას ლარს) შეადგინდა დაგირავებული იყო საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად. „ობლიგაციების“ გამოშვების მომენტისთვის ყველა ზემოაღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება კვლავ ძალაში რჩება.

#### ინვესტიცია საწარმოს კაპიტალში

2017 წლის 25 დეკემბერს „კომპანიაში“ მოახდინა 1,500 ათასი აშშ დოლარის ინვესტირება შპს „რითეილ ინვესტმენტში“, რითაც მისი 33%-ის წილის მფლობელი გახდა.

#### სასაქონლო მარაგები

2017 წელს სასაქონლო მარაგები „კომპანიის“ მთლიანი აქტივების 13.5%-ს შეადგენდნენ (2016 წელს: 11.5%).

სასაქონლო მარაგები (ათას ლარში)	2016	2017	ცვლილება
ნედლეული და შესაფუთი მასალა	7,233	9,328	29.0%
დასრულებული პროდუქცია	1,031	1,453	40.9%
დამუშავების პროცესში მყოფი პროდუქცია	500	922	84.4%
გასაყიდი საქონელი	1,168	834	-28.6%
სხვა სასაქონლო მარაგები	1,478	2,575	74.2%
<b>სულ:</b>	<b>11,410</b>	<b>15,112</b>	<b>32.4%</b>

სასაქონლო მარაგები (ათას ლარში)	30-ივნ-17	30-ივნ-18	ცვლილება
ნედლეული და შესაფუთი მასალა	9,468	11,248	18.8%
დასრულებული პროდუქცია	1,937	2,309	19.2%
დამუშავების პროცესში მყოფი პროდუქცია	1,161	1,183	1.9%
გასაყიდი საქონელი	1,073	1,087	1.3%
სხვა სასაქონლო მარაგები	2,122	3,510	65.4%
<b>სულ:</b>	<b>15,761</b>	<b>19,337</b>	<b>22.7%</b>

2017 წელს სასაქონლო მარაგების მოცულობა 32.4%-ით გაიზარდა და 15,112 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 11,410 ათასი). ზრდის მთავარი მამოძრავებელი ნედლეულის და შესაფუთი მასალის ზრდა (29.0%) და სხვა სასაქონლო მარაგების ზრდა (74.2%) იყო. სასაქონლო მარაგების ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული გაყიდვების მოცულობის ზრდასთან და უზრუნველყოფს გაზრდილი მოთხოვნის დროულ დაკმაყოფილებას.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2017 წელს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები „კომპანიის“ მთლიანი აქტივების 13.2%-ს შეადგენდნენ (2016 წელს: 8.5%).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ათას ლარში)	2016	2017	ცვლილება
სავაჭრო მოთხოვნები	5,827	10,118	73.6%
სხვა მოთხოვნები	1,219	851	-30.2%
გადახდილი ავანსები	1,376	3,856	180.2%

<b>სულ:</b>	<b>8,422</b>	<b>14,825</b>	<b>76.0%</b>
<b>სასაქონლო მარაგები (ათას ლარში)</b>	<b>30-ივნ-17</b>	<b>30-ივნ-18</b>	<b>ცვლილება</b>
სავაჭრო მოთხოვნები	7,951	15,055	89.4%
სხვა მოთხოვნები	1,231	654	-46.8%
გადახდილი ავანსები	3,443	6,719	95.2%
<b>სულ:</b>	<b>12,625</b>	<b>22,429</b>	<b>77.7%</b>

2017 წელს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოცულობა 76.0%-ით გაიზარდა და 14,825 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 8,422ათასი). ზრდის მთავარი მამოძრავებელი სავაჭრო მოთხოვნების ზრდა იყო, რომელმაც 73.7% შეადგინა.

სავაჭრო მოთხოვნების უდიდესი ნაწილი ადგილობრივი კომპანიების მიმართაა, ხოლო დარჩენილი ნაწილი დასთ-ს ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებზე:

<b>სავაჭრო მოთხოვნები (ათას ლარში)</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>
ადგილობრივი	5,587	9,667
დასთ-ს ქვეყნები	240	451
<b>სულ:</b>	<b>5,827</b>	<b>10,118</b>

#### ფული და ფულის ექვივალენტები

<b>ფული და ფულის ექვივალენტები (ათას ლარში)</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>	<b>30-ივნ-17</b>	<b>30-ივნ-18</b>
ფული ხელზე	1	-	-	-
ფული ბანკში	1,833	1,050	2,301	181
<b>სულ:</b>	<b>1,834</b>	<b>1,050</b>	<b>2,301</b>	<b>181</b>

2017 წელს ფული და ფულის ექვივალენტები 42.7%-ით შემცირდა და 1,050 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 1,834 ათასი). გაუმჯობესებული საოპერაციო ფულადი ნაკადები საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობას მოხმარდა, რის შედეგადაც ფულის ბალანსი წლიურ ჭრილში შემცირდა.

#### ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი

##### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

<b>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ათას ლარში)</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>	<b>ცვლილება</b>
სავაჭრო ვალდებულებები	4,808	6,880	43.1%
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	774	722	-6.7%
მირითადი საშუალებების შემენასთან	570	614	7.7%
დაკავშირებული ვალდებულებები	230	109	-52.6%
სხვა ვალდებულებები	110	198	80.0%
<b>სულ:</b>	<b>6,492</b>	<b>8,523</b>	<b>31.3%</b>

<b>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ათას ლარში)</b>	<b>30-ივნ-17</b>	<b>30-ივნ-18</b>	<b>ცვლილება</b>
სავაჭრო ვალდებულებები	8,564	9,857	15.1%
მირითადი საშუალებების შემენასთან	657	3,253	395.4%
დაკავშირებული ვალდებულებები	113	231	104.0%
სხვა ვალდებულებები	423	807	90.8%
<b>სულ:</b>	<b>9,756</b>	<b>14,147</b>	<b>45.0%</b>

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 წელს 36.4%-ით გაიზარდა და 7,801 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 5,718 ათასი). ზრდის მთავარი მამოძრავებელი სავაჭრო ვალდებულებების 43.1%-იანი ზრდა იყო 6,880 ათას ლარამდე. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს კრედიტორულ დავალიანებებს მომწოდებლების მიმართ და არის საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო.

### სესხები და კრედიტები

„კომპანია“ სესხების და კრედიტების სახით აღრიცხავს როგორც საბანკო სესხებს აგრეთვე მირითადი საშუალებების მომწოდებლების მიმართ გრძელვადიან ვალდებულებებს, რომლებიც თავისი შინაარსით წარმოადგენ სესხებს.

<b>სესხები და კრედიტები (ათას ლარში)</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>	<b>30-ივნ-17</b>	<b>30-ივნ-18</b>
საბანკო სესხები	20,473	20,575	18,399	18,698
მირითადი საშუალებების დასაფინანსებელი ვალდებულებები	10,996	11,207	10,807	8,038
<b>სულ გრძელვადიანი სესხები და კრედიტები:</b>	<b>31,469</b>	<b>31,782</b>	<b>29,206</b>	<b>26,736</b>
საბანკო სესხები	1,884	3,164	3,779	12,687
მირითადი საშუალებების დასაფინანსებელი ვალდებულებები	4,186	4,440	4,748	3,995
<b>სულ მიმდინარე სესხები და კრედიტები:</b>	<b>6,070</b>	<b>7,604</b>	<b>8,527</b>	<b>16,681</b>
<b>სულ სესხები და კრედიტები:</b>	<b>37,539</b>	<b>39,386</b>	<b>37,733</b>	<b>43,417</b>

2017 და 2016 წლებისთვის დეტალური ინფორმაცია სესხებისა და კრედიტების ვალუტის, მოცულობის, საპროცენტო განაკვეთებისა და დაფარვის თარიღების შესახებ მოცემულია შემდეგ მოწყვეტილებში:

<b>2017 წლის 31 დეკემბერი (ათას ლარში)</b>	<b>ვალუტა</b>	<b>საპროცენტო განაკვეთი</b>	<b>ვადიანობა</b>	<b>ნომინალური მოცულობა</b>
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	EUR	8%	2023	9,368
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	EUR	7.2% + Euribor	2023	13,509
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	EUR	5.5% + Euribor	2020	861
მირითადი საშუალებების დასაფინანსებელი ვალდებულებები	EUR	0%-8%	2018-2022	15,648
<b>სულ:</b>				<b>39,386</b>

<b>2016 წლის 31 დეკემბერი (ათას ლარში)</b>	<b>ვალუტა</b>	<b>საპროცენტო განაკვეთი</b>	<b>ვადიანობა</b>	<b>ნომინალური მოცულობა</b>
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	EUR	8%	2023	8,430
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	EUR	7.2% + Euribor	2023	13,925
მირითადი საშუალებების დასაფინანსებელი ვალდებულებები	EUR	0%-8%	2017-2022	15,182
<b>სულ:</b>				<b>37,539</b>

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები: წარმოადგენ საბანკო სესხებს, რომელთა მეშვეობითაც მოხდა მირითადი საშუალებების შემცირებისა და მშენებლობის, საბრუნავი კაპიტალის და სხვა მირითადი კორპორაციული ფინანსური საჭიროებების დაფინანსება. სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მირითადი საშუალებებით.

მირითადი საშუალებების დასაფინანსებელი ვალდებულებები: სს ქართული ლუდის კომპანიასა და გერმანულ კომპანია KHS-ს შორის გაფორმდა შესყიდვის ხელშეკრულება შუშის ბოთლებში ჩამოსასხმელის დანადგარის (#260612) შეძენასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების თანახმად, მოხდა ავანსად 30%-ის გადახდა, ხოლო დარჩენილი 70% გადანაწილდა პერიოდზე და ხდება მისი გადახდა კვარტალურად დარიცხულ პროცენტთან ერთად. თავისი არსით 70%-იანი წილის გადახდა წარმოადგენს სესხს და აღირიცხება საბანკო სესხებთან ერთად.

## **აქციონერთა კაპიტალი**

2011 წელს აქციონერთა კრებაზე „კომპანიის“ აქციების რაოდენობა 70,769,900-ად განისაზღვრა, ხოლო ერთი აქციის ღირებულებად - 1 ლარი. 2016 წლის 20 დეკემბერს აქციონერთა კრებაზე გადაწყდა აქციათა რაოდენობის 56,519,789-მდე შემცირება, ხოლო ერთი აქციის ნომინალური ღირებულება კვლავ 1 ლარი დარჩა.

2016 წლის 20 დეკემბრის კრების ოქმით, კომპანიის აქციონერთა კრებამ დაადგინა რომ თითოეული აქციონერის აქციათა რაოდენობა განსაზღვრულიყო მათ მიერ ამ კრების ჩატარების თარიღისათვის ფაქტობრივად გამოსყიდული (განაღდებული) აქციების რაოდენობის მიხედვით, ხოლო დანარჩენი გაუნაღდებელი აქციები გაუქმდებულიყო. გაუნაღდებელი აქციების გაუქმების შედეგად, GBC-ის ნებადართული კაპიტალი შემცირდა 56,519,789 ლარამდე.


<b>აქციათა რაოდენობა</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>
ნებადართული აქციების რაოდენობა	56,519,789	56,519,789
აქციის ნომინალური ღირებულება	1 ლარი	1 ლარი
გამოშვებული და სრულად გადახდილი (განაღდებული) აქციების რაოდენობა	56,519,789	56,519,789

2017 წელს არ მომხდარა დივიდენდების გამოცხადება ან გადახდა. 2016 წელს მოხდა 1,900 ათასი ლარის მოცულობის დივიდენდების განაწილება, თუმცა ეს დივიდენდები არ გადახდილა ფულის სახით, არამედ მოხდა მათი გაქვითვა აქციონერებზე 2015 წელს გაცემული სესხების მიმართ.

<b>დივიდენდები (ათას ლარში)</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>
დივიდენდი	1,900	-

კომპანიას არ გააჩნია დივიდენდის გაცემის გაწერილი პოლიტიკა, თუმცა კომპანიის არსებობის მანძილზე დივიდენდის გამოცხადება მოხდა მხოლოდ სამჯერ, რადგან კომპანიას არჩეული აქციების რეინვესტირების პოლიტიკა. დივიდენდის გაცემის საკითხის განსახილველად მოხდა დამფუძნებელთა კრების ჩატარება და ყოველი სიტუაციის ინდივიდუალურად განხილვა.

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიმოხილვა



## ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

(ათას ლარში)	2016	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>				
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	4,500	4,823	4,472	6,323
კორეეტირება:				
ცვეთა და ამორტიზაცია	8,048	8,911	4,364	5,265
მირითადი საშუალებების გაყიდვიდან ზარალი	-	286	8	234
დებიტორული დაგვალიანების გაუფასურების ხარჯი	450	445	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	4,461	6,073	86	(2,660)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>17,459</b>	<b>20,538</b>	<b>8,930</b>	<b>9,162</b>
<b>საბრუნვა კაპიტალში ცვლილებებამდე</b>				
ცვლილება სასაქონლო მარაგებში	(2,351)	(3,702)	(4,351)	(4,225)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,421)	(6,861)	(4,234)	(7,612)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(555)	1,892	4,953	4,999
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>13,132</b>	<b>11,867</b>	<b>5,298</b>	<b>2,324</b>

2017 წელს ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნვა კაპიტალში ცვლილებებამდე 17.6%-ით გაიზარდა და 20,538 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 17,459 ათასი ლარი). 2017 წელს წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 9.6%-ით შემცირდა და 11,867 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 13,132). გაუარესებული საოპერაციო ფულადი ნაკადები დაკავშირებული იყო საბრუნვა კაპიტალში გაზრდილ ინვესტიციებთან.

## ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

(ათას ლარში)	2016	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
მირითადი საშუალებების შეძენა	(19,507)	(8,873)	(4,713)	(6,528)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(72)	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(274)	-	-	-
ბიზნესის შეძენა	-	-	-	(2,756)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(19,853)</b>	<b>(8,873)</b>	<b>(4,713)</b>	<b>(9,284)</b>

2017 წელს საინვესტიციო საქმიანობაზე დახარჯული წმინდა ფულადი ნაკადები 55.3%-ით შემცირდა 8,873 ათასი ლარი შეადგინა (2016 წელს: 19,853 ათასი). კლების მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი ძირითადი საშუალებების შემცნაზე განხორციელებული დანახარჯების 54.5%-იანი კლება იყო. დანახარჯების კლება დაკავშირებულია 2016 წელს გაწეულ მნიშვნელოვან კაპიტალურ ხარჯებთან წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებით.

#### ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

(ათას ლარში)	2016	2017	6 თვე 2017	6 თვე 2018
ნასესხები თანხების მიღება	83,971	5,078	3,973	10,454
ნასესხები თანხების გადახდა	(74,305)	(7,512)	(3,427)	(3,315)
პროცენტის გადახდა	(2,403)	(1,544)	(679)	(1,011)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	7,263	(3,978)	(133)	6,128

2017 წელს „კომპანიამ“ სესხების ძირისა და პროცენტების დაფარვაზე უფრო მეტი თანხა დახარჯა ვიდრე ახალი სესხების ათვისების შედეგად მიიღო, რის შედეგადაც 2017 წელს წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან უარყოფითი იყო.

## ფინანსური რისკების მიმოხილვა

### თავდებობა და გარანტიები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიას“ არ ჰქონდა გაცემული ფინანსური გარანტიები (2016 წელს: 13,970 ათასი ლარი).

გაცემული გარანტიები (ათას ლარში)	2016	2017
გაცემული ფინანსური გარანტიები	13,970	-

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი აღნიშნავს იმ რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე არ დაფარავს ვალდებულებებს და გამოიწვევს მეორე მხარისთვის ფინანსურ ზარალს. „კომპანიის“ აქტივებს შორის ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს სავჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულსა და ფულის ექვივალენტებს. ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის ქვეშ მყოფი თანხის მაქსიმუმს:

საკრედიტო რისკი (ათას ლარში)	2016	2017
სავჭრო მოთხოვნები	5,827	11,013
სხვა მოთხოვნები	1,219	851
ფული და ფულის ექვივალენტები	1,833	1,050
<b>სულ:</b>	<b>8,879</b>	<b>12,914</b>

2017 წელს კომპანიის გაყიდვების 51% ერთ დებიტორზე მოდიოდა (2016 წელს: 46%). სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილების და გაუფასურების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ცხრილში:

სავაჭრო მოთხოვნები (ათას ლარში)	2016		2017	
	სრული თანხა	გაუფა-სურება	სრული თანხა	გაუფა-სურება
არაა ვადაგადაცილებული	4,609	-	5,267	-
ვადაგადაცილება 0 - 90 დღე	569	-	4,640	-
ვადაგადაცილება 91 - 180 დღე	1	-	190	-
ვადაგადაცილება 181 - 365 დღე	90	-	3	-
ვადაგადაცილება ერთ წელზე მეტი	1,008	450	913	895
<b>სულ:</b>	<b>6,277</b>	<b>450</b>	<b>11,013</b>	<b>895</b>

2017 წელს „კომპანიამ“ შეაფას ფასს 9-ის გავლენა ყველა ფინანსურ აქტივზე და დაასკვნა, რომ გავლენა არამატერიალური იქნებოდა.

შესაძლო გაუფასურების შეფასებისას „კომპანია“ აკვირდება დებიტორების მიერ ისტორიული გადახდების მონაცემებს. „კომპანიის“ დებიტორებთან ურთიერთობის გამოცდილების შედეგად აფასებს არის თუ არა დებიტორული დავალიანება გაუფასურებული.

წარსულ გადახდებზე დაყრდნობით „კომპანიის“ შეფასებით, ვადაგადაცილებული და არა-გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების ამოღება წარმატებით მოხდება. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება შემდეგ ცხრილშია მოცემული:

გაუფასურების რეზერვი (ათას ლარში)	2016	2017
წლის საწყისი ბალანსი	-	450
გაუფასურების ზარალის აღიარება	450	445
<b>ბალანსი წლის ბოლოს:</b>	<b>450</b>	<b>895</b>

## ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს ფინანსური ვალდებულებები მათი დადგომისას. შემდეგ ცხრილში მოცემულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის გრაფიკი. მონაცემები დათვლილია კონტრაქტის შესაბამისი ნომინალური ოდენობების მიხედვით:

ათასი ლარი	6 თვეზე ნაკლები	6-12 თვე	1-2 წელი	2-5 წელი	5 წელზე მეტი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი მირითადი საშუალებების დასაფინანსებელი ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,632 2,159 7,603	2,243 1,685 -	5,331 3,153 -	14,423 7,072 -	2,348 - -
<b>სულ:</b>	<b>11,394</b>	<b>3,928</b>	<b>8,484</b>	<b>21,495</b>	<b>2,348</b>
ათასი ლარი	6 თვეზე ნაკლები	6-12 თვე	1-2 წელი	2-5 წელი	5 წელზე მეტი
ფული და ფულის ექვივალენტები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მარაგები	1,050 10,969 7,039	- - 2,798	- - -	- - -	- - -
<b>სულ:</b>	<b>19,058</b>	<b>2,798</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>

## სავალუტო რისკი

„კომპანიის“ სავალუტო რისკი წარმოიქმნება როდესაც გაყიდვები, შესყიდვები და ნასესხები თანხები დენომინირებულ არიან „კომპანიის“ ფუნქციური ვალუტიდან განსხვავებულ ვალუტაში. „კომპანიის“ ტრანზაქციები უმეტესად ევროსა და აშშ დოლარში არიან დენომინირებული.

„კომპანიის“ ნასესხები თანხების ვალუტა უმეტესწილად განსხვავდება კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ვალუტისგან, რის გამოც „კომპანიას“ არ გააჩნია ბუნებრივი ჰეჯირება ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ. „კომპანია“ არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის ჰეჯირებისთვის.

„კომპანიის“ ნომინალური მოცულობებით გაზომილი სავალუტო რისკები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

სავალუტო რისკი (ათას ლარში)	2016		2017	
	აშშ	ევროში	აშშ	ევროში
	დოლარში	დოლარში	დოლარში	დოლარში
დენომინ.	დენომინ.	დენომინ.	დენომინ.	დენომინ.
ფული და ფულის ექვივალენტები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უზრუნველყოფილი საბანკო სესხი მირითადი საშუალებების დასაფინანსებელი ვალდებულებები	138 - - - (529)	647 - (22,355) (15,184) (253)	457 478 - - (23,738)	290 - (15,648) (2,306)
<b>წმინდა მოცულობა:</b>	<b>(391)</b>	<b>(37,145)</b>	<b>697</b>	<b>(41,402)</b>

ევროსა და აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის შესაძლო 10%-იანი გაუფასურების გავლენა კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე მოცემულია შემდეგ ცხრილში:

გაუფასურების რეზერვი (ათას ლარში)	2016	2017
აშშ დოლარის მიმართ 10%-იანი გაუფასურება	(39)	70
ევროს მიმართ 10%-იანი გაუფასურება	(3,714)	(4,140)

## საპროცენტო განაკვეთების რისკი

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას გაფლენა აქვს როგორც ცვლადი განაკვეთის მქონე სესხების ფულად ნაკადებზე აგრეთვე ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხების საბაზრო ფასზე. „კომპანიას“ გააჩნია როგორც ცვლადი აგრეთვე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე სესხები და კრედიტები. ცვლადი და ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხებისა და კრედიტების ჩაშლა შემდეგ ცხრილშია მოცემული:

სესხები და კრედიტები (ათას ლარში)	2016	2017		
ფიქსირებული განაკვეთით	23,614	25,016		
ცვლადი განაკვეთით	13,925	14,370		
<b>სულ სესხები და კრედიტები:</b>	<b>37,539</b>	<b>39,386</b>		
სხვა თანაბარ პირობებში საპროცენტო განაკვეთების 1%-იანი ცვლილება შემდეგ გავლენას იქონიებდა დაბეგვრამდე მოგებაზე:				
საპროცენტო რისკი (ათას ლარში)	2016	2017		
	1% ზრდა	1% კლება	1% ზრდა	1% კლება
ცვლადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	139	(139)	144	(144)

## მირითადი ფინანსური კოეფიციენტები

### ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები

	2016	2017	30 ივნისი 2018	30 ივნისი 2018 ობლიგაციების გამოშვების შემდეგ
გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	0.7	0.7	0.7	0.8
ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი	9.7%	11.0%	9.1%	8.6%
სესხების EBITDA-სთან შეფარდება	2.2	2.0	2.2	2.5
წმინდა სესხების EBITDA-სთან შეფარდება	2.1	1.9	2.2	2.5
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.4	0.4	0.3	0.4
ICR კოეფიციენტი	4.7	6.5	5.3	5.3
სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1.1	3.3	2.9	2.9
გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი: მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები და ობლიგაციები გაყოფილი აქციონერთა კაპიტალზე.				
ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი: საოპერაციო მოგება გაყოფილი აქციონერთა კაპიტალისა და საპროცენტო ვალდებულებების ჯამზე.				
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი: საოპერაციო მოგება გაყოფილი საპროცენტო ხარჯზე.				
სესხების EBITDA-სთან შეფარდება: მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები და ობლიგაციები				
გაყოფილი EBITDA-ზე.				
წმინდა სესხების EBITDA-სთან შეფარდება: მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები და ობლიგაციების ჯამს გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტები გაყოფილი EBITDA-ზე.				
მთლიანი ვალის კოეფიციენტი: კოეფიციენტი: მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები და ობლიგაციები გაყოფილი მთლიან აქტივებზე				
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR): EBIT/(საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო სარგებელი + ობლიგაციის კუპონი)				
სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR): წლიური EBITDA გაყოფილი წლის განმავლობაში გადასახდელი სესხების და ობლიგაციების ძირისა და პროცენტის და ძირითადი საშუალებების მომწოდებულებისადმი გრძელვადიანი ვალდებულებების ძირისა და პროცენტის ჯამზე. კოეფიციენტის დათვლისას გათვალისწინებულია მხოლოდ ძირის გადახდა და არაა გათვალისწინებული რეგინანსირება ან სესხების ჩანაცვლება. გადასახდელი ძირი შემდეგი იყო: 2016 წელი: 12,842 ათასი ლარი, 2017 წელი: 4,473, 2018 წლის 30 ივნისისთვის დასრულებული 12 თვე: 4,956.				
ობლიგაციების გამოშვების შემდგომი ჰიპოთეტური კოეფიციენტები დათვლილია ისტორიული მონაცემების მიხედვით (პერიოდის ბოლო დღის საბალანსო მუხლები გაყოფილი პერიოდის დასრულებამდე არსებული 12 თვეს მოგება-ზარალის მუხლებზე). შესაბამისად ობლიგაციების გამოშვებას ისტორიულ ICR და DSCR კოეფიციენტებზე გავლენა არ აქვთ.				
აღსანიშვნავია, რომ ობლიგაციების გამოშვების შემდგომი სესხები / EBITDA კოეფიციენტი დათვლილია ობლიგაციების გამოშვების შემდეგ არსებული სესხების (49,860 ათასი ლარი, დეტალებისთვის იხილეთ - „კაპიტალიზაცია“) ისტორიული (პერიოდის დასრულებამდე ბოლო 12 თვეს) EBITDA-ზე გაყოფის შედეგად, რის მიუხედავადაც მიღებული კოეფიციენტი მაინც აქტივოფილებს ფინანსური დათქმების მოთხოვნებს. „კომპანიის“ მენეჯმენტი მოელის, რომ ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული სახსრების მეშვეობით განხორციელებული გაფართოვება და ზრდა ხელს შეუწყობს EBITDA-ს შემდგომ ზრდას და დამატებით გააუმჯობესებს ამ პარამეტრს. გათვალისწინებული RSF სესხის გავლენა, რადგან ამ სესხით ხდება არსებული დავალიანებების ჩანაცვლება და იგი არ ზრდის ჯამურ დავალიანებებს. 30 სექტემბრის მდგომარეობით არსებული დამტკიცებული მაგრამ აუთვისებელი საკრედიტო ხაზებისა და გრძელვადიანი სესხების მოცულობა 13.2 მილიონი ლარი იყო. 30 სექტემბრის მდგომარეობით ობლიგაციის ეფექტური ერთად დამატებით ამ თანხების სრულად ათვისება რომ მოშდარიყო სესხები / EBITDA კოეფიციენტი 3.2-ამდე გაიზრდებოდა.				

ობლიგაციების გამოშვების შემდეგ არსებული კოეფიციენტების დათვლისას არაა გათვალისწინებული სამომავლო ფინანსური შედეგები და მომავალ პერიოდებში გადასახდელი საპროცენტო ხარჯები და სესხების ძირები (დეტალებისთვის იხილეთ - „მიღებული სახსრების გამოყენება“).

#### მომგებიანობის კოეფიციენტები

	2016	2017	30 ივნისი 2018	30 ივნისი 2018 ობლიგაციების გამოშვების შემდეგ
	ივნისი 2018	ობლიგაციების გამოშვების შემდეგ	30 ივნისი 2018	30 ივნისი 2018 ობლიგაციების გამოშვების შემდეგ
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	4.8%	4.6%	5.6%	5.4%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	8.5%	8.4%	10.6%	10.6%
საერთო მოგების მარჟა	48.2%	50.8%	50.0%	50.0%
საოპერაციო მოგების მარჟა	14.8%	14.5%	12.2%	12.2%
წმინდა მოგების მარჟა	7.8%	6.4%	8.1%	8.1%
აქციაზე შემოსავლიანობის კოეფიციენტი	0.083	0.085	0.118	0.118

უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე: წმინდა მოგება გაყოფილი წლის საშუალო აქტივებზე.

უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე: წმინდა მოგება გაყოფილი წლის საშუალო კაპიტალზე.

საერთო მოგების მარჟა: საერთო მოგება გაყოფილი გაყიდვებზე.

საოპერაციო მოგების მარჟა: საოპერაციო მოგება გაყოფილი გაყიდვებზე.

წმინდა მოგების მარჟა: წმინდა მოგება გაყოფილი გაყიდვებზე.

აქციაზე შემოსავლიანობის კოეფიციენტი: წმინდა მოგება გაყოფილი განაღდებულ აქციათა სრულ რაოდენობაზე (სულ 56,519,789 ცალი)

#### ლიკვიდურის კოეფიციენტი

	2016	2017	30 ივნისი 2018	30 ივნისი 2018 ობლიგაციების გამოშვების შემდეგ
	ივნისი 2018	ობლიგაციების გამოშვების შემდეგ	30 ივნისი 2018	30 ივნისი 2018 ობლიგაციების გამოშვების შემდეგ
ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	0.1	0.1	0.2	0.2
ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	0.8	0.8	0.7	0.7
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	4.6	3.5	3.0	3.0
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	1.7	1.5	1.2	1.2
საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი	22.4%	15.8%	10.8%	10.8%

ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები: ფულისა და ფულის ექვივალენტების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჯამი გაყოფილი მიმდინარე აქტივებზე.

ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები: მიმდინარე აქტივები მარაგების გამოკლებით გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი: ზოლო 12 თვის გაყიდვები გაყოფილი საბრუნავ კაპიტალზე (მარაგებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჯამს გამოკლებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებები).

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

საოპერაციო ფულადი ნაკადების მარჟა: წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან გაყოფილი გაყიდვებზე.

## საოპერაციო კოეფიციენტები

	2016	2017	30 ივნისი ივნისი 2018	30 ივნისი 2018 ობლიგაციების გამოშვების შემთხვე
მარაგების ბრუნვის დღეები	118.8	131.2	156.1	156.1
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები	31.6	38.8	54.4	54.4
სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები	53.1	51.8	97.8	97.8
ფულის ამოღების ციკლი	97.3	118.2	112.7	112.7

მარაგების ბრუნვის დღეები: საშუალო წლიური მარაგები გაყოფილი გაყიდული საქონლის თვითღირებულებაზე, გამრავლებული 365-ზე.

სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები: საშუალო წლიური სავაჭრო მოთხოვნები გაყოფილი გაყიდვებზე, გამრავლებული 365-ზე.

სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები: საშუალო წლიური სავაჭრო ვალდებულებები გაყოფილი შესყიდვებზე (შესყიდვები უდრის გაყიდული საქონლის თვითღირებულებას დამატებული ცვლილება სასაქონლო მარაგებში), გამრავლებული 365-ზე.

ფულის ამოღების ციკლი: მარაგების ბრუნვის დღეებს დამატებული სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები და გამოკლებული სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები.

## სტრუქტურა და მენეჯმენტი

### აქციონერთა სტრუქტურა

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ აქციონერებს წარმოადგენენ შემდეგი კომპანიები:

#### შპს „მიქსორი“: 63.50% წილი

- ბატონის შპალების, სამშენებლო ბეტონის, ქვიშის, ქვა-ღორლის მწარმოებელი კომპანია.


#### შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (GIG): 24.11% წილი

- GIG-ს გააჩნია ინვესტიციების დივერსიფიცირებული პორტფელი, რომელშიც უდიდესი წილი ენერგეტიკის სფეროს უკავია. ჯგუფი აქტიურია ელექტრო-ენერგიის განერაციასა და ვაჭრობაში, ქვანახშირის მოპოვებაში, ზუნებრივი აირით ვაჭრობასა და გაზ-გასამართი სადგურების ოპერირებაში.
- საქართველოში წარმოებული ელექტრო-ენერგიის 20%-მდე GIG-ზე მოდის.

#### შპს „პაპ ფარმა“: 12.39% წილი

- პაპ არის ერთ-ერთი წამყვანი ფარმაცევტული კომპანია საქართველოში.
- ფარმაცევტული ვაჭრობის ბაზრის დაახლ. 22%-იანი წილი.

### „ქართული ლუდის კომპანიის“ შიდა სტრუქტურა



### ძირითადი თანამშრომლები

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ ძირითადი თანამშრომლების მოკლე მიმოხილვა:

#### სამეცნიერო საბჭო

##### ცენტრი ჩოჩელი, სამეცნიერო სამუშაო თავმჯდომარე

ბატონი ცეზარ ჩოჩელი სამეცნიერო საქმიანობას 1991 წლიდან მოყოლებული ეწევა და გააჩნია მრავალწლიანი გამოყდილება ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ბიზნესში. ბატონი ცეზარ ჩოჩელი იყო სს „ლომისის“ დამფუძნებელი, რომელიც მან საქართველოში წამყვან ლუდის მწარმოებლად აქცია. ბატონი ცეზარ ჩოჩელის ხელმძღვანელობის პერიოდში სს „ლომისის“ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლუდისახარში აშენა ნატახტარში და ბაზრის 42%-იანი წილი დაიკავა. 2008 წელს მან სს „ლომისი“ EFES Pilsener-ის მწარმოებელ „ანადოლუ გრუპში“ გაყიდა - ეს ტრანზაქცია იმ დღოისთვის უდიდესი იყო ქართულ კერძო სექტორში. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ბიზნესის გარდა ბატონი ჩოჩელი მან აგრეთვე დაარსა ტკბილეულის ქარხანა „ბარამბო“, ხოლო 2009 წელს ჩოჩელის ბიზნესჯგუფმა მინორიტარად მიიღო მონაწილეობა კომპანია „ბერტას“ დაარსებაში, რომელიც ამიერკავკასიაში საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და ჰიგიენური პროდუქტების პირველი და უმსხვილესი მწარმოებელია. ბატონი ცეზარ ჩოჩელის მიერ დაფუძნებულმა სს „ქართული ლუდის კომპანიაში“

საქართველოში ყველაზე თანამედროვე ლუდსახარში ქარხნის მშენებლობა ზედაზენში 2011 წელს დაიწყო და მაღლევე ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 1991 წლიდან მოყოლებული, ცეზარ ჩოჩელისა და მისი ბიზნესჯგუფის მიერ დაფუძნებულ საწარმოებში 5 ათასამდე ადამიანია დასაქმებული.

### აგო ჩოჩელი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი იაგო ჩოჩელი 1993 წლიდან არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში, იგი 1993-2002 წლებში იყო „ლომისის“ წარმოების დირექტორი, 2003-2005 წლებში „ლომისის“ დირექტორი, ხოლო 2005-2007 წლებში ლუდსახარში „ნატახტარის“ დირექტორი. 2009 წლიდან დღმდე იგი ტკბილეულის ქარხანა „ბარამბის“ დირექტორია, ხოლო 2007-2008 წლებში შპს „ინტერპლასტის“ დირექტორი იყო. 2011-2012 წლებში იგი ბატონი იაგო ჩოჩელი სს „ქართული ლუდის კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე იყო, ხოლო 2012 წლიდან იგი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

### გორგო ემირიძე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი გიორგი ემირიძე ჰოლდინგი „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ფინანსური დირექტორის მოადგილეა და სს „ქართული ლუდის კომპანიის“ საბჭოს წევრი 2013 წლიდანაა. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ იგი 2011 წლიდან მუშაობს და სხვადასხვა დროს იყო კორპორაციული ფინანსების და ხაზინის მართვის დეპარტამენტის უფროსი, უფროსი კორპორაციული ფინანსების ანალიტიკოსი, კორპორაციული ფინანსების ანალიტიკოსი და ბიუჯეტირებისა და ანგარიშგების სპეციალისტი. 2014-2015 წლებში იგი „პაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო. ბატონი გიორგი ემირიძეს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლისგან და მაგისტრის ხარისხი ALBA Graduate Business School-სგან.

### ტოპ მენეჯმენტი

### კახა კოტრიკაძე, გენერალური დირექტორი

ბატონი კახა კოტრიკაძე სს „ქართული ლუდის კომპანიის“ გენერალური დირექტორი 2016 წლის დეკემბრიდანაა. 2016 წლის აპრილიდან 2016 წლის დეკემბრამდე იგი „კომპანიის“ ფინანსური დირექტორის პოზიციას იკავებდა. „კომპანიაში“ მოსვლამდე იგი 12 წელი მუშაობდა სხვადასხვა წამყვან პოზიციებზე სს „თიბისი ბანკში“, მათ შორის უფროსი მეწევერის, უფროსი კორპორაციული ბანკირის და კორპორაციული ბანკირების ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციაზე. მას ასევე აქვს ნამუშევარი სს „პროკრედიტანკ საქართველოში“ სასესხო ოფიცირის პოზიციაზე და „თბილავიამშენში“ ფინანსური მენეჯერის პოზიციაზე. ბატონი კახა კოტრიკაძეს მიღებული აქვს ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი კონომიკაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან.

### დავით ნაზდაიძე, წარმოების სამსახურის ხელმძღვანელი

ბატონმა დავით ნაზდაიძემ „კომპანიაში“ საქმიანობა 2012 წელს დაიწყო ჩამოსხმის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე, ხოლო 2015 წლიდან წარმოების ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობს. „კომპანიაში“ მოსვლამდე იგი 2002-2012 წლებში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“, მათ შორის ჩამოსახმელი საამქროს ცვლის უფროსის, საწყობის მენეჯერის და გაყიდვების მენეჯერის პოზიციებზე. ბატონ დავით ნაზდაიძეს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის და სამართლის ფაკულტეტები.

### რამაზ ექვთიმიშვილი, მთავარი ინჟინერი

ბატონი რამაზ ექვთიმიშვილი 2011 წლიდან არის სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მთავარი ინჟინერი. „კომპანიაში“ მოსვლამდე იგი მუშაობდა „პაიდელბერგცემენტ ჯორჯიაში“ მთავარი ელექტრო-ინჟინრის პოზიციაზე 2009-2011 წლებში და 2008-2009 წლებში პროექტის მენეჯერის მოადგილის პოზიციაზე. მას აგრეთვე აქვს ნამუშევარი სს „აზრში“, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში და თბილისის მეტროში. ბატონ რამაზ ექვთიმიშვილის დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკირებით.

## **ნათა ბილანიშვილი, ხარისხის მართვის ხელმძღვანელი**

ქალბატონი ნათა ბილანიშვილი „კომპანიაში“ 2011 წლიდან მუშაობს და ხარისხის მართვის ხელმძღვანელი არის. „კომპანიაში“ მუშაობის დაწყებამდე იგი სს „ლომისში“ მუშაობდა 2006 წლიდან ქიმიკოსად და ლაზორატორიის ინჟინრად. ქალბატონი ნათა ბილანიშვილს მიღებული აქვს ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხები თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტისგან.

## **ნატო საგინაშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი**

ქალბატონი ნატო საგინაშვილი სს „ქართული ლუდის კომპანიის“ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი 2017 წლიდანაა. 2014-2016 წლებში იგი საქართველოს პარლამენტში პარლამენტის წევრის თანაშემწედ მუშაობდა, 2012-2014 წლებში სახელმწიფო ოწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე იყო დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში, ხოლო 2006-2012 წლებში იგიმცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუშაობდა ჯერ საკრებულოს აპარატის სპეციალისტად, ხოლო შემდგომ საკრებულოს აპარატის უფროსად. ქალბატონი ნატო საგინაშვილს მიღებული აქვს საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან და სამართლის მაგისტრის ხარისხი ემორის უნივერსიტეტისგან.

## **თამუნა კივილაძე, ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი**

ქალბატონი თამუნა კივილაძე 2014 წლიდან „კომპანიის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსია, ხოლო 2011-2014 წლებში შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობდა. სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ მუშაობის დაწყებამდე იგი შპს „ბარამბოში“ შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო მანამდე შპს „ინტერპლასტში“ შესყიდვების მენეჯერი იყო. ქალბატონი თამუნა კივილაძეს მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

## **მადონა მიქაძე, ფინანსური ანალიტიკოსი**

ქალბატონი მადონა მიქაძე სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ 2016 წლიდან მუშაობს ფინანსური ანალიტიკოსის პოზიციაზე. „კომპანიაში“ მუშაობის დაწყებამდე იგი სს „საპარტნიორო ფონდში“ მუშაობდა შიდა აუდიტორიის პოზიციაზე, ხოლო 2010-2014 წლებში „ერთს ენდ იანგში“ აუდიტორიის და უფროსი აუდიტორიის პოზიციებზე. ქალბატონი მადონა მიქაძეს მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლისგან და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი როტერდამის ბიზნეს-სკოლისგან

## **კორპორაციული მართვა**

„კომპანიის“ კორპორაციული მართვა ხორციელდება 2016 წლის 20 დეკემბერს აქციონერთა კრების მიერ დამტკიცებული წესდების ახალი რედაქციის საფუძველზე.

წესდების თანახმად, „კომპანიის“ აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს მმართველობის უმაღლეს ორგანოს. მის უფლებამოსილებას განეკუთვნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, როგორიც არის, მაგალითად, წესდებაში ცვლილებების შეტანა, „კომპანიის“ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აქციონერის მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება, მოგების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და მათი ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა, დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება, აუდიტორიის არჩევა, „კომპანიის“ ქონების შეძენა, გასხვისება (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებები) ან დატვირთვა, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამწარმეო საქმიანობას.

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო არის შუალედური ხელმძღვანელობითი რგოლი. იგი ახორციელებს დირექტორის საქმიანობის კონტროლს და ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 1 წლის ვადით არჩეული 3 წევრისგან. „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: თავმჯდომარე - ცეზარ ჩოჩელი (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 06001000766); წევრი - გიორგი ემირიძე (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 61001033571) და წევრი

- იაგო ჩოჩელი (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 06001000160). აღნიშნული პირების არჩეულ იქნენ 2018 წლის 01 თებერვალს, 1 (ერთი) წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს და ამოწმებს „კომპანიის“ ფინანსურ დოკუმენტაციას, ქონებრივ ობიექტებს, კერძოდ, საზოგადოების სალაროს და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობას, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დირექტორისგან მოითხოვოს „კომპანიის“ საქმიანობის ანგარიშებს, მოგზის განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს აქციონერთა საერთო კრებას, ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორს. შემდეგი საკითხები საჭიროებს „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას:

- საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- ვალდებულებათა ადება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას (დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორის ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ);
- დირექტორთა უფლებამოსილებების ფარგლების დადგენა;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწყვეტა;
- „კომპანიის“ აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ხელმძღვანელი პირებისთვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- კომპანიის ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;
- იმ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც კანონით არ განვიუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

„კომპანიის“ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს დირექტორებს. ამჟამად „კომპანიას“ ჰყავს ერთი დირექტორი - კახაბერ კოტრიკაძე (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 35001017531), რომელიც დანიშნულ იქნა 2016 წლის 01 დეკემბერს (უფლებამოსილია 2016 წლის 5 დეკემბრიდან), განუსაზღვრელი ვადით.

წინამდებარე ემისია დამტკიცებულ იქნა „კომპანიის“ აქციონერთა საერთო კრების 22.11.2018წ. და აგრეთვე „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს 22.11.2018წ. გადაწყვეტილებებით.

„კომპანიას“ 2015 წელს მიღებული აქვს ISO 9001:2008 სერტიფიკატი, რაც ადასტურებს, რომ „კომპანიას“ დანერგილი აქვს ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და მიწოდების ხარისხის მართვის სისტემა და 2016 წელს - ISO 22000:2005 სერტიფიკატი, ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების საკვების უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვის თაობაზე.

2018 წლის ივლისში კომპანიამ აიღო FSSC სერტიფიკატი. FSSC 22000 წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის სრული სერტიფიკაციის სქემას. იგი დაფუძნებულია ISO 22000 სტანდარტზე, რომელიც წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის გლობალურ სტანდარტს და ISO/TS 22002 სტანდარტზე, რომელიც გამიზნულია სურსათისა და სასურსათო ინგრედიენტების მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისათვის წინასწარი მოსამზადებელი პროგრამების დადგენის მიზნით.

## გარიგებები და კავშირებულ პირებთან

2014 წლის 20 ივლისის #20/07-01RE-GBC სესხის ხელშეკრულების თანახმად, „კომპანიის“ მიერ გაიცა სასყიდლიანი სესხი რამაზ ექვთიმიშვილზე, 67 000 (სამოცდაშვიდი ათასი) ლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო სარგებლით 16% ოდენობით და ვადით 2019 წლის 31 დეკემბრამდე. რამაზ ექვთიმიშვილი არის კომპანიის თანამშრომელი 2011 წლიდან, რომელსაც კომპანიაში უკავია ტექნიკური სამსახურის უფროსის (მთავარი ინჟინირის) პოზიცია.

2014 წლის 22 ივლისის #123123435369 თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, სს „ქართული ლუდის კომპანიამ“ გასცა სოლიდარული თავდებობა მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის, შპს „მიქსორის“ სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად მსესხებლის - სს „თიბისი ბანკის“ წინაშე, მსესხებელსა შპს „მიქსორის“ შორის გაფორმებული სხვადასხვა საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ჯამური ოდენობა არ აღემატება 5 000 000 (ხუთი მილიონი) ევროს. თავდებობა გაცემული 5 წლის ვადით. ეს თავდებობა გაუქმდა 2017 წელს.

სხვა გარიგებები და კავშირებულ მხარეებთან:

	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	1,121	1,355

2017 წლის განმავლობაში „კომპანიამ“ შპს „მიქსორისგან“ 110 ათასი ლარის (2016: ნული ლარის) ღირებულების სამშენებლო მასალები შეიმინა.

## მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები

2012 წლის 26 ივნისს დადებული #260612 დანადგარების მიწოდებისა და მონტაჟის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, „კომპანიამ“ KHS GmbH-ისგან შეიძინა პლასტმასის, შუშისა და თუნუქის ქილებში ჩამოსასხმელი ხაზი და მასთან დაკავშირებული მონტაჟის მომსახურება. ნასყიდობის ფასი შეადგენდა 9 149 631 ევროს (პრიცენტის გარეშე). ტრანზაქცია განხორციელდა გადახდის განვადების პირობით. კერძოდ, გადახდა უნდა განხორციელდეს ტრანშებად, ხელშეკრულების დანართში განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. ბოლო ტრანშის გადახდის ვადა 2022 წლის 20 ნოემბრი, ხოლო წლიური საპროცენტო სარგებელი - ნასყიდობის ფასის 5%. პირგასამტებლო ვადაგადაცილებისთვის შეადგენს 5000 ევროს თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის (მაგრამ არა უმეტეს ხელშეკრულების ფასის 5%-ისა).

„კომპანიის“ მიერ 2012 წლის 26 ივნისს დადებული #260612 დანადგარების მიწოდებისა და მონტაჟის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე KHS GmbH-ის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება უზრუნველყოფილია შემდეგი უზრუნველყოფის საშუალებებით:

- გირავნობა შპს „მიქსორი“-ის კუთვნილ 4 670 810.5592 აქციაზე, რაც შეადგენს სს „ქართული ლულის კომპანიის“ განთავსებული აქციების 8.264027%; გირავნობის საფუძველია 2013 წლის 17 იანვრის აქციების გირავნობის ხელშეკრულება #17-01-1, ხოლო უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობა შეადგენს 3 300 000 ევროს;
- გირავნობა KHS GmbH-ისგან „კომპანიის“ მიერ შემენილ პლასტმასის და თუნუქის ბოთლების ჩამოსასხმელ ხაზზე; გირავნობის საფუძველია 2013 წლის 21 მარტის დანადგარების გირავნობის ხელშეკრულება #21032013, ხოლო უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობა შეადგენს 4 335 121 ევროს; KHS GmbH უფლებამოსილია თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს, მათ შორის, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;
- გირავნობა KHS GmbH-ისგან „კომპანიის“ მიერ შემენილ შუშის ბოთლების ჩამოსასხმელ ხაზზე; გირავნობის საფუძველია 2014 წლის 24 ივლისის დანადგარების გირავნობის ხელშეკრულება #2/2014, ხოლო უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობა შეადგენს 3 734 019,36 ევროს; KHS GmbH უფლებამოსილია თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს, მათ შორის, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

„კომპანია“ სრულად და ჯეროვნად ახორციელებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე პერიოდულ გადახდებს, შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

## **წილების სხვა საწარმოებში**

„კომპანია“ ფლობს 33.4% წილს 2017 წლის 27 დეკემბერის დაფუძნებულ შპს „რითეილ ინვესტმენტს“-ში (ს/კ: 436041800). შპს „რითეილ ინვესტმენტს“-ის კაპიტალში 33.3% წილის მფლობელია ლაშა ჩოჩელი, ხოლო დარჩენილი 33.3% - შპს „ქისთოუნ ინვესტმენტს“. „კომპანიამ“ იკისრა შპს „რითეილ ინვესტმენტს“-ის კაპიტალში 1 500 000 აშშ დოლარის ოდენობით შენატანის განხორციელების ვალდებულება. კაპიტალში ზემოაღნიშნული თანხის შენატანის განხორციელების ვალდებულება „კომპანიამ“ 2018 წლის განმავლობაში შეასრულა.

## **უახლესი პერიოდის მოვლენები და მოწაფებები**

2018 წლის 30 მარტს კომპანიამ პირველად მიიღო საკრედიტო რეიტინგი ევროპული საკრედიტო სააგენტო Scope Ratings GmbH-სგან. „ემიტენტის“ გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი არის „BB-/სტაბილური შერსპექტივით“, ხოლო არა-სუბორდინირებული არა-უზრუნველყოფილი სესხების/ობლიგაციების რეიტინგი არის „BB“. აღნიშნული რეიტინგი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საკრედიტო რეიტინგს საქართველოში მოღვაწე კერძო არასაბანკო კომპანიებს შორის.

## მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა

### ზოგადი მიმოხილვა

„კომპანია“ ექვემდებარება გარკვეულ საკანონმდებლო შეზღუდვებს, რამდენადაც ის აწარმოებს საკვებ პროდუქტს. შესაბამისად, იგი ვალდებულია დაიცვას გარკვეული საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია საკვები პროდუქტების უსაფრთხოებასთან. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სხვადასხვა ტექნიკური რეგულაციები, რომლებიც რელევანტურია „კომპანიის“ ბიზნეს-საქმიანობისთვის.

### მარეგულირებელ კანონმდებლობის განვითარება

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებდა ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებას საქართველოში იყო 2003 წლის 7 მაისის საქართველოს კანონი კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების სფეროში ლიცენზიის გაცემის შესახებ. კანონი არეგულირებდა საქართველოს ტერიტორიაზე კვების (მათ შორის, ბაგშოთა კვების) პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების სფეროში ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავდა ლიცენზიირებადი წარმოების სახეებს და ადგენდა სალიცენზიონ პირობებს. მითითებული კანონის თანახმად, ლუდის წარმოება, ალაოსა და სფია პროდუქტების წარმოება, ასევე უალკოჰოლო სასმელების წარმოება ექვემდებარებოდა სპეციალურ ლიცენზიირებას. სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ აქართველოს 2002 წლის 14 მაისი კანონის თანახმად, ამგვარ ლიცენზიას გასცემდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – „საქმიანხილწყალი“, განუსაზღვრელი ვადით.

ადანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სახელმწიფო ლიცენზიირების წესის შესახებ კანონის მიღებამდე, ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს, ჩაის, საკონსერვო, საკონდიტორო, ხორცისა და რძის ნაწარმის, პურფუნთუშეულის, მცნარეულის ზეთის, ლუდის, მინერალური წყლების და უალკოჰოლო სასმელების სასაქონლო წარმოებაზე სახელმწიფო ლიცენზიირების გაცემა ხდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, თანახმად 1995 წლის 23 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის N253 ბრძანებულებისა. საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და რეალიზაციაზე აქციზური მარკების შემოღების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის N355 ბრძანებულების შესაბამისად, ლუდის წარმოება დაექვემდებარა აქციზით დაბეგვრას.

2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ გაუქმდა მთელი რიგი ლიცენზიები, მათ შორის ლუდისა უალკოჰოლო სასმელების წარმოების ლიცენზიაც და სფერო სრულად დაექვემდებარა 1996 წლის 20 მარტს მიღებული საქართველოს კანონს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. კანონი არეგულირებდა მომხმარებელთა საბაზისო უფლებებს და აღიარებდა კეთილსინდისიერი ვაჭრობის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გაყიდული პროდუქტის უსაფრთხოება, პროდუქტის ადეკვატური ხარისხი, სწორი და ზუსტი ინფორმაცია პროდუქტზე და სხვ. თუმცა, აღნიშნული კანონი პრაქტიკში საკმაოდ არაეფექტური აღმოჩნდა, რამდენადაც იგი ეფუძნებოდა მომველებულ სტანდარტებს, არ იყო რელევანტური დასავლური ბაზრისა და თავისუფალი ეკონომიკისთვის, შეიცავდა ბევრ წინააღმდეგობრივ ნორმას და, შედეგად, იყო გამოუსადეგარი. დანაწევრებული კანონების ცენტრალიზებისა და საკანონმდებლო სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა პროდუქტების უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ასევე სხვადასხვა კანონებსა და ტექნიკურ რეგულაციებში არსებული არაეფექტური საკანონმდებლო ნორმის გაუქმებას.

აღნიშნული კოდექსი, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით არის ძალაში. იგი აღიარებს ევროკავშირის დირექტივებით გარანტირებულ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სტანდარტებს პროდუქტების მიმოქცევასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და აწესებენ პასუხისმგებლობას უხარისხო პროდუქტებისთვის და პროდუქტების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების დარღვევისათვის.

გარდა ამისა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, დღე-დამეში 100 ტონაზე მეტი ლუდისა და ალაოს წარმოება, შესაძლოა დაექვემდებაროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აღებას, შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე, თუკი სკრინინგის გადაწყვეტილებით დადგინდება, რომ საქმიანობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას არ უქვემდებარება 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული ის საქმიანობა, რომელიც მანამდე მოქმედი კანონმდებლობით არ საჭიროებდა ვალიგიურ ექსპერტიზას. საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, მე-4 მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავდა იმ საქმიანობათა ჩამონათვალს, რომელიც ეკოლოგიურ ექსპერტიზას საჭიროებდა და რომელიც არ მოიცავდა ლუდის წარმოებას. შესაბამისად, კომპანია არ საჭიროებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აღებას მიმდინარე საქმიანობის განსახორციელებლად.

### „ასოცირების ხელშეკრულების“ საფუძველზე არსებული ვალდებულებები

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საგაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე.

„DCFTA“, თავისი არსით, მიზნად ისახავს გაზარდოს თავისუფლება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, მოიცავს მრავალ რელევანტურ საკითხს (მაგ. უსაფრთხოების, გარემოზე ზემოქმედების სტანდარტები) და გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოებას. იგი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ისარგებლოს შემდგენ სამი ძირითადი თავისუფლებით ევროკავშირის ერთიან ბაზარზე: საქონლის თავისუფლება, მომსახურების თავისუფლება და კაპიტალის თავისუფლება.

„DCFTA“-ის რანდენიმე თავი ეხება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ფუნდამენტური პრინციპების მოდიფიცირებას. შესაბამისად, არსებობს გონივრული ვარაუდი იმისა, რომ ვაჭრობასა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით ევროკავშირის სტანდარტების მიღებამ გაზარდოს შესაბამისი ბიზნეს ოპერატორების საოპერაციო ხარჯები.

### ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციის სააგენტო, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („კონკურენციის შესახებ კანონი“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცენტრის განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „ბაზარზე არსებულ და პოტენციურ კონკორდინი აგენტებს შორის უკეთესი პოზიციის დასაკავებლად არსებული კონკურენცია“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღვეველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქცი სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გასაჩივრის სასამართლოში.

## დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, „ქართული ლუდის კომპანია“ ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. მირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ. პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცვი უამრავი უფლება. მირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებული არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღმატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რამე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და შშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“. დაგროვებითი პენსიის სისტემა ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან და სავალდებულოა ყველა 40 წელს მიუღწეველი დასაქმებულისთვის, რომელიც ავტომატურად ჩაერთვება დაგროვებითი პენსიის სისტემაში, ხოლო 40 წელს გადაცილებული დასაქმებულებისთვის, აგრეთვე თვითდასაქმებული პირებისთვის სქემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში, თანამშრომელი ვალდებულია საპენსიო ფონდში ყოველთვიურად გადაიხდოს მისი დასაბეგრი თვიური ხელფასის 2%, ხოლო დამსაქმებელი და სახელმწიფო, თითოეული გადაიხდოს დამატებით კიდევ 2%-ს. ამასთან, თუკი დასაქმებულის დასაბეგრი წლიური ხელფასი აღმატება 24,000 ლარს, სახელმწიფო მონაწილის სასარგებლოდ, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხავს 2%-ს დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის იმ მოცულობაზე, რომელიც ჯამურად არ აღემატება მონაწილის მიერ წლიური ხელფასის სახით მიღებულ 24 000 ლარს, ან 1 პროცენტს, თუ მონაწილის მიერ ხელფასის სახით მიღებული თანხა 24 000 ლარიდან 60 000 ლარამდეა. სახელმწიფო არ განახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულის დასაბეგრი წლიური ხელფასის იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება 60 000 ლარს.

## **ლიკვიდაციის წესები**

როგორც მეწარმე სუბიექტი, „ქართული ლუდის კომპანია“ გარკვეულ მომენტში შესაძლოა დაქვემდებაროს ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი კანონმდებლობა იცნობს ლიკვიდაციის ორ რეჟიმს: (ა) ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია; და (ბ) იძულებითი ლიკვიდაცია.

**ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია** - როგორც წესი ნებაყოფლობით ლიკვიდაციაზე გადაწყვეტილება მიიღება კომპანიის პარტნიორების მიერ. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებით, პარტნიორები, რომლებიც ფლობენ ხმების 75%-ს ან მეტს, უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება ლიკვიდაციის თაობაზე. აპლიკაციის წარდგენა ხდება საჯარო რეესტრში. ეს უკანასაწელი შეტყობინებას უგზავნის საქართველოს შემოსავლების სამსახურს (იმ პირობით, რომ ლიკვიდაციას წინ უსწრებს აუდიტორული შემოწმება იმის დასადგენად, რომ არ არსებობს რაიმე ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე) და უზრუნველყოფს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების საჯარობას, რათა ყველა კრედიტორს ჰქონდეს აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა. ყველა კრედიტორის სრული დაკმაყოფილება არის ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის პროცესის წარმატებით დასრულების აუცილებელი წინაპირობა.

**იძულებითი ლიკვიდაცია** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიულ პირებს შესაძლოა დაკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მათ შორის, პასუხისმგებლობას ფულის გათეთრების, თაღლითობის და უკანონ სამეწარმეო საქმიანობისთვის) და სასჯელი ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც მოიცავს იურიდიული პირის ლიკვიდაციას. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ და მისი აღსრულება უნდა განხორციელდეს მოქმედი წესების და პროცედურების მიხედვით.

## **გადახდისუუნარობა**

დერეგულირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის, „ქართული ლუდის კომპანიაზე“, ვრცელდება საქართველოს გადახდისუუნარობის შესახებ კანონით გათვალისწინებული პროცედურები (გამონაკლისია ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ., რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალური რეგულირების რეჟიმს და რომელთა გადახდისუუნარობის პროცედურა რეგულირებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანის მიერ).

კომპანიის გადახდისუუნარობის შეფასება ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია იურიდიულ პირს მისი ვალდებულებების დაფარვა მათი შესრულების ვადის დადგომისას. გადახდისუუნარობის პროცედურები შეიძლება დაიწყოს, თუ მოვალე გადახდისუუნარო გახდება ან შესაძლოა გახდეს გადახდისუუნარო ახლო მომავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვაკატური ზომები იქნება მიღებული შესაძლო გადახდისუუნარობის თავიდან ასაცილებლად. გადახდისუუნარობის საქმისწარმოება შესაძლოა დაიწყოს თავად კომპანიაში ან მისმა კრედიტორებმა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი დაწყების კანონით განსაზღვრული წინაპირობები.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარიმართოს გადახდისუუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყევება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგოვებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურიზაციასთან); ან გ) გადახდისუუნარობის საქმის შეწყვეტა. „გ“ პუნქტში აღნიშნული ოფციის გამოყენება შესაძლოა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს გადახდისუუნარობის საფუძლები ან ასეთი საფუძლები აღმოჩერილ იქნა გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ ან მოვალეს აქვს შესაძლებლობა მიმდინარე დავალიანებები გაისტუმროს სხვა კრედიტორების ინტერესების ხელყოფის გარეშე.

გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილდებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით:

- i. პირველი რანგი - აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის გადასახდელი პროცედურული ხარჯები და მოსაკრებელი;
- ii. მეორე რანგი - სასამართლოში გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ წარმოშობილი ვალდებულებები, რაც მოიცავს საგადასახადო ვალდებულებებს;
- iii. მესამე რანგი - გაკოტრების მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებული ხარჯები და მისი ანაზღაურება;
- iv. მეოთხე რანგი - ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, რაც მოიცავს საგადასახადო უზრუნველყოფილ მოთხოვნებს;
- v. მებუთე რანგი - საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი და არ ვარდება მეოთხე რანგში;
- vi. მეექვსე რანგი - ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა, რაც მოიცავს ობლიგაციების მფლობელების მოთხოვნებს;
- vii. მეშვიდე რანგი - დაგვიანებული მოთხოვნები ანუ მოთხოვნები, რომელიც სასამართლოს წარედგინა კანონით დადგენილი მოთხოვნების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ.

ამონაგები თანხა, რაც არ არის საკმარისი ერთი და იმავე რანგის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, კრედიტორებს შორის განაწილდება თანაბარი პრიორიტეტით შესაბამისი მოთხოვნის თანხების პროპორციულად. ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გააკეთებს განაცხადს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებაზე და გეგმავს რემბილიტაცია/რეორგანიზაციას, მაშინ კომპანიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ მას მოუწევს კომპანიის არსებული კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება.

## მნიშვნელოვანი სასამართლო დავები

### (ა) დავა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით

2015 წლის 11 თებერვალს მცხეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ლევან მაყაშვილმა მოპასუხების სს „ქართული ლუდის კომპანიას“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა „კომპანიის“ მიერ სამინისტროსთან დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა. აღნიშნული უძრავი ქონება მნიშვნელოვანია „კომპანიისათვის“, ვინაიდან სწორედ ამ ქონების ნაწილზე არის განთავსებული „კომპანიის“ კუთვნილი ქარხანა.

კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა: (i) შპს „საგურამოს ექსპერიმენტული მეურნეობის“ დირექტორის განცხადების ბათილად ცნობა, შპს „საგურამოს ექსპერიმენტული მეურნეობის“ კუთვნილი მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში მდებარე 16.45 ჰა მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ; (ii) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „ქართული ლუდის კომპანიას“ შორის 2011 წლის 04 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სს „ქართული ლუდის კომპანიას“ პირდაპირი მიყიდვის წესით საკუთრებაში გადაეცა მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში მდებარე 159913 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი და (iii) სს „ქართული ლუდის კომპანიის“ საკუთრების უფლების გაუქმება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 72.06.02.244) ნაწილზე 159913 კვ.მ.-ის ოდენობით. მოსარჩელე აგრეთვე ითხოვდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის აღრიცხვას შპს „საგურამოს ექსპერიმენტული მეურნეობის“ საკუთრებაში და გადაეცეს მას ფაქტობრივ მფლობელობაში. დავაში მესამე პირად ჩართულ იქნა შპს „საგურამოს ექსპერიმენტული მეურნეობა“.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2015 წლის 16 თებერვლის განჩინების (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე) საფუძველზე, სს „ქართული ლუდის კომპანიას“ აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული #72.06.02.244 უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

2015 წლის 12 თებერვალს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ (ii) და (iii) პუნქტებით განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნები განსჯადობის წესით განსახილველად გადასცა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელმაც, თავის მხრივ, შეაჩერა ადმინისტრაციული საქმის წარმოება (i) პუნქტში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნაზე (სამოქალაქო საქმეზე) საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. 2017 წლის 1 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიღო განჩინება ლევან მაყაშვილის (i) პუნქტით განსაზღვრულ სასარჩელო მოთხოვნაზე სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე იმ მოტივით, რომ არსებობდა კანონიერ მაღაში შესული 2009 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე #2/3593-08), რომელიც გამოტანილ იქნა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. 2017 წლის 29 დეკემბერს საქართველოს უზენაშემა სასამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 1 მარტის განჩინება სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. 2018 წლის 28 მარტს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განახლა საქმის წარმოება ლევან მაყაშვილის (ii) და (iii) პუნქტებით განსაზღვრულ სასარჩელო მოთხოვნებზე და 2018 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილდა ლევან მაყაშვილის სარჩელი მითითებულ სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

### (ბ) საგადასახადო დავა

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 10 სექტემბრის #34231 ბრძანების თანახმად, სს „ქართული ლუდის კომპანიას“ ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 336 883 ლარი (მირითადი გადასახადი: 209 680 ლარი, ჯარიმა: 127 203 ლარი). აღნიშნული ბრძანების საფუძველზე 2015 წლის 11 სექტემბერს გამოიცა საგადასახადო მოთხოვნა #059-14 და სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ ბიუჯეტში გადასახდელმა თანხამ, საურავის ჩათვლით, შეადგინა 419 946.69 ლარი. 2015 წლის 5 ოქტომბერს სს „ქართული ლუდის კომპანიაშ“ 2015 წლის 11 სექტემბრის #059-14 საგადასახადო მოთხოვნა გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოში. შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 10 დეკემბრის #47311 ბრძანებით ნაწილობრივ დაკავმაყოფილდა სს „ქართული

ლუდის კომპანიის“ საჩივარი. შედეგად, 2015 წლის 28 დეკემბერს გამოიცა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის #50215 ბრძანება, რომლის თანახმადაც სს „ქართული ლუდის კომპანიაზე“ დარიცხული თანხა ჯარიმის ნაწილში შემცირდა 47 738 ლარით. 2015 წლის 23 დეკემბერს სს „ქართული ლუდის კომპანიაზე“ შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 10 დეკემბრის #47311 ბრძანება გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განმხილველ საბჭოში. დავების განმხილველმა საბჭომ 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა სს „ქართული ლუდის კომპანიის“ საჩივარი. შედეგად, 2017 წლის 18 მაისს გამოიცა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის #13153 ბრძანება, რომლის თანახმადაც სს „ქართული ლუდის კომპანიაზე“ დარიცხული თანხა ჯარიმის ნაწილში დამატებით შემცირდა 24 356 ლარით. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე 2017 წლის 19 მაისს გამოცემული #059-8 საგადასახადო მოთხოვნის მიხედვით, სს „ქართული ლუდის კომპანიაზე“ დარიცხულმა საერთო თანხამ, საურავის ჩათვლით, შეადგინა 347 190.82 ლარი, რაც სრულად იქნა გადახდილი კომპანიის მიერ.

სხვა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავის „კომპანია“ არ აწარმოებს. ის სასამართლო დავები, რომლებიც შეიძლება დროდადრო წარმოიშვას, მირითადად ეხება ტრივიალურ ოპერაციულ საკითხებს და ხშირად არ არის მნიშვნელოვანი ფინანსური კუთხით.

## **„ობლიგაციების პირობები“**

### **წინამდებარე წარმოადგენს „ობლიგაციების პირობების“ ტექსტს**

„ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 25,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს დამატებული 400 (ოთხასი) საბაზისო პუნქტი (სპრედი) და რომლებიც ვადამოსული ხდება 2023 წლის 21 დეკემბერს („ობლიგაციები“), გამოშვებულია სააქციო საზოგადოება „ქართული ლუდის კომპანია“-ს („კომპანია“ ან „ემიტენტი“) აქციონერთა საერთო კრების მიერ 22.11.2018წ. მიღებული გადაწყვეტილების და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 22.11.2018წ. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს 16.12.2018წ. „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიას“ და შეს „თიბისი კაპიტალს“ - როგორც „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ - შორის („გადახდისა და კალკულაციის აგენტი“). „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულება“ თან ერთვის წინამდებარე „ობლიგაციების პირობებს“. „რეგისტრირებული მფლობელები“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) უფლებამოსილი არიან გაეცნონ/შეისწავლონ „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ასლი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მითითებულ მისამართზე. შესაბამისად, „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ პირობები გავრცელდება „რეგისტრირებულ მფლობელებზე“ და ექნება სავალდებულო ძალა მათთვის.

#### **1. ფორმა და დენომინაცია**

„ობლიგაციები“ გაცემულია არამატერიალური, რეგისტრაციას დაქვემდებარებული ფორმით, რომელთაგან თითოეულის წომინალური ღირებულება, მათი გამოშვების თარიღისათვის - 2018 წლის 21 დეკემბერს („გამოშვების თარიღი“), შეადგენს 5,000 ლარს.

#### **2. სტატუსი**

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არა-სუბორდინირებულ, არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომელიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება არც ერთი მთავრობის ვალდებულება.

#### **3. „ობლიგაციების“ შეთავაზება და განთავსება, ცვლილებების განხორციელება შეთავაზების მიმდინარეობისას და „ობლიგაციების“ განკარგვა**

##### **(ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესი**

„განთავსების აგენტი“ განახორციელებს „ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით, „ემიტენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებისადმი“ ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, „განთავსების აგენტს“ და/ან მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ „კვალიფიციურ ინვესტორებს“.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ მათი ინტერესი „ობლიგაციების“ შესყიდვისადმი გამოხატონ „განთავსების აგენტისთვის“ განაცხადის/შეტყობინების მიწოდების გზით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის ან „განთავსების აგენტის“ მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღს, რომელიც არ უნდა იყოს შესაბამისი განაცხადის/შეტყობინების მიწოდებიდან 4 სამუშაო დღეზე ნაკლები, ცალმხრივად განსაზღვრას „განთავსების აგენტი“. თუ ამგვარი საბოლოო თარიღი არ არის „სამუშაო დღე“, წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდება პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში. ისინი გამოხატავენ ინტერესს შეიძინონ წინასწარი ან საბოლოო „პროსპექტით“ შეთავაზებულზე მეტი ოდენობის „ობლიგაციები“, „ემიტენტი“ უფლებამოსილია არ დაკამაყოფილდება ნაწილობრივ, ინვესტორების მიერ წარდგენილ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ თავისი შეხედულებისამებრ, წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით. ამასთან, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი ნაწილობრივ დაკამაყოფილდა, ამგვარ პოტენციურ ინვესტორს უფლება აქვს უარი თქვას ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. „განთავსების აგენტს“ ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონულად ან სხვა ფორმით დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს იმ „სამუშაო დღის“ 14:00 საათისა (თბილისის დროით), რომელიც მოსდევს იმ დღეს, როცა ინვესტორს ეცნობა მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ რაოდენობასთან მიმართებით) თაობაზე. ამგვარი გადაწყვეტილების „განთავსების აგენტისათვის“ შეუტყობინებლობა უფლებას აძლევს „განთავსების აგენტს“, თავისი შეხედულებისამებრ, განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ რაოდენობასთან მიმართებით) ან უარი თქვას განაცხადზე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკვთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკამაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკამაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკვეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკამაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის („შემსყიდველი ინვესტორები“).

„შემსყიდველმა ინვესტორებმა“ „ობლიგაციების“ შესაბამისი რაოდენობის შესასყიდად საჭირო თანხები სრულად უნდა განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღდამდე“ არა უგვიანეს 2 „სამუშაო დღისა“. „შემსყიდველმა ინვესტორებმა“ ამგვარი საბროკერო ანგარიშები უნდა გახსნან „განთავსების აგენტთან“. „ემიტენტი“ შესყიდული „ობლიგაციების“ მიწოდებას განახორციელებს „გამოშვების დღეს“ იმავე საბროკერო ანგარიშზე. საგამოწვევისო შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მისცეს უფლება „შემსყიდველი ინვესტორს“, რათა მან „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები განათავსოს „განთავსების აგენტთან“ გახსნილ „ემიტენტის“ ნომინალურ ანგარიშზე („განთავსების აგენტთან“ გახსნილი „შემსყიდველი ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშის ნაცვლად). ამ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ „შემსყიდველი ინვესტორის“ ანგარიშზე.

გამონაკლისის სახით, „ემიტენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია პოტენციური ინვესტორებისთვის (მათ შორის და არა მხოლოდ, „შემსყიდველი ინვესტორებისთვის“) დაადგინოს გარკვეული შეღავათები ვადებთან ან პირობებთან დაკავშირებით.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილი არიან ფლობდნენ „ობლიგაციებს“ ჩანაწერის ფორმით „რეგისტრატორთან“ ან სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციები“ გადატანილი იქნება სხვა „ნომინალურ მფლობელთან“, „ობლიგაციების მფლობელებმა“ უნდა უსრუნველყონ, რომ შესაბამისი „ნომინალური მფლობელი“ „გადახდის და კალკულაციის აგენტს“ მოთხოვნისათანავე მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიაწვდის ინფორმაციის „ობლიგაციების“ ბენეფიციარების და მათი საგადასახადო სტატუსის შესახებ.

### (ბ) ცვლილებების განხორციელება შეთავაზების მიმდინარეობისას

თუ შეთავაზების პროცესში (დროის მონაკვეთი შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვების თარიღამდე“) „ემიტენტი“ გადაწყვეტს შეცვალოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით (ცვლილებები დაექვემდებარება ეროვნული ბანკის მიერ თავიდან დამტკიცებას, რაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მოხდება მათი დამტკიცება), მაგალითად, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი, შეთავაზების პერიოდი და ა.შ., „ემიტენტმა“ ინვესტორებს უნდა განუსაზღვროს სულ მცირე 5 დღის ვადა მათი მოთხოვნის გაუქმებისათვის. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, „ემიტენტს“ უფლება აქვს გააგრძელოს შეთავაზება შეცვლილი პირობებით.

თუ ინფორმაცია რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით შეიცვლება, ინვესტორებს, რომლებმაც შეისყიდეს „ობლიგაციები“, უფლება აქვთ გააუქმონ ამგვარი ნასყიდობა და მოითხოვონ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ გამოსყიდვა მათი ძირი თანხისა და ნებისმიერი დარიცხული პროცენტის სანაცვლოდ. ინვესტორები („ობლიგაციების მფლობელები“), რომლებიც არ გააუქმებენ „ობლიგაციების“ შესყიდვას, დაექვემდებარებიან შეთავაზების შეცვლილ პირობებს.

თუ შეთავაზების პროცესში შეიცვლება რაიმე არაარსებითი ინფორმაცია, „ემიტენტმა“, შესაბამისი ცვლილების „ემისიის პროსექტში“ შეტანამდე, უნდა შეატყობინოს „ობლიგაციის მფლობელებს“ და მიაწოდოს მათ დოკუმენტი, რომელიც ასახავს ამგვარ შეცვლილ ინფორმაციას.

### (გ) „ობლიგაციების“ განკარგვა

„ობლიგაციების“ განკარგვა დასაშვებია საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობის (მათ შორის, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის) შესაბამისად. „ობლიგაციების“ განკარგვა და მათზე საკუთრების უფლების გადაცემა ნამდვილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“.

## 4. პროცენტი

### (ა) პროცენტის გადახდის თარიღები

„ობლიგაციებს“ პროცენტი დაერიცხება 2018 წლის 21 დეკემბერიდან 2023 წლის 21 დეკემბრამდე (ბოლო თარიღის გამოკლებით), რომელიც გადახდილ უნდა იქნას კვარტალურად - თითოეული წლის 21 მარტს, 21 ივნისს, 21 სექტემბერს და 21 დეკემბერს. წინამდებარე მე-4 პუნქტში მოცემული პროცენტის გადახდის თითოეული თარიღი შემდგომში მოიხსენება როგორც „პროცენტის გადახდის თარიღი“, ხოლო 2023 წლის 21 დეკემბერი - როგორც „გამოსყიდვის თარიღი“.

ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, გარემოებების შესაბამისად, „რეგისტრირებულ მფლობელთა“ სიის მიხედვით, რომელიც რეგისტრირებულია სს „კავკასრეესტრის“ („რეგისტრატორი“) „ობლიგაციების“ მფლობელთა რეესტრში („რეგისტრი“) ან „ნომინალური მფლობელის“ (აღრიცხვის ადმინისტრატორი) მიერ წარმოქმულ ჩანაწერებში, „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე, სამუშაო დღის დასრულებამდე (18:00 სთ თბილისის დროით) („სააღრიცხვო თარიღი“), გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს საქართველოში, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პროცენტი „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის, „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა „ობლიგაციების“ მფლობელის ანგარიშზე.

პროცენტის დაანგარიშება მოხდება შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების შესაბამისად, შემდეგი წესის საფუძველზე: 30/360 ISMA, ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევრობრინდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC)“ = მრიცხველი / 360

მრიცხველის ფორმულა:

1. თუ  $D1=31$ , მაშინ  $D1=30$
  2. თუ  $D2=31$ , მაშინ  $D2=30$
  3. თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება
  4. მრიცხველი =  $(D2-D1)+30^{\circ}(M2-M1)+360^{\circ}(Y2-Y1)$ ,
- სადაც „D“ ნიშნავს დღეს, „M“ - თვეს და „Y“ - წელს.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთი ცვლადია და დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთზე (რომელიც განთავსებულია შესაბამის ბმულზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=554>), შესაბამის განაკვეთს, თითოეული გადახდის პერიოდისთვის განსაზღვრავს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე. პროცენტის დარიცხვა და გადახდა ხდება „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“ არსებული მონაცემების საფუძველზე. „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) არსებულ საპროცენტო განაკვეთად აიღებს „პროცენტის განსაზღვრის თარიღამდე“ ხუთი დღით ადრე დასრულებული ერთთვიანი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) უკანასკნელ განაკვეთს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს, თითოეული გადახდის პერიოდისთვის (თითოეული კვარტლისთვის), აღნიშნული პერიოდის პირველი სამუშაო დღის წინა დღეს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღარ მოხდება მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ ყველა შემდგომი საპროცენტო პერიოდისთვის სარგებლის საპროცენტო განაკვეთს ერთჯერადად განსაზღვრავს შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღიდან“ მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე პერიოდში „ემიტენტის“ მიერ სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოყენებული მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი; და (ii) 400 (ოთხასი) საბაზისო პუნქტი. ზემოთ მითითებული წესით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღდგება მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ თითოეული შემდგომი საპროცენტო პერიოდისათვის ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთს კვლავ განსაზღვრავს მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე არსებული წესით.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „ანგარიშსწორების თარიღიდან“ (წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის „პრივატისტორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როცა „ობლიგაციის“ თითოეული მფლობელი ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ გადაიწეს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტურმოვი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე მეტი. რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული), „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტურმოვი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე ნაკლები, თუ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღი“ დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიაწგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

## (8) პროცენტის გადახდა

„ობლიგაციებზე“ პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის

აგენტისთვის“ გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „რეგისტრირებული მფლობელებისათვის“ გაგზავნამდე.

„პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს 90-დღიან პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, პირველი პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, და ასევე ბოლო პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ბოლოს წინა „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება „გამოსყიდვის თარიღზე“ (ამ თარიღის გამოკლებით).

## 5. გადახდები

(ა) „ობლიგაციების“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

(i) „ობლიგაციების“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს იმ „ობლიგაციების მფლობელებისა“ და „ნომინალური მფლობელებისთვის“, რომლებიც „რეესტრში“ აღრიცხულნი არიან „სააღრიცხვო თარიღზე“. გადახდები უნდა განხორციელდეს ქართულ ლარში („GEL“) იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც „რეესტრში“ აღრიცხულია „სააღრიცხვო თარიღისათვის“. „რეესტრში“ აღრიცხულმა „ობლიგაციების მფლობელებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ „რეესტრს“ ჰქონდეს განახლებული, სრული და სწორი ინფორმაცია მათი იმ საბანკო ანგარიშების რეკვიზიტების შესახებ, სადაც უნდა განხორციელდეს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული გადახდები. „ემიტენტი“, „რეგისტრატორი“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არ არიან პასუხიშეგებლნი ვადამოსული თანხის გადაუხდელობაზე, თუ „ობლიგაციების მფლობელმა“ ან „ნომინალურმა მფლობელმა“ არ მიაწოდა „რეგისტრატორს“ თავისი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელიც „ემიტენტმა“ ან „რეგისტრატორმა“ მოითხოვა გადახდების განხორციელების მიზნით, ან არ განაახლა ამგვარი რეკვიზიტები „სააღრიცხვო თარიღისათვის“.

(ii) საბანკო ტრანზაქციის (გადარიცხვის) ნებისმიერი საკომისიო შესაძლებელია დაქვითულ იქნას გადასახდელი თანხიდან. თუ „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ნომინალური მფლობელის“ წინა პარაგრაფში მითითებული საბანკო ანგარიში არის სხვა ნებისმიერ ვალუტაში გარდა ქართული ლარისა, მაშინ „ობლიგაციების მფლობელისათვის“ ან „ნომინალური მფლობელისათვის“ გადახდის განხორციელება დასაშვებია ვალუტის კონვერტირების საფასურის გამოკლებით.

(iii) თუ გადახდის დღეს გადახდილი ნებისმიერი ძირი თანხა ან პროცენტი არის ამ თარიღისათვის ვადამოსულ თანხაზე ნაკლები, მაშინ „ემიტენტმა“ ყველა „ობლიგაციების მფლობელს“ პროპორციულად უნდა გადაუხადოს ის თანხები, რომელებიც ხელმისაწვდომია ამგვარი თარიღისათვის. აღნიშნული არ ზღუდავს „ობლიგაციების მფლობელების“ უფლებას სრულად მიიღონ ვადამოსული ძირი თანხა და პროცენტი წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად.

(iv) „ემიტენტის“ და/ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია აიკრძალოს ან შეიზღუდოს „ობლიგაციების“ გადაცემა იმ შერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება „სააღრიცხვო თარიღზე“ და სრულდება იმ დღეს, როცა შესაბამისი გადახდა ხდება ვადამოსული.

(ბ) აგენტების დანიშვნა: „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ და მათი შესაბამისი ოფისები ჩამოთვლილია „შეთავაზების მიმოხილუება“-ში და ასევე წინამდებარე „ემისიის პროსექტის“ ბოლოში. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ მოქმედებენ როგორც მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტები და, წინამდებარე „ემისიის პროსექტისა“ და შეთავაზების მიზნებისათვის, არ იღებენ რაიმე ვალდებულებას რომელიმე „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ნომინალური მფლობელის“ წინაშე და არ წამოადგინენ მათ აგენტებს ან მინდობილ პირებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს, „ობლიგაციების მფლობელების“ თანხმობით, შეცვალოს ან გააუქმოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“, „განთავსების აგენტის“ ან „რეგისტრატორის“ დანიშვნა და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ ან „რეგისტრატორი“, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს უნდა

ჰყავდეს (i) „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, და (ii) „რეგისტრატორი“, დადასტურებული „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ.

(გ) კალკულაცია და გადახდა: „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი წეზისმიერი თანხა (მათ შორის, პროცენტი) უნდა დაანგარიშდეს და გადახდილ იქნას „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ, წინამდებარე „ემისიის პრისტექტის“ პრობობისა და სექართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული ვადამოსული თანხები, გარდა აშკარა შეცდომისა, არის სავალდებულო „ემიტენტისთვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტმა“ თანხები უნდა დაიანგარიშოს შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 10 (ათი) „სამუშაო დღით“ ადრე და შეატყობინოს „ემიტენტს“. შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე, „ემიტენტმა“ შესაბამისი თანხები უნდა განათავსოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ გახსნილ საკუთარ საბანკო ანგარიშზე და მისცეს ამ უკანასკნელს მითითება აღნიშნული თანხების გადარიცხვის თაობაზე. თუ „ემიტენტის“ ანგარიშზე არის საკმარისი თანხა, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ვალდებულია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ვადამოსული გადახდები განახორციელოს „ემიტენტის“ შესაბამისი მითითებების გარეშე. თუ შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე „ემიტენტის“ ანგარიშზე არსებული თანხა საკმარისი არ არის, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ემიტენტს“, ხოლო თუ გადახდის თარიღზე თანხა არ არის საკმარისი, შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნოს „ობლიგაციების მფლობელებსაც“.

(დ) საგადასახადო კანონმდებლობას დაქვემდებარებული გადახდები: ყველა გადახდა, წეზისმიერ შემთხვევაში, ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო ან სხვა კანონმდებლობას, რეგულაციებს და დირექტივებს.

(ე) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები: „ობლიგაციების მფლობელებს“ არ ექნებათ უფლება მიიღონ რაიმე პროცენტი, პირგასამტეხლო ან სხვა თანხა „ობლიგაციასთან“ დაკავშირებული ვადამოსული თანხის დაგვიანებით მიღებისთვის, თუ გადახდის დღე არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო „სამუშაო დღეს“.

## 6. დახურული პერიოდები

არც ერთ „რეგისტრირებულ მფლობელს“ არ აქვს უფლება მოითხოვოს „ობლიგაციების“ გადაცემის რეგისტრაცია იმ პერიოდში, რომელიც იწყება „სააღრიცხვო თარიღის“ სამუშაო დღის დასასრულის (18:00 სთ თბილისის დროით) შემდეგ და სრულდება „პროცენტის გადახდის დღეს“ (ამ თარიღის ჩათვლით). წინამდებარე შესხლის დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს თანხების განაწილება არასწორი მიმღებებისთვის. ასეთ შემთხვევაში „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ ან „ემიტენტს“ პასუხისმგებლობა არ დაიკისრება.

## 7. ვალდებულებები

(ა) უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა:

მანამ ასანამ რიმელიმე „ობლიგაცია“ არის გადაუხდელი, „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“, რაიმე „დაგვიანების“ უზრუნველყოფის მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა წარმოშვან ან არ უნდა დაუშვან წეზისმიერი „უზრუნველყოფის საშუალების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ არსებულ ან შემდგომში შეძენილ აქტივებზე, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებებისა“.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, ავტორიზაციების შენარჩუნება და თურიდიული წამდეილობა:

„ემიტენტმა“ და მისმა თითოეულმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიამ“ უნდა განახორციელოს წეზისმიერი აუცილებელი ქმედება, რაც აუცილებელია მისი კორპორაციული არსებობისა და საქმიანობის გასაგრძელებლად და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების გამოსაყენებლად, მათ შორის, მოიპოვოს ამისათვის საჭირო ყველა თანხმობა, ლიცენზია, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია ყველა ავტორიზაციის, დადასტურების, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდული ძალის შესანარჩუნებლად და მიღლოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს „ობლიგაციების“ კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(გ) შერწყმა: „ემიტენტმა“, იმ „ობლიგაციების მფლობელების“ წინასწარი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით), ინდივიდუალურად ან ჯამურად, გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 51%-ს, არ უნდა:

(x) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით) ან (y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შერწყას რამდენიმე კომპანია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

(i) ზემოთ (x) ან (y) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე:

A. წარმოქმნილი ან დარჩენილი პირი ან მიღები „უფლებამონაცვლე პირი“ იქნება „ემიტენტი“, ან ასეთი „უფლებამონაცვლე პირი“, თუ ის არ არის „ემიტენტი“, სრულად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ უფლებებსა და ვალდებულებებს; და

B. „უფლებამონაცვლე პირი“ (თუ ის არ არის „ემიტენტი“) შეინარჩუნებს ან მიღებს „ემიტენტის“ ყველა უფლებასა და ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს ყველა მნიშვნელოვანი სამთავრობო ნებართვიდან, ლიცენზიიდან, თანხმობიდან და ავტორიზაციიდან, და დაიცავს ყველა მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნებს თითოეულ იმ სახელმწიფოში, სადაც ის ოპერირებს.

(ii) აღნიშნულიდან გამომდინარე არ დადგება და არ გაგრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“.

(iii) ზემოთ (x) ან (y) ქვეპუნქტში მითითებულ შესაბამის ტრანზაქციას არ ექნება არსებითად უარყოფითი გავლენა.

(დ) განკარგვები: თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „პირობებით“, „პირობა 7(გ)“-ის (შერწყმა) დაბულებების შეუზღუდვავად, „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შეილობილი კომპანიები“, ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში, თავიანთ შემოსავლებს ან აქტივებს მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაყიდიან, გადასცემენ, გასცემენ იჯარით ან სხვაგვარად არ განკარგავენ ნებისმიერ „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“ ან „ემიტენტის“ „შეილობილი კომპანიისა“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორციელდება „ეროვნის“ აქტივების 30%-ზე ნაკლების განკარგვა, რომელიც განსაზღვრება უახლეს „IFRS“ ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგნილ „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით ან თუ ამგვარი განკარგვის შედეგად „ემიტენტი“ ან მისი „არსებითი შეილობილი კომპანია“ ნახულობს სარგებელს, იმ პირობით, რომ ამგვარ ქმედებას არ ექნება არსებითად უარყოფითი გავლენა „კომპანიაზე“.

წინამდებარე „პირობა 7(დ)“ არ გამოიყენება (i) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, რომელიც ხორციელდება „ემიტენტსა“ და მის ნებისმიერ „შეილობილ კომპანიას“ შორის, თუ „ემიტენტი“ წარმოადგენს ამგვარი შეილობილი კომპანიის მაჟორიტარ პარტნიორს/აქციონერს, (ii) აქტივების ან ქონების (ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) ნებისმიერ გაყიდვასთან, იჯარით გაცემასთან, გადაცემასთან ან სხვაგვარ განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფის საშუალებას“; (iii) საბრუნავი საშუალებების განკარგვასთან მიმართებით, ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში; (iv) ინვენტარიდან აქტივების იჯარით გაცემასთან, გაყიდვასთან ან განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში, ან (v) ნებისმიერ ისეთი არსებულ ან სამომავლო ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში, ან (vi) ნებისმიერ ისეთი არსებულ ან სამომავლო აქტივებთან ან შემოსავლებთან ან მათ ნაწილთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი

სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ან ფულადი დავალიანების, აქტივებით უზრუნველყოფილი ფინანსირების ან მსგავსი ფინანსირების საგანს, და როცა ყველა გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს მხოლოდ ამგვარი აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების დირებულება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ფინანსირების საგანს, ყველა იმ აქტივების ან შემოსავლების დირებულებასთან ერთად, რომელიც „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებების“ განმარტების შესაბამისად წარმოადგენს ნებადართულ „უზრუნველყოფის საშუალებას“, დროის არც ერთ მონაკვეთში არ აღმატება „ემიტენტის“ აქტივების 30%-ს, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით.

(ე) გადასახადების და სხვა მოთხოვნების დაფარვა: „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შეიღლობილი კომპანიები“ დადგნილ ვადაში გადაიხდიან ნებისმიერ „გადასახადს“, რომელიც დარიცხულია „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შეიღლობილი კომპანიის“ შემოსავალთან, მოებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიზნებისათვის „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შეიღლობილი კომპანიები“ არ არიან ვალდებული გადაიხადონ ნებისმიერი ამგვარი „გადასახადი“ ან მსგავსი მოთხოვნები (ა) თუ მათი ოდენობა, გამოყენებადობა ან ნამდვილობა კეთილსინდისერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და რომლის დასაფარად შექმნილია შესაბამისი რეზერვები „IFRS“-ის შესაბამისად, ან (ბ) რომლის ოდენობა, ყველა სხვა ამგვარ „გადასახადთან“ ან მსგავს მოთხოვნასთან ერთად, საერთო ჯამში არ აღმატება მთლიანი აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (დანგარიშებული „IFRS“-ის შესაბამისად).

### (ვ) დავალიანებები:

- i. „ემიტენტი“ არ დაუშეებს, რომ მან („ემიტენტმა“) ან/და „ემიტენტის“ „არსებითმა შეიღლობილ(ებ)მა“, შექმნას, იკისროს, პასუხისმგებლობა აიღოს ან სხვა სახით გახდეს ვალდებული ნებისმიერი სახის „დავალიანებაზე“, თუ:
  - ა. ამგვარი „დავალიანება“ გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას; ან
  - ბ. „გამოსყიდვის თარიღამდე“, ნებისმიერი „პროცენტის გადახდის თარიღისთვის“ „ემიტენტისა“ და მისი „შეიღლობილ(ებ)ის“ „ფინანსური ვალდებულებების“ ოდენობა (მას შემდეგ, რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ „დავალიანებას“) „ემიტენტისა“ და მისი „შეიღლობილ(ებ)ის“ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის EBITDA-ს მაქსიმუმ 4.0-ჯერ აღმატება.
- ii. ნებადართული დავალიანების შექმნა არ ეხება „ემიტენტსა“ და მის „შეიღლობილ(ებ)ს“ „ემიტენტის“ „შეიღლობილებს“ შორის „დავალიანებ(ებ)ს“.

### (ზ) სესხის მომსახურების კოეფიციენტი:

- i. „ემიტენტი“ ვალდებულია შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოეფიციენტს 1.1 ან უფრო მაღალ დონეზე.
- ii. სესხის მომსახურების კოეფიციენტი: მომგებიანობიდან დათვლილი DSCR კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით: წლიური EBITDA დაკორექტირებული ბიზნესის ოპერირების შენარჩუნებისთვის საჭირო კაპიტალური დანახარჯებითა და დივიდენდით გაყოფილი წლის განმავლობაში გადასახდელი სესხების და ობლიგაციების ძირისა და პროცენტის და ძირითადი საშუალებების მომწოდებლებისადმი გრძელვადიანი ვალდებულებების ძირისა და პროცენტის ჯამზე.
- iii. თავისუფალი ფულიდან დათვლილი DSCR კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით: წმინდა საოპერაციო ნაღდი ფული დაკორექტირებული ბიზნესის ოპერირების შენარჩუნებისთვის საჭირო კაპიტალური დანახარჯებითა და დივიდენდით გაყოფილი წლის განმავლობაში გადასახდელი სესხების და ობლიგაციების ძირისა და პროცენტის და ძირითადი საშუალებების მომწოდებლებისადმი გრძელვადიანი ვალდებულებების ძირისა და პროცენტის ჯამზე.

### (თ) ფინანსური ინფორმაცია:

- i. „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 მაისისა, „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვეზ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ და შემოწმებული ფინანსური

უწყისების ასლებს ამგვარი ფინანსური წლისათვის, აღნიშნულთან დაკავშირებით „აუდიტორების“ შესაბამის დასკვნასთან ერთად.

ii „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში, „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ შეუმოწმებელ (არააუდირებული) ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლებს ექვსი თვისათვის და ყველი კვარტლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში, „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ შეუმოწმებელ (არააუდირებული) ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლებს სამი თვისათვის.

(iii) თუ „ობლიგაციების მფლობელები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით), ინდივიდუალურად ან ჯამურად, გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 25%-ს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციების მფლობელებს“ უფლება აქვთ მოთხოვოთ და „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ნავარაუდევ „დეფოლტის შემთხვევასთან“. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად, გონივრულ ვადაში მიაწოდოს იმ „ობლიგაციების მფლობელებსა“ და „ნომინალურ მფლობელებს“, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი წერილობით მოთხოვნა. ამგვარი წერილობითი მოთხოვნა შეიძლება მოცემული იყოს ერთი და იმავე ფორმის ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელის“ და/ან „ნომინალური მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით. ამგვარი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ მოწიგი გადაწყვეტილების ფორმით.

(o) **დაზღვევის შენარჩუნება:** „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“ თავიანთი ქონება, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას, უნდა დააზღვიონ იმ მზღვეველებთან, რომლებსაც, „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას.

(პ) **სხვა ვალდებულებები:** „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ ნებისმიერ დროს ყველა ღონის მიმართავენ, რათა სრულად დაიცვონ მარეგულირებელი კანონმდებლობის ყველა დებულება, მათ შორის, სამთავრობო ორგანოების დირექტივები და რეგულაციები, რომლის დაზღვევამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებს.

(ლ) **სხვა ვალდებულებები:** იმ „ობლიგაციების მფლობელთა“ წინასწარი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით), ინდივიდუალურად ან ჯამურად, გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 51%-ს, „ემიტენტს“ არა აქვს უფლება:

- i. არსებითად შეცვალოს მისი იმ საქმიანობის ძირითადი ხასიათი (სფერო), რომელსაც იგი ახორციელებს „გამოშევების თარიღისათვის“, გარდა ბრენდირებული რესტორნის მშენებლობისა და ოპერირებისა, რაც განიხილება „ობლიგაციების“ განთავსების შედეგად მიღებული სახსრების გამოყენებით;
- ii. გადასცეს კომპანიის მმართველობა (მენეჯმენტი) მესამე პირს, ან შევიდეს ისეთ გარიგებაში რაც მესამე პირს მიცემს უფლებას მოთხოვნა წამოაყნოს კომპანიის შემოსავლებზე ნაწილობრივ ან მთლიანად (გარდა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში დადგებული გარიგებებისა).

## 8. გამოსყიდვა, მიყიდვა და ყიდვა

„ობლიგაციების“ გამოსყიდვა განხორციელდება ძირი თანხის ღირებულებით „გამოსყიდვის თარიღზე“ (გარდა ობლიგაციების გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების გზით, ობლიგაციების გამოსყიდვისა), დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით, თუ მათი შესყიდვა ან გაუქმება არ განხორციელდა უფრო ადრე. „ობლიგაციების“ განთავსებიდან ერთი წლის შემდეგ ნებისმიერ დროს „კომპანიას“ უფლება ექნება მოსთხოვოს „ინვესტორებს“ „ობლიგაციების“ გამოსყიდვა და ასეთ შემთხვევებში „ინვესტორი“ ვალდებული იქნება გამოსასყიდლი „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 102%-ად მიყიდოს კომპანიას ობლიგაციები. გამოსყიდვის ამოქმედების შემთხვევებში „კომპანია“ დამატებით აუნაზღაურებს „ინვესტორს“ სავალუტო კურსის რისკის ჰეჯირების გაუქმების ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც აღემატება „ინვესტორის“ მფლობელობაში არსებული ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 2%-ს.

თუ განხორციელდება „კომპანიის“ მიერ აღებული „ძირითადი სესხების“ რეფინანსირებით ვადამდე დაფარვა (გარდა ობლიგაციების გამოშვებით განხორციელებული რეფინანსირებისა), „ობლიგაციის მფლობელს“, რომლის მფლობელობა ინდივიდუალურად წარმოადგენს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 30%, ექნება უფლება (მაგრამ არა ვალდებულება) (შემდგომში „ობლიგაციების მიყიდვის ოფცია“), „ემიტენტისგან“ მოითხოვოს, მისი „ობლიგაციების“ მთლიანად ან ნაწილობრივ გამოსყიდვა, ხოლო „ემიტენტი“ ვალდებული იქნება გამოსყიდვის „ობლიგაციები“ „გამოსყიდვის ფასად“ რომელსაც ასევე დაემატება ობლიგაციების მიყიდვის ოფციის განხორციელების მომენტისთვის დარიცხული სარგებელი (კუპონი). წინამდებარე პირობის მიზნებისთვის, „ძირითად სესხებად“ მიიჩნევა (i) „კომპანიის“ ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მთლიანი დავალიანების 50% ან მეტი; ან/და (ii) RSF სესხიდან (როგორც ეს განმარტებულია ამ პროსპექტში ზემოთ „2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 30 სეტემბრადე აღმოჩენის მიზანილვა“) გამომდინარე მთლიანი დავალიანების 50% ან მეტი. ძირითადი სესხების დაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება „ობლიგაციები“. ამასთან, წინამდებარე უფლება არ განიხილება „ობლიგაციების“ საკალასო თვისებად და ქარწყლდება დაუყოვნებლივ, როგორც კი „ობლიგაციის მფლობელის“ მონაწილეობა ჩამოვა 30%-ზე ქვემოთ.

„ობლიგაციების“ გამოსყიდვა დაუშვებელია „გამოსყიდვის თარიღამდე“, გარდა ობლიგაციების გამოსყიდვის ოფციის განხორციელების გზით გამოსყიდვისა. „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შესყიდვის „ობლიგაციები“ ღია ბაზარზე ან სხვაგვარად, ნებისმიერ ფასად. „კომპანიის“ მიერ შესყიდული „ობლიგაციები“ შესაძლებელია გაუქმდეს.

## 9. საკუთრების უფლება

ვინაიდან „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხდება საკუთრების უფლების „რეესტრში“ რეგისტრაციის ან „ნომინალური მფლობელის“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი) ჩანაწერებში ცვლილების შეტანის შედეგად, „კომპანიამ“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტმა“ მხოლოდ „რეგისტრირებული მფლობელები“ უნდა ჩათვალონ ნამდვილ მესაკუთრებად გადახდისა და სხვა მიზნებისათვის (საკუთრების უფლების შესახებ ნებისმიერი შეტყობინების მიუხედავად), მიუხედავად იმისა, „ობლიგაცია“ ან, პროცენტის გადახდის შემთხვევაში, ამგვარი გადახდა იქნება თუ არა ვადაგადაცილებული, და ამგვარი „რეგისტრირებული მფლობელისათვის“ განხორციელებული ყველა გადახდა ჩაითვლება ნამდვილად და საკმარისად „კომპანიის“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ ამგვარ „ობლიგაციასთან“ მიმართებით ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად, გადახდილი თანხ(ებ)ის ფარგლებში.

„ობლიგაციების“ მფლობელები უფლებამოსილი არიან განხორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა, თუ ისინი ამის შესახებ სათანადო წესით შეატყობინებენ „რეგისტრატორს“ ან „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელს“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი). „ობლიგაციების“ გადაცემის შედეგად, გადამცემი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მიმღები ფლობს წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ და „ფინანსური წარმომადგენლობის ხელშეკრულებაში“ მითითებულ სრულ ინფორმაციას. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება გადაცემს, „ემიტენტისა“ ან „ობლიგაციების“ „ნომინალური მფლობელისათვის“ რეგრესის წესით მიმართვის გარეშე.

## 10. დაზევვა

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დაკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციის“ მფლობელი უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავთით და მიიღოს თანხა სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

## 11. დეფოლტის შემთხვევები

თუ დადგება ნებისმიერი ქვემოთ მითითებული შემთხვევა და გრძელდება ქვემოთ, შესაბამისად მითითებული ვადის განმავლობაში (თითოეული „დეფოლტის შემთხვევა“):

### (ა) გადახდის ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ განახორციელებს ძირითადი თანხისა და პროცენტის ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით, გადახდის დღეს და ამგვარი თარიღიდან 5 დღის განმავლობაში; ან

### (ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ ასრულებს/არღვევს ნებისმიერი სხვა ვალდებულებას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, მათ შორის, წინამდებარე ემისიის პროსპექტის გათვალისწინებულ ფინანსურ შეზღუდვებსა და დათქმებს, და დარღვევის გამოსწორება შეუძლებელია ან თუ შესაძლებელია, დარღვევა არ გამოსწორდება „ემიტენტისთვის“ დარღვევის თაობაზე გაგზავნილი შეტყობინებიდან 30 დღეში; ან

(გ) ჯერედინი დეფოლტი (Cross-Default): (i) სესხად აღებული ან მოძიებული ფულადი სახსრებისთვის ან მათ მიმართ ნებისმიერი სხვა მოქმედი ან სამომავლო „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შეკილობილი კომპანიის“ „დავალიანება“ გადასახდელი ხდება (ან შესაძლებელია გახდეს განცხადებული) მისი გადახდის მითითებულ ვადაზე ადრე ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის შედეგად (შესაბამისი დეფინიციის შესაბამისად), ან (ii) ნებისმიერი ასეთი „დავალიანება“ არ იქნა გადახდილი დროულად ან, კონკრეტულ შემთხვევაში, ნებისმიერი თავდაპირველი შესაბამისი დამატებითი პერიოდის განმავლობაში, ან (iii) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „რსებითი შეილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს მის მიერ მოქმედი ან სამომავლო „დავალიანებისგან“ გამომდინარე გადასახდელი ნებისმიერი გადასახდელი თანხის დროულად დაფარვას, იმ პირობით, რომ (ა) შესაბამისი „დავალიანების“ ჯამური ოდენობა, რომელსაც შეესაბამება წინამდებარე 11(გ) პირობით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე შემთხვევა უზოლდება ან აღემატება 500,000 (ხუთას ათას) ლარს ან მის ექვივალენტ ოდენობას ნებისმიერ სხვა ვალუტაში (რომელსაც „ობლიგაციების მფლობელები“ განსაზღვრავნ გონივრულად) და (ბ) რომელსაც „ემიტენტი“ და „არსებითი შეილობილი კომპანია“, კეთილსინდისიერი და სამისოდ გონივრული საფუძვლის არსებობის გარეშე, არ აღიარებს გადასახდელ ვალდებულებად; ან

(დ) გადახდისუწარობა: „ემიტენტი“ არის (ან შესაძლებელია ჩაითვალოს ასეთად კანონის ან სასამართლოს მიერ, ამისათვის კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების საფუძველზე) გადახდისუწარო ან გაკოტრებული ან ვალაუგალი, შეაჩერებს, შეწყვეტს ან შესაძლებელია შეწყვიტოს მისი ვაღების სრულად ან დიდი ნაწილის გადახდა, შესთავაზებს ან გაფორმებს რესტრუქტურიზაციის (რომელიც განპირობებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით), ვადის გაგრძელების ან სხვა მსგავსი სახის შეთანხმებას, რომელიც ეხება ვაღების (სრულად ან მნიშვნელოვანი ნაწილის) გადახდის ვადის შეცვლას/გაგრძელებას, ან შესთავაზებს ან გააფორმებს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას ან სხვა მსგავს შეთანხმებას მისი კრედიტორების სასარგებლოდ (რომელიც განპირობებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით); გამოცხადდება ან შეთანხმდება მორატორიუმი, რომელიც შეეხება „ემიტენტის“ ვალდებულებებს მთლიანად ან ნაწილობრივ; ან

(ე) დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან სასამართლო წარმოებები: „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შეილობილი კომპანიის“ წინადაღმდეგ ფულადი თანხის დაკავების თაობაზე

სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი აღმასრულებელი ორგანოების კანონიერ ძალაში შესული იმ დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების, განჩინებების და ბრძანებების საერთო ოდენობა აღმატება „კომპანიის“ საერთო აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად) ან მის ექვივალენტ თანხას ნებისმიერ სხვა ვალუტაში ან ვალუტებში, ან ნებისმიერი ასეთი დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების შედეგად (ა) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ მართვა მთლიანად ან ნაწილობრივ შეიცვალა ან „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივ შემცირდა, (ბ) განხორციელდა „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის (რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება მთლიანი შემოსავლების ან აქტივების საბალანსო ღირებულების 20 პროცენტს) კონფისკაცია ან დაყადალება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება; ან

(ვ) **აღსრულება:** „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ განხორციელდება ნებისმიერი სახის აღსრულების პროცედურა, იმ პირობით, რომ აღმასრულებელი (კრედიტორი) მოიპოვებს საკუთრების უფლებას ან გაყიდის „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ ქონებაზე/ქონებას, შემოსავალზე/შემოსავალს ან აქტივებზე/აქტივებს მთლიანად ან მის არსებით ნაწილზე/ნაწილს; ან

(ზ) **ნებართვები და თანხმობები:** არ განახორციელებს რაიმე ისეთ ქმედებას ან დაარღვევს რაიმე ისეთ პირობას (ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, დასტურის, უფლებამოსილების, განაცხადის წარდგენის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა უფლებამოსილების მოპოვების ან განხორციელების ჩათვლით), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა განხორციელდეს/შესრულდეს, რათა (i) „ემიტენტის“ შემოლოს კანონიერად დადოს შეთანხმებები, განახორციელოს მისი არსებითი უფლებები და შესარჩულოს და შესაბამის საკუთარ გადახდის ვალდებულებებს „ობლიგაციების“ შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები მე-7 პირობის (კოვნანტის) შესაბამისად და მისი „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებები, (ii) უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მშოქავი და შესაძლებელი იყოს მათი აღსრულება და (iii) უზრუნველყოს, რომ „ობლიგაციების“ „ემისიის პროსპექტი“ საქართველოს სასამართლოში წარდგენადი ნამდვილი დოკუმენტია, და ამგვარი დარღვევის გამოსწორება შეუძლებელია ან თუ შესაძლებელია, დარღვევა არ გამოსწორდება „ემიტენტისთვის“ დარღვევის თაობაზე გაგზავნილი შეტყობინებიდან 30 დღეში; ან

(თ) **ნამდვილობა და უკანონობა:** „ობლიგაციების“ ან „ემისიის პროსპექტის“ ნამდვილობას სადაოდ ხდის „ემიტენტი“ ან „ემიტენტი“ უარყოფს „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ საკუთარ ვალდებულებას ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ ერთი ან რამდენიმე საკუთარ ვალდებულების შესრულება ან მასთან შესაბამისობა უკანონოა ან გახდება კანონსაწინააღმდეგო ან ნებისმიერი ასეთი ვალდებულება გახდება აღუსრულებელი, კანონსაწინააღმდეგო ან აღარ იქნება ნამდვილი და მშოქავი;

ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ ერთ ან რამდენიმე მფლობელს, რომელთა მფლობელობა ინდივიდუალურად ან ჯამურად წარმოადგენს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 25%-ს, უფლება აქვთ წერილობით მიმართონ „ემიტენტს“ მის რეგისტრირებულ მისამართზე (ასლი ეგზავნება „ფისკალურ აგენტს“) და დაუწესონ „ემიტენტს“ დამატებით სულ მცირე 21 (ოცდაერთი) დღე დარღვევის გამოსასწორებლად. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა არ გამოსწორდება მითითებულ დამატებით ვადაში, „ობლიგაციების“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი ძირი თანხის 100%-ის ოდენობით („გამოსყიდვის ფასი“), დარიცხული და გადაუზღდელი პროცენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით. „ემიტენტი“ ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ, როგორც კი შეიტყობს, შეატყობინოს „ობლიგაციის მფლობელებს“ ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ წარმოშობის შესახებ.

## 12. ობლიგაციების მფლობელების კრება

„ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულება“ ადგენს, „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებზე მოქმედი საკითხების განსახილველად, „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის, ჩატარების და გადაწყვეტილების მიღების წესსა და პირობებს.

„ობლიგაციების მფლობელთა“ კრების მოწვევის უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ, „ემიტენტს“ და „ფინალურ აგენტს“. თუ „ობლიგაციების მფლობელები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით), ინდივიდუალურად ან ჯამურად, გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 10%-ს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, ისინი უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ „ობლიგაციების მფლობელთა“ კრების მოწვევა, „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით, კრების თარიღამდე სულ მცირე 21 (ოცდაერთი) დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე (მითითებულ ვადაში არ შედის შეტყობინების გაგზავნისა და კრების ჩატარების დღეები).

მხოლოდ „ემიტენტია“ უფლებამოსილი „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე დააყენოს წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ან „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ რომელიმე ან ერთდროულად რამდენიმე პირობის ცვლილების საკითხი, რასაც „ობლიგაციების მფლობელთა“ კრება განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კრებაზე დამსწრე ხმათა 75% უმრავლესობით. ამ პროსპექტის მიზნებისთვის, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც მიიღება კრებაზე დამსწრე ხმათა 75% უმრავლესობით, მოიხსენება, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“.

„განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების ქვორუმს წარმომადგენს ორი ან მეტი პირი, რომლებიც მოცემულ დროს ფლობენ ან წარმომადგენ გაუნაღდებელი „ობლიგაციების“ საერთო ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან ნებისმიერ „განმეორებით კრებაზე“ - არანაკლებ ერთ მეტამედს, მათ შორის იმ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი კრების საქმიანობა მოიცავს, შემდეგი წინადადებების განხილვას: (i) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილება; (ii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილება; (iii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილება; (iv) „ობლიგაციების“ „ემიტენტის“ ან სხვა საწარმოს აქციებში, ბონდებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში გადაცვლა/კონვერტაცია; (v) „ობლიგაციების“ შესაბამისი გადახდის ვალუტის ცვლილება (გარდა მარეგულირებელი კანონმდებლობით გამოწვეული ცვლილებისა); (vi) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებებთან მიმართებით ქვორუმის მოთხოვნების ან „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის ოდენობის ცვლილება; (vii) „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ მარეგულირებელი სამართლის ცვლილება; ან (viii) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილება.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ზემოაღნიშნული დებულებები არ ცვლის ან აუქმებს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 25%-ის მფლობელების უფლებას, წერილობით მიმართონ „ემიტენტს“ მის რეგისტრირებულ მისამართზე და დაიწყონ აქსელერაციის პროცედურა თუ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“.

„ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევა საჭირო არ არის თუ კრებაზე გასატან საკითხს, რაც საჭიროებს „განსაკუთრებულ გადაწყვეტილებას“, ეთანხმება განსახილველი დროისთვის გამოშვებული „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელები“. ასეთ შემთხვევაში, მათ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა ისევე, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან რამდენიმე დოკუმენტად იმავე ფორმით, რომელთაგანაც თითოეული იქნება ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის/მფლობელების“ მიერ ან მისი/მათი სახელით ხელმოწერილი.

„ობლიგაციების მფლობელების“ მიერ გამოტანილი ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „განსაკუთრებულ გადაწყვეტილებად“, მიღება მიცემულ ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“). „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების ქვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმომადგენს განსახილველ დროს „ობლიგაციების“ საერთო ძირი თანხის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ მიმართ - ორ ან მეტ პირს, რომელიც უსწრება ან წარმოადგენს „ობლიგაციების მფლობელებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

„ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევა საჭირო არ არის თუ კრებაზე გასატან საკითხს, რაც არ საჭიროებს „განსაკუთრებულ გადაწყვეტილებას“, ეთანხმება იმ დროისთვის გამოშვებული „ობლიგაციების“ 51%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელები“. ასეთ შემთხვევაში, მათ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა ისევე, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან რამდენიმე დოკუმენტად იმავე ფორმით, რომელთაგანაც თითოეული იქნება ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის/მფლობელების“ მიერ ან მისი/მათი სახელით ხელმოწერილი.

### 13. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციების“ მფლობელების მიმართ უნდა გაეგზავნოს „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელს“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი). „ობლიგაციების“ მფლობელებმა შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ნომინალურ მფლობელს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მითითებულ მის მისამართზე, თუ „ნომინალური მფლობელი“ „ობლიგაციების“ მფლობელს წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებს.

### 14. შემდგომი ემისიები

„კომპანია“ უფლებამოსილია „რეგისტრირებულ მფლობელებთან“ შეთანხმების გარეშე და იმ პირობით, რომ დაცული იქნება წინამდებარე ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები, დათვემები და კოვენანტები, დროდადრო გამოუშვას სხვა ფასიანი ქადალდები იმავე ან განსხვავებული პირობებით, როგორც ამას „კომპანია“ განსაზღვრაუს, გამოშვების მომენტისათვის ფასიანი ქადალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

### 15. გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია

#### (ა) გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### (ბ) იურისდიქცია

საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური იურისდიქცია „ემისიის პროსპექტს“ და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ წებისმიერ საკითხთან მიმართებით წარმოშობილ დავაზე (მათ შორის, წებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც უკავშირდება „ემისიის პროსპექტს“ ან „ობლიგაციების“ გაცემას, ნამდვილობას, არსებობას, შეწყვეტას ან მათთან დაკავშირებულ წებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებას).

იმ შემთხვევაში, როდესაც „ობლიგაციების მფლობელი“ წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებას (IFI ობლიგაციის მფლობელი), ასეთ „ობლიგაციების მფლობელს“ და „ემიტენტს“ შორის წებისმიერი დავა, დაპირისპირება ან სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს ან უკავშირდება წინამდებარე „ემისიის პროსპექტს“ ან/და „ობლიგაციებს“, გადაწყვდება არბიტრაჟის მიერ მოქმედი UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) მიერ დაწინული ერთი არბიტრის მიერ. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იქნება ლონდონი, ინგლისი, ხოლო საარბიტრაჟო განხილვის ენა - ინგლისური. მხარეები უარს ამბობენ 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის შესაბამის წებისმიერ უფლებაზე ან წებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვაგვარად გასაჩივრებაზე, ან გადაწყვეტილების მიღებამდე წებისმიერი საკითხზე გადაწყვეტილების მოპოვებაზე, ინგლისის სასამართლოებში. საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იქნება უფლებამოსილი მიანიჭოს, და „ემიტენტი“ თანხმდება, რომ ის არ მოითხოვს, წებისმიერი სამართლებრივი ხელისუფლებისგან, წებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიებების განხილვის „ობლიგაციის მფლობელის“ წინააღმდეგ, მიუხედავად UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების წებისმიერი პირობისა. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილი იქნება განხილოს და გააერთიანოს წებისმიერ პროცესში ან გადაწყვეტილებაში მის წინაშე (მხოლოდ „IFI

ობლიგაციების მფლობელების“ მიერ სათანადოდ აღძრული წევისმიერი დამატებითი დავა, იმდენად რამდენადაც, ასეთი დავა გამომდინარების წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ან/და „ობლიგაციებიდან“, მაგრამ, აღნიშნულის გათვალისწინებით, დაუშვებელია წევისმიერი სხვა მხარის ან სხვა დავების ჩართვა ან გაერთიანება მიმდინარე საარბიტრაჟი პროცესში/პროცესთან.

მიუხედავად ზემოთს სენტული პირობისა, „ემისიის პროსპექტის“ ან/და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული „IFI ობლიგაციების მფლობელის“ წევისმიერი უფლება, ამ უკანასკნელის არჩევანისამებრ, შესაძლებელია აღსრულდეს საქართველოს სასამართლოებში.

## 16. განმარტებები

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„განმეორებითი კრება“ ნიშნავს „ობლიგაციების მფლობელების“ კრებას, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, რომელზეც საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო ქვორუმი არ შედგა.

„აფილირებული პირი“ წევისმიერ მითითებულ „პირთან“ მიმართებით წინავს (ა) წევისმიერ სხვა „პირს“ რომელიც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მართავს ამგვარ მითითებულ „პირს“, ან რომელსაც მართავს ამგვარი მითითებული „პირი“, ან რომელიც იმყოფება ამგვარი მითითებული „პირის“, პირდაპირი ან არაპირდაპირი, საერთო მმართველობის ქვეშ (ბ) წევისმიერი სხვა „პირი“, რომელიც წარმოადგენს ამგვარი მითითებული „პირის“, მისი „შვილობილი კომპანიის“ ან „(ა)“ ქვეპუნქტში მითითებული წევისმიერი სხვა „პირის“ დირექტორს ან ხელმძღვანელს;

„რეგისტრირებული მფლობელი“ ნიშნავს „ობლიგაციის მფლობელს“ ან „ობლიგაციის ნომინალურ მფლობელს“, რომლის სახელზეც რეესტრში რეგისტრირებულია „ობლიგაცია“, როგორც ეს განსაზღვრულია მე-4 პუნქტში;

„ობლიგაციის მფლობელი“ ან „ინვესტორი“ ნიშნავს პირს, რომელიც წარმოადგენს „ობლიგაციების“ რეგისტრირებულ მესაკუთრეს, რაც დასტურდება „რეესტრის“ ამონაწერით და/ან „ობლიგაციების“ ნომინალური მფლობელ(ები)ს ჩანაწერებით;

„ობლიგაციების ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს, თუ ეს „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, შპს „თიბისი კაპიტალს“, რომელიც „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ უფლებამოსილია ფლობდეს „ობლიგაციებს“ ნომინალურად;

„სამუშაო დღე“ ნიშნავს წევისმიერ დღეს (შაბათისა და კვირის, აგრეთვე საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უქმე დღეების გარდა), როდესაც კომერციული ბანკები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები ახორციელებენ ტრანზაქციებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (უცხო ვალუტაში გაცვლის ჩათვლით) თბილისში (საქართველო);

„სამართლიანი საბაზრო დირექტულება“ ნიშნავს ტრანზაქციის იმგვარ დირექტულებას, რომელიც მიიღება ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველს (გაყიდვაზე არასათანადო წნების და ძალდატანების გარეშე) და ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (ყიდვაზე არასათანადო წნების და ძალდატანების გარეშე) შორის განხორციელებულ დამოუკიდებელ მონაწილეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციიში. „ობლიგაციების მფლობელების“ უფლებამოსილი არიან დაეყრდნონ ტრანზაქციის „სამართლიანი საბაზრო დირექტულების“ „დამოუკიდებელი შემფასებლის“ ანგარიშს, ყოველგვარი დამატებითი კვლევის და მტკიცებულების გარეშე;

„ჯგუფი“ ნიშნავს „ემიტენტს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“, რომლებიც, დრო და დრო, განიხილებან ერთობლიობაში;

„კონტროლი“, წინამდებარე განსაზღვრების შესაბამისად, ნიშნავს კაპიტალის ფლობის მეშვეობით, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვაგვარად „ემიტენტის“ ხელმძღვანელობის და პოლიტიკის წარმართვის უფლებამოსილებას;

**“ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები” (IFRS ან „ფასს“) წილავს საერთაშორისო ბუღალტერის სტანდარტების სამსახურის (IASB) მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტო სტანდარტები) და IASB-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოცემულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოცემული ცვლილებებით);**

**“IFRS ფინანსური პერიოდი”** წილავს წებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც „ემიტენტმა“ მოამზადა გაერთიანებული ფინანსური ანგარიშგებები IFRS-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს ან გადასცედეს „აუდიტორებმა“;

**“დავალიანება”** წილავს, წებისმიერ „პირთან“ მიმართებით წებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამორჩების გარეშე):

(ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანება;

(ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;

(გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას საკრედიტო წერილებთან ან სხვა მსგავს დოკუმენტებთან დაკავშირებით (მათ შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებების ჩათვლით), გარდა წებისმიერი საკრედიტო წერილების, გარანტიების ან სხვა მსგავსი დოკუმენტებისა, რომელიც გამოიცა მისი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;

(დ) ამგვარი „პირის“ მიერ ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული ან გადაუზღდელი ნასყიდობის ფასის გადახდის ყველა ვალდებულება;

(ე) ყველა სხვა „პირის“ მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც უზრუნველყოფილია „უზრუნველყოფის საშუალებით“, რომელიც ამგვარმა „პირმა“ უზრუნველყო საკუთარი წებისმიერი აქტივის (რომლის ღირებულებაც, წინამდებარე მიზნებისთვის, განისაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ანგარიშის შესაბამის ღირებულებაზე მითითებით შესაბამის უკანასკნელ წლიურ ფინანსურ ანგარიშთან (IFRS-ის შესაბამისად დათვლილი) მიმართებით) მიმართ, მიუხედავად იმისა, ცნობს თუ არა ამგვარ დავალიანებას აღნიშნული „პირი“;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანება, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ, იმ ოდენობით, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ;

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან შესაბამისად მოძიებული წებისმიერი თანხა, რომელიც აშკარად ექვემდებარება დაბრუნებას;

(თ) წმინდა ვალდებულებები წებისმიერი ვალუტის ან საპროცენტო განაკვეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად; და

(ი) წებისმიერი სხვა ტრანზაქციიდან გამომდინარე მოზიდული წებისმიერი თანხა (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, წებისმიერი ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით ან ნასყიდობის ხელშეკრულება), რომელსაც სესხის ტოლფასი ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი გააჩნია,

და წებისმიერ თარიღზე წებისმიერი „პირის“ დავალიანების ოდენობა იქნება ამგვარ თარიღზე ყველა, ზემოთ აღწერილი, უპირობო ვალდებულებების გადასახდელი ნაშთი, ხოლო ყველა, ზემოთ აღწერილ, პირობით ვალდებულებასთან მიმართებით, მაქსიმალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობოდა ვალდებულების საფუძვლად არსებული პირობის დადგომისას;

**“დამოუკიდებელი შემფასებელი”** წილავს „ემიტენტის“ მიერ შერჩეულ და „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ დამტკიცებულ საუდიტო ფირმას ან განსასაზღვრელ საკითხში კვალიფიციურ

დამოუკიდებელ (მესამე პირი) ექსპერტს, იმ პირობით, რომ ამგვარი შეფასების განმახორციელებელი ფირმა ან დამოუკიდებელი ექსპერტი არ წარმოადგენს „ემიტენტან“ „აფილირებულ პირს“

„გამოცემის თარიღი“ ნიშნავს „ობლიგაციების“ გამოცემის და განთავსების თარიღს, „შეთავაზების მიმობილვის“ შესაბამისად;

„არსებითი შეილობილი კომპანია“ ნიშნავს „ემიტენტის“ ნებისმიერ შეილობილ კომპანიას:

(ა) რომელიც, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის“, ადრიცხავდა „კომპანიის“ კონსოლიდირებული შემოსავლის 15 პროცენტზე მეტს, ან რომელიც, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს, იყო „კომპანიის“ კონსოლიდირებული აქტივების 15 პროცენტზე მეტის მფლობელი; ან

(ბ) რომელსაც გადაცემა „ემიტენტის“ იმ „შეილობილი კომპანიის“ ყველა აქტივები და გალდებულებები, რომელიც უშუალოდ ამგვარ გადაცემამდე წარმოადგენდა „არსებით შეილობილ კომპანიას“ (ამგვარი ტრანზაქციის თარიღის მიხედვით).

„ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებები“ განიმარტება, როგორც:

(ა) იმ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფა, რომელიც დადებულია „გამოშვების თარიღამდე“;

(ბ) ნებისმიერი „შეილობილი კომპანიის“ მიერ „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი 100% მფლობელობაში არსებული „შეილობილი კომპანიის“ სასარგებლოდ მინიჭებული უზრუნველყოფა;

(გ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც უზრუნველყოფს „პირის“ დავალიანებას და არსებობს იმ პერიოდისთვის, როდესაც ამგვარი „პირი“ შეერწყმება ან გაერთიანდება „ემიტენტან“ ან მის „შეილობილ კომპანიასთან“ ან გახდება „ემიტენტის“ „შეილობილი კომპანია“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის, გაერთიანების ან შემთხვევის მიზნებისთვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მისი „შეილობილი კომპანიის“ ნებისმიერ აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, რომელიც ვაუთვნის შეძენილ „პირს“ და მის „შეილობილ კომპანიებს“ (ასეთის არსებობისას));

(დ) „ემიტენტის“ ან მისი „შეილობილი კომპანიის“ მიერ შესყიდულ ან შესასყიდ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ არ შექმნილა ამგვარი შესყიდვის მიზნებისთვის და არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა აქტივებზე ან ქონებაზე (გარდა ამგვარი შესყიდული აქტივებიდან ან ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე);

(ე) შემდგომში „კომპანიის“ ნებისმიერი წევრის მიერ შესყიდული ნებისმიერი ქონების მიმართ ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის უზრუნველსაყოფად ან მხოლოდ ამგვარი ქონების შესყიდვის ფასის და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციული ხარჯების დაფინანსების მიზნებისთვის აღებული „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი შესაბამისი „დავალიანების“ მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება ამგვარი ქონების შესყიდვის ფასს, ტრანზაქციულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ამგვარი შესყიდვის დაფინანსების შედეგად აღებულ „დავალიანებას“;

(ვ) ნებისმიერი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის ან ურთიერთგაქვითვის შესახებ შეთანხმება, რომელიც „კომპანიის“ ნებისმიერმა წევრმა დადო საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შემოსავლის და გასავლის ბალანსის ურთიერთკომპენსაციის მიზნებისთვის;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებას“ დაქვემდებარებული აქტივების ან შემოსავლის საერთო ღირებულება, რომელიც ემატება

იმგვარი აქტივებისა და შემოსავლის საერთო ოდენობას, რომელიც უკვემდებარება წებისმიერ მისაღების უზრუნველყოფას, აქტივებით დაზღვეულ დაფინანსებას ან მსგავსი დაფინანსების სტრუქტურას, არ აღმატება წებისმიერ ასეთ დროს „ემიტენტის“ აქტივების 10 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ გაერთიანებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

(თ) წებისმიერი არსებული ან სამომავლო აქტივების ან შემოსავლების ან მათი წებისმიერი წაწილის შესაბამისი „უზრუნველყოფის საშუალება“ იქმნება წებისმიერი „რეპო“ ტრანზაქციის შესაბამისად;

(ი) წებისმიერი ხელშეკრულების (ან სხვა მარეგულირებელი პირობების) შესაბამისად წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტული ან ჩვეულებითია საპროცენტო განაკვეთის და უცხო ვალუტის კურსის დაზღვევის ოპერაციების შესაბამის ბაზარზე;

(კ) კანონის მოქმედების საფუძველზე და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი წებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, საგადასახადო და სხვა არა-წებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალების“ ჩათვლით; და

(ლ) წებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა)-დან (კ)-ს ჩათვლით პუნქტებით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალების“ მიერ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ საერთო ოდენობის ძირი თანხა არცერთ შემთხვევაში არ აღმატება „კომპანიის“ აქტივების 10 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ გაერთიანებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

„პირი“ წიშნავს წებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან წებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

„პირობები“ წიშნავს ამ „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების პირობებს“.

„რეპო“ წიშნავს ფასიანი ქაღალდების ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას ან საპირისპირო ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან გაქირავების ხელშეკრულებას ან ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ წებისმიერი აღნიშნულის მსგავსი ეფექტის და მიზნების მქონე ხელშეკრულებას;

„ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა“ წიშნავს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცელილებებით;

„უზრუნველყოფის საშუალება“ წიშნავს წებისმიერ გირავნობას, ყადაღას, შეზღუდვას, ვალდებულებას ან ფასიანი ქაღალდის პროცენტს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, წებისმიერი კანონმდებლობით აღნიშნულის წებისმიერი ანალოგიას);

„შვილობილი კომპანია“ წებისმიერი „პირთან“ („პირველი პირი“) მიმართებით წიშნავს მოცემულ დროს, წებისმიერ სხვა „პირს“ („მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი“ ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50 პროცენტზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი“;

„გადასახადი“ წიშნავს წებისმიერ გადასახადს, დანაკისრს, ვალდებულებას, ბაქს ან სხვა საკომისიოს ან მსგავს გამოქვითვას, წარმოშობის (დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების და შესაბამისი დამატებების ჩათვლით), განსაზღვრის და დაკისრების საფუძვლის და ფორმის და მიუხედავად.

## „ობლიგაციების“ დაზევვრა საქართველოში

წინამდებარე თავი შეჯამებას უკეთებს ქართულ საგადასახადო სისტემას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელთათვის. წინამდებარე შეჯამება უფროშემა „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონების, რეგულაციების და გადაწყვეტილებების გაეხას და უქმდებარება საგადასახადო სამართლის ინტერპრეტაციების და პრაქტიკის ცვლილებებს, მათ შორის, ცვლილებებს, ინტერპრეტაციებს და განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უკუმაღა. ქვემოთ აღნიშნული გარკვეული განცხადებები „ობლიგაციების“ მფლობელების შესაძლო საგადასახადო რეგულირებასთან დაკავშირებით ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული.

წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახადო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის, განსკურებით იმ „ობლიგაციების“ მფლობელთათვის, რომელთვიც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. რეკომენდებულია „ობლიგაციების“ მფლობელებმა კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩევლებთან „ობლიგაციების“ შეძენის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. როგორც საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროები, საქართველოს საგადასახადო სამართალი და პრაქტიკა არ არის ისე მკაფიო და ნათელი, როგორიც სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში. შესაბამისად, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები, როგორც კანონში, ასევე მის ამაღმინდელ ინტერპრეტაციაში, ა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ გადასახდელი თანხები დაუკვამდებაროს საგადასახადო დაზევვრას ან ამაგადა არსებული საგადასახადო განაკვეთები გაიზარდოს, რაც შეუძლებელია ნავარაუდები იქნას წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის. „ობლიგაციების“ თითოეულმა პოტენციურმა შემძენმა უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო პრობლემატიკა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც გავრცელდება მის მიერ „ობლიგაციების“ შეძენაზე, ფლობასა და გაყიდვაზე.

### პროცენტის დაზევვრა გადახდის წყაროსთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირები, არარეზიდენტი საწარმოები და რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაციები) გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით. გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტი მიმღები ფიზიკური პირის მიერ არ უნდა იქნას ჩართული მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივი დაწესებულებები შემოსავალში რთავენ ობლიგაციის ფლობისგან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ობლიგაციებიდან მისაღები პროცენტი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და ამგვარი პროცენტი არ უნდა იქნას ჩართული ობლიგაციების მფლობელების საქართველოში დასადევლარირებელ შემოსავალში (როგორც ფიზიკური, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების შემთხვევაში), თუ ამავე დაზევვრა გადახდის მიხედვით არის გამოშევებული და სავაჭროდ დამვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე („აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლის“<sup>1</sup>).

<sup>1</sup> გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N33/04 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნ. 2018 წლის 20 თებერვალს, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (სს: 211382145; სალიცენზიით: №9001, თარიღი: 14.01.2000) ის ნაწილი, რომელიც 2018 წლის 1 იანვრის მდგრადარებობით სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ „ფასიანი ქაღალდების საგაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშეგვის შესახებ წესის“ შესაბამისად განსაზღვრულია „A“ და „B“ კატეგორიის სალისტინგო სეგმენტად (კატეგორიად), აღიარებულ იქნა ორგანიზებულ ბაზრად 2018 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, საქართველოს საფონდო ბირჟის განვიაზღვრა ვადა ორგანიზებულ ბაზრად აღიარებისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგნილი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც საქართველოს საფონდო ბირჟამ დააკმაყითლა და გაუგრძელდა ორგანიზებულ ბაზრად აღიარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის 21 სექტემბრის N 2-19/3269 წერილით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საფონდო ბირჟა ნებისმიერ მომენტში ვერ დააკმაყითლებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული შემოსავალი არ უნდა მიეკუთვნებოდეს საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას. ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული გათავისუფლება მოქმედია 2023 წლის 1 იანვრამდე.

რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მისაღები/მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება. თუ პროცენტის მიმღები გადასულია მოგების გადასახადის ახალ, ე.წ. „ესტონურ მოდელზე“, ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, ისევე როგორც სხვა სტანდარტული შემოსავალი გათვალისწინებულ უნდა იქნას გასანაწილებელი მოგების გაანგარიშებაში და მოგების დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, უნდა დაბეგროს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ პროცენტის მიმღები ჯერ არ გადასულა ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე (ფინანსური ინტიტუტები), დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას მან ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი უნდა ჩართოს ერთობლივ შემოსავლში. „ობლიგაციების“ იმ მფლობელებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ზონებად აღიარებულ და შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, იმეგრება 15%-იანი განაკვეთით.

პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ორმაგი დაბეგვრის თაობაზე საქართველოს და იმ ქვეყანას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის „ობლიგაციების“ მფლობელი, რის საფუძველზეც ობლიგაციის მფლობელმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით (გათავისუფლდეს გადახდის წყაროსთან დაბეგვრისგან).

### „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების ან საშემოსავლო გადასახადი არ იქნება გადასახდელი „ობლიგაციების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, თუ მასზე გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“.

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, შესაძლებელია წარმოიშავას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

### „ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დახეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანიზების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავის შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი საწარმო (რის საფუძველზეც გამყიდველმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით და გათავისუფლდეს გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოში).

### „ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი

დადგენილ მოთხოვნებს, არსებობს იმის რისკი, რომ ბირჟამ დაკარგოს აღნიშნული სტატუსი, რასაც შედეგად მოჰყვება ინვესტორების მიერ შესაბამისი საგადასახადო შეღავათის დაკარგვა.

ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დაკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი წნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

#### **„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა**

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებული არიან შემოსავალში ჩართონ „ობლიგაციების“ გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომლის დაანგარიშება ხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენტების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტ იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოეშვას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

#### **„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა**

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებული არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „ობლიგაციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ნასყიდობა გამშორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი წნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

#### **გადასახადი მირი თანხის გადახდაზე**

„ობლიგაციის“ მფლობელების მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვისას მიღებული მირი თანხა არ ითვლება დასაზევრ შემოსავლად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოში, იმ პირობით, რომ გამოსასყიდი ფასი არ აღემატება „ობლიგაციის“ თავდაპირველი გამოშვების ფასს.

#### **დამატებული ღირებულების გადასახადი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი „ობლიგაციების“ გაყიდვას განიხილავს იმგვარ ფინანსურ ოპერაციად, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

#### **სხვა სკითხები**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საგადასახადო ორგანოს აძლევს უფლებას გადამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

## **კლირინგთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ინფორმაცია**

კლირინგისა და ანგარიშსწორების პროცესი განხორციელდება „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“ შორის 17.12.2018წ. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების („ნასყიდობის ხელშეკრულება“) და 17.12.2018წ. „ფინანსური წარმომადგენლობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად. „კომპანია“ გამოუშვებს და გადასცემს „ობლიგაციებს“ „განთავსების აგენტს“, „გამოშვების დღეს“ და „განთავსების აგენტი“ მიიღებს „ობლიგაციებს“ და განახორციელებს შესაბამის ქმედებებს მათი „ობლიგაციების“ მფლობელებზე გასხვისებისათვის, არა-გარანტირებული საფუძვლით, იმ პირობით, რომ „ობლიგაციების“ გამოშვების საფასურის გადახდა „განთავსების აგენტის“ მიერ მოხდება მხოლოდ „ობლიგაციების“ ან მათი წაწილის „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის მიყიდვის შემდეგ. „განთავსების აგენტი“ არ არის ვალდებული გადაიხადოს გამოშვების საფასური „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ გადახდის განხორციელებამდე, რაც წიშნავს იმას, რომ „განთავსების აგენტის“ მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვა უნდა მოხდეს მხოლოდ წომინალური მფლობელობის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ ან მათი წაწილის გასხვისება ან განთავსება ვერ მოხდა შესაბამის მფლობელებზე, „ობლიგაციები“ ჯერ დაუბრუნდება „კომპანიას“ და შემდეგ გაუქმდება.

## განთავსება და გაყიდვა

წინამდებარე ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციების“ განთავსებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული პირობების მოკლე აღწერას.

შპს „თიბისი კაპიტალი“ („განთავსების აგენტი“), 2018 წლის 26 ნოემბრის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ იგი დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არა-გარანტირებული საფუძვლით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით, და იმოქმედებს როგორც „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“; ასევე ზედამხედველობას გაუწევს გადახდების განხორციელებას „კომპანიას“ და ინვესტორებს შორის არსებულ ყველა ტრანზაქციასთან მიმართებით (გამოშვება, პროცენტის გადახდა, გამოსყიდვა).

ამავდროულად, „განთავსებისა აგენტსა“ და „კომპანიას“ შორის გაფორმებულია „ნასყიდობის ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზეც „ობლიგაციები“ გადაეცემა „განთავსების აგენტს“, იმ პირობით, რომ ნასყიდობის თანხის გადახდა არ ხდება თავიდანვე, არამედ მხოლოდ „ობლიგაციებისა“ ან მათი ნაწილის „განთავსების აგენტის“ მიერ „ობლიგაციების მფლობელებისთვის“ (საბოლოო ინვესტორებისთვის) მიყიდვის შემდეგ.

ამასთან, „კომპანიას“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ შორის გაფორმებულია „ფინანსური წარმომადგენლობის ხელშეკრულება“, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული ინვესტორებისათვის „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ შემდეგ მისამართზე: მარჯვანიშვილის ქ. #7, თბილისი, საქართველო.

„განთავსების აგენტი“ თანხმდება, რომ „ობლიგაციების“ შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოში. თუ „ობლიგაციების“ შეძენა განხორციელდება სხვა ქვეყნის რეზიდენტის მიერ, აღნიშნული „ობლიგაციების“ მფლობელი ვალდებულია იმოქმედოს ფასიანი ქაღალდების იმ რეგულაციების შესაბამისად, რომელიც მასზე გავრცელდება.

„ემიტენტი“  
სს „ქართული ლუდის კომპანია“  
მცხეთის რაიონი სოფელი საგურამო 3311, საქართველო

„განთავსების, გადახდისა და კალვულაციის აგენტი“  
შპს „თიბისი კაპიტალი“  
მარჯანიშვილის ქუჩა 7  
თბილისი 0102, საქართველო

სამართლებრივი მრჩეველი  
იურიდიული ფირმა „ბიელსი“  
გუდიაშვილის მოედანი 4  
თბილისი 0114, საქართველო

რეგისტრატორი  
სს „კავკასრეესტრი“  
ვაჟა-ფშაველას 71  
თბილისი 0186, საქართველო

დადასტურებული და ხელმოწერილია სს „ქართული ლუდის კომპანიას“ მიერ:

სახელი: კახაბერ კოტრივაძე  
პოზიცია: დირექტორი

სახელი: ცეზარი ჩოჩელი  
პოზიცია: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე